

ცხოვრება საქართველოდსა

(პარიზის
ქრონიკა)

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები
და საძიებლები დაურთო

გიული ალასანიანი



ქართული
საისტორიო
მწერლობის
ძეგლები

II



⸘

9-(41)

ჩბკ-63-ვ-(2რ)

9 (42.922) (001)

3193

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედაქტორის მოადგილე)

სერიის რედაქტორი ვ. ბაბაშვილი

ტომის რედაქტორი რ. კიკნაძე

წიგნში წარმოდგენილია XVIII ს-ის ქართული ანონიმური ქრონიკის (1373—1683 წლების მოვლენებით) მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის საფუძველზე; გამოთქმულია ვარაუდები მისი დათარიღებისა და არქიტექტონიკის შესახებ.

საქართველოს ისტორიის ფუძარობის
კომისიის გამოსცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.

2. აბრაამ ერეკვანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.

5. გ. აბრაამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველუბათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტის ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.

10. ქათბი ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978.

11. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа, введение и примечания З. Н. Алексидзе, Тб., 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, вступительная статья и комментарии С. С. Какабадзе, Тб., 1979.

13. Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1979.

14. მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. შენგელიამ, თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.

16. ჩილდირის ვიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.

17. არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1979.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1960.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V—X სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები, IX—XIII სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

შინაარსი

XVIII საუკუნის ქართული ანონიმური ქრონიკა	8
ცხოვრებაჲ საქართველოსა (პარიზის ქრონიკა) .	37
შენიშვნები	. 125
Резюме 160
Summary 161
პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	. . 163

XVIII საუკუნის ქართული ანონიმური ქრონიკა

საქართველოს დაშლა, რასაც საფუძველი მონღოლთა ბატონობის დროს ჩაეყარა, მომდევნო საუკუნეთა მანძილზე გაღრმავდა. ჯეცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელმა შემოსევებმა და შინაომებმა ქვეყანა იმძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა. ეს ხანა ქართველი ხალხის სულიერი ზიზღის გამოცდად იქცა. ერთიანი საქართველოსათვის შეუნელებელ ბრძოლაში ისახებოდა და იწრთობოდა ახალ კულტურა, ერის გადარჩენის საფუძველი.

*1639 წელს თურქეთ-ირანის საზავო ხელშეკრულების დადების შედეგად საქართველოში შექმნილი ერთგვარი სიმყარე ადგილობრივმა გამგებლებმა დანგრეული ცხოვრების აღსადგენად გამოყენეს. * კულტურულ-აღდგენით პროცესში დიდი როლი შეასრულეს ქართლის პირველმა მაჰმადიანმა მეფემ როსტომმა და მისმა მეუღლემ მარიაშვილმა, რომლის ინიციატივით გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უძველესი ნუსხა (ე. წ. მარიაშვილი „ქართლის ცხოვრება“). * მშვიდობიანმა პერიოდმა მოითხოვა ძირეული ცვლილებების ჩატარება იდეოლოგიისა და პოლიტიკის დარგში. * მოქრობის გული, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე მოაქცა, ქართლია, მისი მესვეურები — ვახტანგ V-ის შვილები არჩილი, გიორგი XI და მისივე შვილიშვილი ვახტანგ VI.

კულტურის აღორძინება, როგორც ეს ხშირად ხდება, ლიტერატურით დაიწყო. ეროვნული თვითშეგნება ქვეყნის წარსულით დაინტერესებაში გამოვლინდა, და XVI ს-ში შეიქმნა რამდენიმე ისტორიული პოემა, რაც ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარების წინაპირობა გახდა. * ჰველ „ქართლის ცხოვრებაში“ მოვლენები გიორგი ბრწყინვალის (1314 — 1346) მეფობის დასაწყისამდე აღწევდა. შემდგომი პერიოდიდან მხოლოდ მცირე ქრონიკები შემორჩა. ამ ხარვეზის შევსება წილად ზედათ XVII—XVIII სს. მოღვაწეებს. XVII ს-ის დასასრულისათვის ისტორიოგრაფიის განახლება, ჩანს, აუცილებლობად იქცა. სწორედ ამიტომ ასეთი მიზანი თითქმის ერთდროულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაი-

სახეს როსტომ მეფის აღზრდილმა, ირანში მოღვაწე ფარსადან გორგიჯანიძემ და ქართლში მეფის მოადგილემ ვახტანგ ლევანის ძემ. უკანასკნელმა ამ მიზნით მოიწვია „სწავლულ კაცთა“ კომისია. ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრება“ მოიცავს მოვლენებს ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან 1694 წლამდე¹. „სწავლულ კაცებს“ ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნუსხების შევსება-რედაქტირება და მისი გაგრძელება XVIII ს-მდე. XVIII ს-ს უკავშირდება „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება (1399 — 1605 წწ.), ანონიმური ქრონიკა (1373 — 1683 წწ), ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება, რომელშიაც საქართველოს ისტორია გადმოცემულია უძველესი დროიდან XVIII ს-ის შუა წლებამდე, კათალიკოზ დომენტის ისტორიულა ჩანაწერები (დაიწ. 1703 წ.), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (1653—1737 წწ), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (1737-დან 1757 წლამდე), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1722 — 1780 წწ). აღნიშნულ თხზულებათა გამოცემა ხორციელდებოდა თანდათან XIX—XX საუკუნეთა ნანძილზე, მაგრამ ყოველი მათგანი აქამად მოითხოვს ხელახალ პუბლიკაციასა და კრიტიკულ შესწავლას წყაროთმცოდნეობის თანამედროვე დონის შესაბამისად.

* მნიშვნელოვანი წვლილი ქართული წყაროების გამოვლენის, გამოცემისა და საქართველოს ისტორიის გაშუქების საქმეში შეასრულეს 1821 წელს პარიზში დაარსებულმა „სააზიო საზოგადოებამ“, მისმა პრეზიდენტმა ე. სენ-მარტენმა, მეცნიერებმა ი. კლაპროტმა და განსაკუთრებით მ. ბროსემ. 1831 წლიდან „სააზიო საზოგადოების“ თანამშრომელი ხდება პეტერბურგში მოღვაწე თეიმურაზ ბაგრატიონი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი². ამ წლიდან იწყება მისი მიმოწერა მ. ბროსესთან, რომელიც წერილობით კავშირს ამყარებს რუსეთსა და საქართველოში მყოფ ისტორიკოსებთან. თეიმურაზი დიდ დახმარებას უწევს სააზიო საზოგადოებას და, კერძოდ, მ. ბროსეს მეცნიერული შენიშვნებითა და რჩევებით, უგზავნის მას გამოსაცემად წიგნებს. თეიმურაზის *1830 წლის ერთ-ერთ წერილში მ. ბროსესადმი ვკითხულობთ:

¹ რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, თბ., 1975, გვ. 23.

² თეიმურაზ ბაგრატიონის შესახებ იხ. შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1939, ნაკვ. 1.

„ფრიად პატივის საცემელი ეპისტოლე თქუენი, აპრილის ლ-ს ქკ-ს ფიზ (1829 30. IV — გ. ა.) დაწერილი, შეკრებულთა ქართულთაგან წერილთა წიგნით ნალვაწით თქუენითურთ, დიდად დიდებულსა და სიბრძნით გვრგვინოსანსა სამეუფოსა ქალაქსა პარიჟსა შინა აღბეჭდული, მივიღევ კელითა უფლისა შარმუასითა, მახლობელთა ამათ ჟამთა მოსლვისა მისისასა, სამეუფოსა ამას ქალაქსა სანკტპეტერბურდალ... ისტორია ესე, რომელთამე შემთხვეულებათა საქართველომსა, რომელიცა ბიბლიოტიკასა შინა სამეფოსა პარიჟსა შინა ყოფილ არს დაცულ და აღბეჭდილ არს წიგნსა შინა თქუენ მიერ წარმოვლენილსა ჩემდამი, რომელიცა შეიცავს მოთხრობასა განვლილთა მახლობელთა ამათ უმეტეს სამთა ასწლეულთა საუკუნეთასა, წარვიკითხე ესე სრულიად და ფრიად სათნო მეყო მე. ესე მოთხრობა ლიტონად, ტბილად და ადულ სასპენელსა ენასა ზედა ქართულსა არს აღწერილ და ამბავნიცა ამისნი მარტივნი და უტყუშლნი“...³ წერილში არ არის აღნიშნული თხზულების სათაური. ლაპარაკია ნაშრომზე, რომლის ტექსტი 1829 წელს გადმოიწერა და ლითოგრაფიულად გამოსცა მ. ბროსემ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან, და შეიცავს 1373 — 1683 წწ. საქართველოს ისტორიას. თხზულების ქართული ტექსტი, ამჯერად ფრანგულ თარგმანსა და კომენტარებთან ერთად კვლავ გამოიცა ორი წლის შემდეგ. გამოცემული წიგნის თავფურცელზე აღნიშნულია: „ქართული ქრონიკა, თარგმნილი საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ახალგაზრდა წევრის მარი ბროსეს მიერ. ნაშრომი გამოცემულია ამავე საზოგადოების მიერ. პარიზი 1831 წელი“⁴. მ. ბროსეს ეს გამოცემული წიგნიც გაუგზავნია თეიმურაზისათვის. თეიმურაზის შემდეგ წერილში, რომელიც დაწერილია მისი პარიზის სააზიო საზოგადოების წევრად არჩევის შემდეგ 1831 წ., მოცემულია წყაროს შეფასება და ზოგეორთი განმარტება: „თქვენ ჩემდამი მაისის ა მოწერილს წიგნში მწერთ, რომელ მე ვმართავ თქვენს წიგნსა, რომელსა შინაცა არს ისტორია საქართველომსა, რომელიც ჩემთვის წარმოგვგზავნა პარიჟში დაბეჭდული. მაგრამ მე ყოვლითურთ პირუთნებელად და კეშმარიტად აღვიარებ,

³ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და სანიშნულები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა, თბ., 1964, გვ. 3.

⁴ Chronique géorgienne, traduite par M. Brosset, Jeune membre de la Société asiatique de France, Paris, 1831, ouvrage publié par la même société.

რომელ მას გამართვამ არა რამ ესაჭიროების და ფრიად მოსაწონი არის და ყოველთავე ქართულის ენის მცოდნეთ მოსწონთ ჩემს გარდა სხვათაც და კიდევ ვაქებთ. რაც იმაში საქართველოს ისტორია და მოთხრობანი არიან, ნამდვილნი და ჭეშმარიტი არიან ყოველნივე“⁵.

ამ წიგნის თეიმურაზისეული ეგზეპლარი ამჟამად ინახება ზუგდიდის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბიბლიოთეკაში თეიმურაზ ბაგრატიონის საყურადღებო მინაწერებით.⁶ როგორც ერთ-ერთი მინაწერიდან ირკვევა, თეიმურაზს იგი უჩუქებია თავისი დის ნინო ბაგრატიონის შვილიშვილის დავით დადიანისათვის, რომელთანაც მას მკიდრო ლიტერატურული თანამშრომლობა აკავშირებდა და რომლის ხელნაწერ წიგნთა ბიბლიოთეკის შევსებას დიდად უწყობდა ხელს⁶.

საინტერესოა მ. ბროსეს ცნობები არსებულ ერთადერთ ხელნაწერზე, რომელიც დაედო საფუძვლად პუბლიკაციას. მისი აღწერით, ხელნაწერი შედგება 96 1/2 ფურცლისაგან in 4^o (20×16,5 სანტიმეტრი), ან 192 1/2 გვერდისაგან, რაც 13 რვა ფურცლიან რვეულად იყოფა. პაგინირებულია ხელნაწერის მხოლოდ პირველი გვერდები. იგი არ არის სრული. პირველი რვეულს ორი ფურცელი დაუწერელია. უნდა ვიფიქროთ, რომ გადამწერს არ ჰქონდა ხელთ ნაშრომის დასაწყისი. ნაშრომი ბოლონაკლებიცაა. თხრობა წყდება მოულოდნელად, შუა გვერდზე. თვით ტექსტიც არის გამოტოვებული ადგილები: ერთი მე-4 რვეულში, ნომერი დ, ერთი—მე-6-ში, ნომერი ვ. მე-13 რვეული მხოლოდ 9 გვერდს შეიცავს. ხელნაწერი დაწერილია საკმაოდ გარკვეული ხელით, განსაკუთრებით პირველ გვერდებზე. მასში არ არის პასვენი ნიშნები. ტექსტი სინგურით არის გამოყოფილი ქორონიკონების დასახელებით. წითელი ხაზით არის აღნიშნული აგრეთვე ტექსტის ზოგიერთი ადგილიც, რაშიც არავითარი კანონზომიერება არ დგინდება და უფრო ხშირად შემთხვევითი ხასიათი აქვს⁷.

ქრონიკის პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის შესახებ ცნობებს გვაწვდის ე. თაყაიშვილი. მისი ჩვენებით, ხელნაწერს (ძველი ნუმერაციით № 6, ახლით № 23) თავში ორი ფურ-

⁵ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, გვ. 12.

⁶ ა. ტ უ ლ უ შ ი, თ. თ ო ლ უ ა, თეიმურაზ ბაგრატიონის უცნობი მინაწერები, გაზეთი „წიგნის სამყარო“, 1973, 12 სექტემბერი, № 17 (123).

⁷ Chronique géorgienne, გამოკვლევა, § V.

ცელი აკლია, ბოლოში ექვსი. ტექსტში ხშირია ცარიელი, შეუფესებელი ადგილები. ჰეირნიშანი წარმოადგენს გვირგვინს. ტექსტს არაცივთარი შენიშვნა არა აქვს⁹. აღნიშნული ხელნაწერი თხზულების დედანი არ უნდა იყოს: „პარიჟის ხრონიკაში, ანუ უკეთ ვსთქვათ იმ ფარიანტში, რომელიც მხოლოდ პარიჟში მოიპოვება, ტექსტი ალავალავ გარყვნილია უმეცარი გადამწერების მიერ. ამიტომაც ძლიერ საჭიროა მოიძებნოს ჩვენი ძსხვა უკეთესი ვარიანტი ხსენებული ხრონიკისა, რომელიც შედეგი ქართლის ცხოვრებითურთ ერთ უმთავრეს წყაროს შეადგენს ჩვენი ისტორიის მეორე ნახევრის პერიოდისა“¹⁰. ქრონიკის მეორე ხელნაწერი, დაცული პარიზის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკაში, ე. თაყაიშვილის აზრით, გადამწერილია მ. ბროსეს გამოცემიდან და მოკლებულია მეცნიერულ მნიშვნელობას¹⁰.

ზოგიერთ მონაცემს ქრონიკის ხელნაწერის შესახებ გვაძლევს ა. ხაბანაშვილი¹¹: „№ 6 in 4^o, 96 გვ. ყლით, წარმოადგენს ქართულ ქრონიკას, თუმცა ის ორიგინალი კი არ არის“... რომ ხელნაწერი ქრონიკის ორიგინალი არ არის, ამავე აზრისაა სენ-მარტენი¹², რომელიც გამოეხმაურა მ. ბროსეს 1831 წლის პუბლიკაციას.

დანარჩენი მკვლევრები ეცნობოდნენ ქრონიკას ან მ. ბროსეს, ან ზ. ჰიჭინაძის 1903 წლის გამოცემების საშუალებით. მ. ბროსეს გამოცემაში ლითოგრაფიულად¹³ დაიბეჭდა მისი ხელით გადამწერილი ქრონიკის ქართული ტექსტი. ტექსტის ბოლოს მინაწერია:

„დიდება ღა (ღმერთსა—გ. ა.) ყთა (ყოველთა—გ. ა.) მასრრლსა.

⁹ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 54—55.

¹⁰ სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, თბ., 1890, გვ. LXVII.

¹¹ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები... გვ. 55.

¹² ა. ხაბანაშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, „მოამბე“, 1898, № 1, ნაკ. 2, გვ. 9.

¹³ J. Saint-Martin, ცხოვრება საქართველოჲსა. Tskhovreba Sakarthveloisa. Journal des Savants, Paris, 1831, გვ. 88.

¹⁴ აღსანიშნავია, რომ ეს ქართული ტექსტის ლითოგრაფირების პირველი შემთხვევაა (იხ. ზ. ჰიჭინაძე, ქართული სტამბა და მფევე ვახტანგ მეექვსე, თბ., 1909, გვ. 27); მ. ბროსეს ამ გამოცემის შესახებ იხ. რ. დოდაშვილი, მარტო ბროსე, თბ., 1962, გვ. 106—110.

(მასრულებელსა—გ. ა.)“ და ცოტა ქვემოთ: „სრულ იქმნა ხელითა ბროსეტისათა თიბათვეს 23 წელსა 1829 ქკსა ფიზ.“ სენ-მარტენის აზრით, ქრონიკის შინაარსს არ ასახავს ფართო დასახელება „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა“, რომელიც მ. ბროსემ დაუსათაურებელ თხზულებას უწოდა¹⁴. ქართულ სათაურს არ შეესაბამება ფრანგული დასახელება „Chronique géorgienne“ („ქართული ქრონიკა“).

გამოცემა ზუსტად არ იმეორებს ქართული ქრონიკის ხელნაწერის ტექსტს. როგორც მოგვიანებით თვით მ. ბროსემაც შენიშნა¹⁵, მან ხელნაწერის „მცდარი“ „მუ“ წინსართი „მო“-თი შეცვალა სიტყვებში: მუჟღოდა, მუჟხდა, მუჟდგნენ და ა. შ. ამან გამოიწვია სენ-მარტენის შენიშვნა. რეცენზენტის აზრით, რაკი არ ხერხდებოდა ქართული ტექსტის სტამბური წესით გამოცემა, ლითო-გრაფირებული უნდა ყოფილიყო თვით ხელნაწერი¹⁶.

ზ. ჭიჭინაძის გამოცემა იმეორებს მ. ბროსეს პუბლიკაციას¹⁷. მ. ბროსესაგან განსხვავებით, ზ. ჭიჭინაძე ტექსტს აბზაცებად ჰყოფს, შემოაქვს პუნქტუაცია; მისი კონიექტურები ყოველთვის არ არის გამართლებული. ხშირია გამოცემაში კორექტურული შეცდომებიც, ადგილების გამოტოვება, ან პირიქით — გამეორება. გამოცემას გამოკვლევა არ ერთვის, ხოლო მოკლე წინასიტყვაობაში გამომცემელი ზოგჯერ უზუსტობას უშვებს, ვინაიდან არ იცნობს უშუალოდ მ. ბროსეს ნაშრომს. „იგინი (ლაპარაკია აღმოსავლეთის შემსწავლელ ფრანგ მეცნიერებზე — გ. ა.) „პარისის ქრონიკასაც“ დიდად აფასებდნენ, „ქართლის ცხოვრების“ ღირსებისათვის დიდ საუნჯეთ სთვლიდნენ, ამიტომ ამის დასტამბვა არამც თუ მართოდ სტამბით, არამედ ლიტოგრაფიით დასტამბეს და მის საშუალებით შეინახეს თვით პირველ სახეობა ამ „ქრონიკის“ ანბანისა“. ე. ნ. მ. ბროსეს ხელით გადაწერილი ქრონიკის ტექსტი მას მიაჩნია თხზულების დედნად.

ამგვარად, დღემდე არა გვაქვს ქრონიკის ტექსტის მეცნიერული გამოცემა. ცოტა ხნის წინ მოხერხდა პარიზის ნაციონალურა

¹⁴ J. Saint-Martin, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—88.

¹⁵ Matériaux pour servir a l'histoire de la Géorgie depuis l'an 1201 jusqu'en 1755 par M. Brosset, Extrait des mém. de l'Acad. Imp. des sc. VI. sér. sc. pol. etc TV St.-Petersbourg, 1841, გვ. 6.

¹⁶ J. Saint-Martin, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

¹⁷ ზ. ჭიჭინაძის გამოცემის უკანასკნელ 77-ე გვერდზე აღნიშნულია: „საქართველოს ცხოვრება“ ვაღმოვწერე ნამდვილად თბილისის საზოგადოების ბიბლიოტეკიდან გიორგი არეშიძემ 1893 წელსა“. ქვემოთ გაკეთებული შენიშვნა: „დედანხედ ისეა დაბეჭდილი, რომ არსად არაფერი აკლია“.

ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიკროფილმის მიღება¹⁸. ამჟამად ჩვენ განკარგულბაშია ხელნაწერის ფოტოპირები. ტექსტი დაწერილია 190 1/2 გვერდზე საკმაოდ კარგი მხედრულით, ერთი გადაწერის მიერ, როგორც ჩანს, სხვადასხვა მელნით. თითოეულ გვერდზე მოთავსებულია 14 ან 15 სტრიქონი. გადატანის ნიშანი ყველგან მძიმეა. ხელნაწერში გვხვდება გადაწერის შეცდომები, ზოგიერთი გამოტოვებული ადგილი. ხელნაწერი მართლაც არ უნდა იყოს ავტოგრაფი. ამის სასარგებლოდ შემდეგი მონაცემები მეტყველებს: დასაწყისისა და დასასრულის გარდა ხელნაწერს აკლია ზოგიერთი ადგილი თვით ტექსტშიც. არის ქრონიკაში გაუგებარი ადგილები; რაც ნაკლებ მოსალოდნელი იყო, ხელნაწერის დამწერს რომ უშუალოდ ძირითადი წყაროებით ესარგებლა. მაგალითად, ერთ-ერთი ნაწყვეტი, რომელიც გრიგოლ დოდორქელის „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“-ს მიხედვით არაა გამართული, ძირითად წყაროში ასე იკითხება: „ვევედრებოდა... უფალო ნუ მისცემ ერსა ამას შენსა უაჯულოთა... ამას ზედა მზა იყენეს იგინიცა უსჯულონი“. ქრონიკაში ვედრების სიტყვები გამოტოვებულია და ტექსტი ასეთ სახეს იღებს: „ეხვეწებოდა ღმერთს ამზა მზა იყო კონსტანტინეს ჯარი“. ქრონიკაშია: „ისელა კონსტანტილე რამლი თავისი“, ძირითად წყაროში კი: „იხილა ბილწმან კონსტანტინე რამლი თჳსი“. მსგავსი სხვა მაგალითების მოტანაც შეიძლება. თარიღების მითითებისას ძირითადი წყაროს 3 ყველგან გადმოტანილია, როგორც ე. როგორც ჩანს, გადაწერმა არ იცის ამ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა, მაშინ როდესაც შემდგენელის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი სწორედ ქრონოლოგიური თანამიმდევრობაა, რაც თითქმის მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევებში ირღვევა.

† გადაწერი წარმოშობით შესაძლებელია დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, გურიიდან ან იმერეთიდან იყოს. †ამაზე მიუთითებს სიტყვები — მუუდგა, მუუძლოდა, მუუვიდნენ, და ა. შ. „ნეფე“ „მეფეს“ ნაცვლად¹⁹. ხელნაწერის პალეოგრაფიული თავისებურებებიდან აღსანიშნავია **ღ**-ს ხაზის ზემოთ დაწერა, **ჟ**

¹⁸ თუ რა გზებით ხდებოდა საფრანგეთში ქართულ ხელნაწერთა შეღწევა ამის შესახებ იხ. Ш. А. Х а н т а д з е, Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970, გვ. 27—38.

¹⁹ ამ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორც მ. ბროსე შენიშნავს, ქრონიკას იმერეთს უკავშირებენ. იგივე აზრისაა, ჩანს, მ. ბროსეს. Matériaux pour servir a l'histoire de la Géorgie depuis l'an 1201 jusqu'en 1755, გვ. 6.

გახსნილი ფეხით, **6** გახსნილი თავით, მარჯვნივ გადახრილი. გა-
 ლაბმები **3, 8, 9**. +XVIII ს-ის ხელნაწერებთან შედარებამ

მასწავლებლის მარჯვნივ უნდა იდგას. ამის თანახმად შენაწესდა ეს
 იქვე პირობებიც უნდა იქონიებდნენ. ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ
 ესეც უნდა იქონიებდნენ. ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ. ამის
 თანახმად უნდა იქონიებდნენ. ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ.
 ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ. ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ.
 ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ. ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ.
 ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ. ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ.
 ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ. ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ.
 ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ. ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ.
 ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ. ამის თანახმად უნდა იქონიებდნენ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—462

აღნიშნული ხელნაწერი მიუახლოვდა პირველი ნახევრისას. ანალო-
 გიური ხელნაწერები უპირატესად XVIII ს-ის დააწყისსა და 30-
 იან წლებში გვხვდება. მაგრამ ზუსტი დათარიღებისათვის პალეო-
 გრაფიული მონაცემები არ იძლევა მყარ დასაყრდენს²⁰. ქრონიკის

²⁰ XVIII ს-ის ხელნაწერთა შორის, რომელთა გადამწერები ცნობილია, ჩვენ
 ნუსხას პალეოგრაფიული მონაცემების თვალსაზრისით შედარებით დაუახლოვდა
 1725 წელს დათუნა მაგრაქელიძის მიერ ხელნაწერთა ინსტიტუტის მოსკოვში გა-
 დაწერილი ხელნაწერი H—109, თითქმის დაემთხვა 1733 წელს მოსკოვში პაპუნა
 თუმანიშვილის ხელით გადაწერილ H—462-ს. დიდი მსგავსებაა საქ. ცენტრალური
 სახ. საისტორიო არქივის 1734 წელს გადაწერილ ხელნაწერთან. მაგრამ მსგავსი
 ნუსხები, თუმცა ერთეულები, გვხვდება ამავე საუკუნის მე-2 ნახევარშიც. მაგ.
 1788 წლის ერთ-ერთი ნუსხა ხელნაწერთა ინსტიტუტის Q-296. ხელნაწერთა ნიმუ-
 შები გავიაცნო ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა ი. გაჩეჩილაძემ, რისთ-
 ვისაც მადლობას მოვასხვებთ.

შესახებ. ზოგიერთ უმნიშვნელო ცნობას ამის შესახებ ვპოულობთ ზუგდიდის მუზეუმის ეგზემპლარის ეტიმოლოგიულ ნინაწერში: „ეს ისტორია ძველად ქართველს ვინავე პარიზში მიეტანა და იქ... სენ-მარტენმა, რომელიც მეაზიელი საზოგადოების პრეზიდენტი იყო, დიდი მეცნიერი კაცი, იპან მოიტანა. სენ-მარტენმა ეს წიგნი ბროსეს ათარგმნინა ფრანციულს ენაზე და დაბეჭდეს“²¹. სენ-მარტენის აზრით, ხელნაწერი არც ისე დიდი ხნის წინაა გადაწერილი: „ხელნაწერს არა აქვს არავითარი მინიშნება, რაც შესაძლებელს გახდიდა მისი გადაწერის თარიღის განსაზღვრას; თუმცა იგი საკმაოდ ახალი უნდა იყოს“²².

ქრონიკის მ. ბროსესეული შეფასება საკმაოდ მკაცრია. მისი აზრით, წყაროს მოკლე, მშრალი ცნობები სარჩევს უფრო ჰგავს. არაიშვიათაა მასში არასწორი თარიღები, ცნობათა თანამიმდევრობის დარღვევა. ტექსტის გამოცემის დროს მ. ბროსეს შესაძარბვლად თითქმის არავითარი მასალა არ გააჩნდა. ამიტომ, ბუნებრივია, მისი კომენტარები ხშირად თვით საჭიროებს დაზუსტებას. მ. ბროსეს აღრეული დაკვირვებებიდან ყურადღებას იმსახურებს ვარაუდი, რომ ცნობები დიდ მოურავზე შესაძლოა ამოღებული იყოს რაღაც სხვა წყაროდან²³.

ათი წლის შემდეგ რუსეთში მ. ბროსემ განახორციელა ქრონიკის მეორე თარგმანი. ამჯერად მეცნიერი მდიდარ მასალას ეყრდნობა, იცნობს მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებით შემკვიდრობასაც, რამაც განაპირობა გამოკვლევის შედარებით მაღალი დონე. ამკვლევარი აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ქრონიკის სხვადასხვა ადგილი თანაბარი სისრულის არ არის და გამოყოფს სამცხის ისტორიას, სადაც მისი აზრით, ვახუშტისათვის წყაროს ან თვით ქრონიკა წარმოადგენს, ან ორივე რომელიმე საერთო წყაროს ეყრდნობა²⁴. ე. ი. ზ. ბროსე უახლოვ-

²¹ ა. ტ უ ლ უ შ ი, თ. თ ო ლ უ ა, დასახ. ნაშრომი.

²² Saint-Martin, დასახ. ნაშრომი, გვ. 88. შ. ხანთაძის ცნობა იმის შესახებ, თითქოს ხელნაწერი საქართველოდან პარიზში ჩაუტანა 1826 წელს ვიქტორ ლეტელეს, არ დასტურდება (შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მ ა რ ი ბ რ ო ს ე, თბ., 1966, გვ. 20; Ш. А. Х а н т а д з е, Академик Мари Броссе и европейское и русское грузинповедение, с. 65).

²³ Chronique géorgienne, შესავალი, § V, III.

²⁴ M. B r o s s e t, Matériaux pour servir à l'histoire de la Géorgie depuis l'an 1201 jusqu'en 1755, გვ. 10, 11.

დება დასკვნას, რომ ქრონიკა კომპილაციაა, შედგენილი სხვადასხვა ძეგლების მიხედვით, რომელთა შორის არის წყარო დიდ მოურავზე და სამცხე-საათაბაგოს ისტორია. ქრონიკის არქიტექტონიკას შეეხო ა. ხახანაშვილიც²⁵. „ქრონიკონები, სხვათა შორის, მით არიან საყურადღებონი, რომ იქ მოსჩანს კვალი სხვადასხვა ავტორთა ნაწერებისა, ზოგნი მათგანნი თვით ყოფილან მოწამენი, მაგალითად, მესხეთის ამბებისა... ან შაპაბაზის შემოსევის დროისა და ზოგი ისტორიულ ფაქტებს მოგვითხრობს, როგორც გამგონნი ან წერილობით წყაროს მცოდნენი“²⁵.

ჟველაზე მეტი წვლილი ქრონიკის შესწავლას საქმეში შეიტანა ე. თაყაიშვილმა²⁶. ვინაიდან თხზულების ხელნაწერი პარიზშია დაცული და იქვე გამოიცა, ე. თაყაიშვილმა წყაროს პირობითად „პარიზის ქრონიკა“ უწოდა. ამ დასახელებამ „ქართულ ქრონიკასა“ და „ცხოვრებამ საქართველომსა“-სთან შედარებით მეტი პოპულარობა მოიპოვა. მკვლევარმა დაადგინა, რომ თხზულება კომპილაციურია და გამოყო მისი შემადგენელი ძირითადი წყაროები: „მესხური მატიანე“, შედგენილი 1561—1587 წლებში, გელათში შექმნილი ქრონიკა — ვახუშტის ერთ-ერთი წყარო, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის დღიური. შემდეგ ე. თაყაიშვილი შეეცადა დაეკავშირებინა „პარიზის ქრონიკასთან“ ერისთავთა დაუჯდომელის ქრონიკა, რომელიც, მისი აზრით, XVII ს-ის დამდეგს მიეკუთვნება. ქრონიკას საფუძვლად დაედო სხვადასხვა დროისა და ავტორთა წყაროები: „უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯგუფი ფაქტებისა, რომელიც მოიცავს ჩვენ ქრონიკაში 13—49 პარაგრაფებს, შეადგენდა განსაკუთრებულ წყაროს კინკლოსთა მინაწერებისა და ცალკეული ჩანაწერების სახით, ეს სულ ერთია, საიდანაც ჩვენმა და პარიზის ქრონიკების შემდგენლებმა ამოკრიფეს ნაჩვენები ცნობები“²⁷.

ზოგიერთი რამ ამ მოსაზრებებს დაუმატა თ. უორდანიამ. კერძოდ, მან გამოავლინა, რომ „პარიზის ქრონიკის“ ავტორი ეყრდ-

²⁵ ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

²⁶ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული ხრონიკა, თბ., 1890; მისივე Источники грузинских летописей, Три хроники, СМОМПК, XXVIII, 1900; Е. Т а к а й ш в и л и, Хроника эристовского акафиста, СМОМПК, XXIХ, 190; მისივე, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, პარიზი, 1933; Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей библиотеки «Общества распространения грамотности среди грузинского населения», СМОМПК XXXIII, 1901, с. 1.

²⁷ Е. Т а к а й ш в и л и, Хроника эристовского акафиста, с. 5.

ნობა არა მარტო ნარატიულ წყაროებს, არამედ დოკუმენტურ მასალას. ასეთებია, მისი აზრით, ალექსანდრე I-ის სიგელი 1440 წლისა და როსტომ მეფის 1648 წლის „ერცელი და საყურადღებო გუჯარი“²⁸.

ი. ჭავჭავიძემ გაიზიარა „პარიზის ქრონიკის“ შემადგენელი ნაწილების შესახებ ე. თაყაიშვილისა და თ. ჟორდანიას მოსაზრებები და დაუმატა მათ ერთი წყარო — ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების უკანასკნელი ნაწილი²⁹. იგივე გაიმეორა ს. კაკაბაძემ³⁰. ი. ჭავჭავიძემ გარდა ამისა შეაწორება შეეტანა ე. თაყაიშვილის ზოგიერთ მოსაზრებაში. კერძოდ, ცნობები დიდ მოურავთან დაკავშირებით, მისი აზრით, შემოტანილია იოსებ ტფილელის ისტორიული პოემიდან „დიდმოურავიანი“. „პარიზის ქრონიკა“ მკვლევარს სრ მიაჩნია მაღალი ღირებულების წყაროდ. ჯ „შემადგენელი თავისი ნაშრომის უკანასკნელ ნაწილში ყოველგვარი მასალებით განურჩევლად სარგებლობს და მეტად ტლანქ კოჰპილატორად მოჩანს, ხოლო რაკი მისმა წყაროებმა ჩვენამდის მოაღწია, ამიტომ ამ უკანასკნელ ნაწილს თითქმის არავეთარი მნიშვნელობა არა აქვს“³¹. ასეთი შეფასების შემდეგ უნდა ვივარაუდოთ, რომ მკვლევრის შემდეგი მოსაზრება ქრონიკის პირველ ნაწილზე ვრცელდება: „როგორც ქ. ცხ-ის გადაკეთებულ გაგრძელებას, ასევე „პარიზის ქ-კას“ ეხლა მხოლოდ იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ამ ორ თხზულებაში ვრცელი ამონაწერებია შენახული სხვადასხვა ძველი მატრიანეებითგან, რომლებიც ან დაკარგულია, ან ჯერ აღმოჩენილი არ არიან“³².

† მოხერხდა კიდევ ერთი თხზულების მიგნება, რომელსაც ფართოდ იყენებს „პარიზის ქრონიკის“ ავტორი. წყარო გამოავლინა

²⁸ თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, ტფ. 1897, გვ. 247—248, იქვე „შინაარსში“, IX CXXI.

²⁹ ი. ჭავჭავიძე იშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1946, გვ. 360—361.

³⁰ ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, წ. II, თბ., 1925, გვ. XIII.

³¹ ი. ჭავჭავიძე იშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 361; რომ ქრონიკის წყარო პოემას „დიდმოურავიანი“, ამავე აზრის არიან ს. ცაიშვილი და რ. ფირცხალაიშვილი (ს. ცაიშვილი, „დიდმოურავიანი“ როგორც საისტორიო წყარო, „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, კრ. I, 1962, გვ. 109—115; რ. ფირცხალაიშვილი, იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978).

³² ი. ჭავჭავიძე იშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 361.

ტ. რუხაძემ. ეს არის გრიგოლ დოდორქელის „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“³³.

ამგვარად, მკვლევართა აზრით, ე. წ. „პარიზის ქრონიკის“ ძირითადი წყაროებია: 1. გელათური ქორონიკონი, 2. ალექსანდრე I-ის 1440 წლის სიგელი, 3. მესხური მატიანე, 4. გ. სააკაძის დღიური (ე. თაყაიშვილი) ან იოსებ ტფილელის ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“ (ი. ჯავახიშვილი), 5. როსტომ მეფის 1648 წლის გუჯარი, 6. გრიგოლ დოდორქელის „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“ და 7. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების უკანასკნელი ნაწილი. †

ე. თაყაიშვილისა და ი. ჯავახიშვილის აზრით, გელათური ქორონიკონის ცნობები „პარიზის ქრონიკაში“ იწყება თავიდან და ე. თაყაიშვილის აზრით მთავრდება იქ, სადაც იწყება „მესხური მატიანის“ ცნობები (10 გვ. ზ. კიკინაძის გამ.)³⁴, ხოლო ი. ჯავახიშვილის მიხედვით იქ, სადაც ეს ცნობები მთავრდება (დაახლ. 21-22 გვ.)³⁵. მაგრამ, როგორც ი. ჯავახიშვილი თვლის, „გელათური ქორონიკონი“ დამოუკიდებლად „პარიზის ქრონიკაში“ შენახულია მხოლოდ მე-7 და მე-8 გვერდებზე, დანარჩენ ადგილას იგი წყაროებიდან ამოღებულ ცნობებშია არეული. მკვლევართა აზრით, ეს ის იმერული „ძველი გარიგების და სამართლის წიგნია“, რომელსაც ვახუშტი თავის ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს³⁶. გამოთქმული ვარაუდების თანახმად, გელათური ქორონიკონი შესულია „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაშიც, მაგრამ „პარიზის ქრონიკას“ უკეთ აქვს შენარჩუნებული მისი თავდაპირველი სახე³⁷. შევეუდართო ქრონიკის მონაცემები ვახუშტის ნაშრომსა და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებას.

როგორც აღინიშნა, „პარიზის ქრონიკის“ ხელნაწერს გვ. 1-4 აკლია და თხზულება მხოლოდ მე-5 გვერდიდან იწყება. პირველი შვიდი ცნობა მასში ძალიან მოკლედ არის გადმოცემული. სწორედ ასეთი ცნობები, ჩანს, ჰქონდა მხედველობაში მ. ბროსეს, როდესაც აღნიშნავდა „სარჩევს უფრო ჰგავსო“. 1413 წლის ცნობა, მათგან აშკარად განსხვავებული გაბმული თხრობით, ისეთ შთაბეჭდი-

³³ ტ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, „ლიტერატურული ძიებანი“, V, თბ., 1949, გვ. 238—239, 251—256.

³⁴ ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. CXLIV.

³⁵ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

³⁶ ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. CXLIII.

³⁷ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

ლებას ქმნის, თითქოს ავტორს აქ რაღაც სხვა წყარო შემოაქვს. ეს
ის ცნობაა, რომლის წყაროც, თ. უორდანიას აზრით, ალექსანდრე
I-ის 1440 წლის სიგელია. ცნობა სიტყვასიტყვით მეორდება „ქარ-
თლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში. ამავე დროს თვით
სიგელი გაცილებით ვრცელია. მოგვყავს აღნიშნული სიგელი და
„ქ. ცხ-ის“ ცნობა.

ალექსანდრე მეფის 1440 წლის სიგელი

მეფეთ დევჯექ [იყო მაშინ ყოველი საქართ]ველო ურ-
ჯულოსა თემურისგან [აოკრებულ] და ქართლი უნუგეში-
ნისცემოდ განსრული დაგვხუდა. ესრეთ რომელ ურჯულო
[იგი შემოვიდა] საქართველოს ქ-კსა: ჰმ (1402 წ.) და ვიდ-
რე ჩნად მეფობასა დაჭირვამდე ესრეთ გსლ (გარდასული-
ყო?) ტფილისით ციხითა მეფე ბაგრატ და ანნა ღფი (დედო-
ფალი) გამოასხნეს, დაატყუშვეს და მრავალი სული მოესრა,
და თავად დედაქალაქი მცხეთა და რაოდენნი საქართველოსა
საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუნეს, ყოველნი დაექ-
ცივნეს (sic) საფუძველითურთ დაექცივნეს და სლ საქართვე-
ლო ტყუშ ექმნეს და ჩუშნის მეფობისა დაჭირვამდე მუდამი
ტყუშნვა და რბევა იყო საქართველოსა, და მოოკრდა იავარ
აქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეშინისცემა არსით ჰქონდა,
და შენ-მიერთა შეწევნითა და წინამძღუარებითა ჭუარისა
პატიოსნისათა ვიწყე ბრძოლად ურჯულოთა და განვასხენ
მზღუარათაგან ჩუშნთა³⁸.

„ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელების ცნობა

დაჯდა მის წილად ძე მისი ალექსანდრე... იყო მაშინ ყო-
ველი ესე საქართველო უსჯულოსა თემურისაგან უნუგეში-
ნისცემოდ განსრული, და სრულიად აოკრებული დედა-ქალა-
ქი მცხეთა და დიდი წმიდა კათოლიკე ეკლესია, და ეგრეთვე
ყოველნივე ეკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე სრუ-
ლიად საფუძველითურთ დაექცია და მოეოკრებინა, და ყო-
ველნი სულნი ქრისტეანენი დედაწულითურთ ტყუე ექმნა.

³⁸ თ. უორდანია, ქრონიკები, II, გვ. 247—248.

ესე იავარ-ნაქმარ ქართლზე მეფე იქმნა. ამის მეფობამდე მუ-
დამი ტყუენვა, რბევა და მოოკრება ჰქონდა ქეყყანასა ჩუენ-
სა, რომელ ქართლი დიდად შემცირებულ იყო მრავლის
ტყუენვისა და რბევისაგან, და არა სადათ აღუჩნდათ ნუგე-
შინისმცემელი“...³⁹

აეთი*დამთხვევა „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრ-
ძელებასა და „პარიზის ქრონიკას“ შორის ერთადერთი ვარაუდის
საფუძველს იძლევა: ერთ-ერთი თხზულება არის წყარო მეორესა-
თვის.

ე. თაყაიშვილის აზრით, „პარიზის ქრონიკა“ „ქართლის ცხოვ-
რების“ გადაკეთებულ გაგრძელებაზე აღრეა დაწერილი და ამბე-
ბიცი საზოგადოდ ერთგვარად არის მოთხრობილა როგორც „პარი-
ზის ქრონიკაში“, ისე შედეგ „ქართლის ცხოვრებაშიც“⁴⁰. ამავე
აზრისაა ს. კაკაბაძე⁴¹. ს. ყაუხჩიშვილსაც, ე. თაყაიშვილის მსგავ-
სად, „პარიზის ქრონიკა“ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული
გაგრძელების ერთ-ერთ წყაროდ მიაჩნია⁴².

დაწყებული 1414 წლის ცნობით, ვიდრე „მესხური მატიანის“
ცნობები გრძელდება, „პარიზის ქრონიკაში“ გვხვდება „ქართლის
ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელებისაგან განსხვავებული სულ
რამდენიმე მონაცემი. ტექსტების ურთიერთშედარება გეარწმუნებს,
რომ ერთი და იმავე მონაცემების მოტანისას სხვაობა „ქართლის
ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებასა და „პარიზის ქრონიკას“
შორის იმით გამოიხატება, რომ მეორეში გამოტოვებული, ან არა-
ზუსტად გადმოცემულია პირველის ზოგიერთი წინადადება, ან სი-
ტყვა. „პარიზის ქრონიკაში“ გამეორებულია ყველა ის შეცდომა
თუ ცვლილება, რაც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრ-
ძელების ავტორს შეაქვს „მესხური მატიანის“ მონაცემებში. „მეს-

³⁹ ქართლის ცხოვრება II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის
მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 473.

⁴⁰ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. CXXXIV.

⁴¹ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. XIII.

⁴² Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей библиотеки «Общества
распространения грамотности среди грузинского населения», СМОМПК,
XXXVI, 1906, გვ. 91; „ქ-ცხ“-ის II ტომის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „მე-
სამე ტომში შევა ზოგიერთი ის წერტილი თხზულება, რომლებიც ხელთ ჰქონდათ
ვახუშტის (მაგ. „მესხური დაეთონის მატანე“) და „ქართლის ცხოვრების“ გადამუ-
შავებული გაგრძელების ავტორს (მაგ., ე. წ. „პარიზის ქრონიკა“). ქ ც ხ., II, გვ.
06.

ხური მატიაწისაგან“ განსხვავებული ყველა სხვა ცნობაც როგორც მდებარეობით, ასევე ხშირად სიტყვასიტყვით ემთხვევა იმავე „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების მონაცემებს. ამ გარემოების ასახსნელად, ვფიქრობთ, არ არის საკმარისი ვარაუდი, რომ „ქაც ხსენებული ხრონიკების შემადგენელთ ერთგვარი მასალა ჰქონიათ ხელში, ერთ და იმავე წყაროთი უსარგებლებიათ, და ამიტომაც ეს სხვა წყაროებიდან შემოტანილი ამბებიც საზოგადოდ ერთგვარად არიან მოთხრობილნი“⁴³... ნათელი ხდება, რომ „პარიზის ქრონიკის“ ავტორი სარგებლობს არა უშუალოდ „მესხური მატიაწის“, არამედ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებით. ამავე დროს მიათვის, ჩანს, არ არის უცნობი არც ძირითადი წყარო, ვინაიდან, ჩვეულებრივ, სწორედ ჩანართ ცნობებს ამოკლებს.

ამგვარად, დაწყებული თავიდან 1567 წლის ცნობის ჩათვლით „პარიზის ქრონიკის“ ძირითადი წყაროებია „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება და „მესხური მატიაწი“. ალექსანდრე I-ის 1440 წლის სიგელი არ წარმოადგენს „პარიზის ქრონიკის“ უშუალო წყაროს. არ დასტურდება არც ე. თაყაიშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ზოგჯერ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში „არიან ისეთი შეცდომები, რომელნიც პარიზის ქრონიკაში არ მოიპოვებიან“⁴⁴.

აღნიშნულ ნაწილში გვხვდება სულ რამდენიმე ცნობა, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „პარიზის ქრონიკა“ „გელათურ ქორონიკონთან“ ურთიერთობის გასარკვევად. ვინაიდან უკანასკნელი არ შემორჩენილა, დაახლოებით წარმოდგენა მის შესახებ შეგვიძლია შევიქმნათ ვახუშტის მონაცემების მიხედვით. მისი ჩვენებით, ქორონიკონი შეიცავდა ცნობებს მეფეებისა და მთავრების შესახებ „თამარიდან სვიმონის ძის გიორგისამდე“... ვახუშტის მიერ ციტირებული „გელათური ქორონიკონის“ ცნობები არ ემთხვევა „პარიზის ქრონიკისას“, მაშინ როდესაც ქრონიკა უფრო ხშირად ზუსტად იმეორებს თავისი წყაროს მონაცემებს. არ გამოდგება მათ დასაკავშირებლად არც არგუმენტი, რომ „ვახუშტისა არ

⁴³ ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. CXXXIV; ი. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, რომ „საერთო ნაწილში პარიზის ქრ-საც თითქმის იგივე წყაროები ჰქონია, რაც ქ-ის გადაკეთებულს გაგრძელებას“ (ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 358).

⁴⁴ ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, CXXXV.

იყოს „პარიზის ქრონიკაშიც“ ჯერ არ არის შეფის ბინადრობა და სამფლობელო მოხსენებელი გიორგისამდე ბისა ალექსანდრესი, ხოლო შემდეგ მითითებულია“⁴⁵. ისტორიული მასალების მიხედვით, თითქოს გიორგი VIII ზეობით მართლაც მთავრდება ერთმეფობა საქართველოში. თუ ასეა, ეს ვითარება „გელათური ქრონიკონის“ გარდა ნებისმიერ სხვა წყაროშიც უნდა ყოფილიყო ასახული. რაც შეეხება „პარიზის ქრონიკას“, მისი ცნობების მიხედვით შეუძლებელია ზუსტი ზღვარის გავლება. უკანასკნელი ცნობა, სადაც მოხსენიებულია მეფე, 1503 წლისაა: „ქკსა რუა მეფე კოსტანტინე მიიქვალა“. ხოლო 1511 წლის ცნობა უკვე კახეთის მეფეს ეხება: „ქკსა რუთ მოკლა კანთა მეფემან გიორგი მამა მისი, მეფე ალექსანდრე და ძჳას თვალები დასთხარა დიმიტრის“. მაგრამ 1511 წლის ცნობის შემდეგაც, 1519, 1526 წლების ცნობებში, მეფე მოხსენიებულია ყოველგვარი განმარტებების გარეშე. „პარიზის ქრონიკის“ გელათთან დაკავშირებული ცნობების ვახუშტისთან შედარება გამორიცხავს მათ შორის რაიმე კავშირს. მცირე მსგავსება არ არის საკმარისი არც სიერთო წყაროს სავარაუდებლად, ცინაიდან ანალოგიური ცნობები სხვა ქრონიკებშიც გვხვდება. ამჟამად ალექსანდრე მასალის მიხედვით შეუძლებლად მიგვაჩნია „პარიზის ქრონიკის“ ამ ცნობათა წყაროს დადგენა.

ძნელია რაიმე კანონზომიერების დადგენა „პარიზის ქრონიკისა“ და „ერისთავთა დაუჯდომელის ქრონიკის“ ურთიერთობაში. „ერისთავთა დაუჯდომელის ქრონიკა“ „პარიზის ქრონიკაზე“ აღრეა შედგენილი. მიუხედავად ამისა, ერთი და იმავე ცნობებში იგი მეტ უზუსტობას უშვებს. „პარიზის ქრონიკის“ მონაცემები უფრო ვრცელია. მისი მთელი რიგი ცნობებისა არ არის „ერისთავთა დაუჯდომელის ქრონიკაში“, ზუსტად მხოლოდ რამდენიმე ცნობა ემთხვევა. ამავე დროს, როგორც დგინდება, „პარიზის ქრონიკის“ შემდგენლისათვის აქ ძირითადი წყარო „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული ვერსიონებია.

1605 წლის ცნობიდან ქრონიკის შემდგენელი სარგებლობს ფარსადან გორგიჯანიძის ნაშრომით. იმავე 1605 წელს გამოყენებულია გრაგოლ დოდორქელის თხზულება „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“ (გვ. 23). ფარსადანისა და მისი მონაცემები ერთმანეთს ცვლის. როგორც აღინიშნა, გ. სააკაძეზე ცნობებთან დაკავშირებით ი. ჭავჭავაძის მიერ შეასწორა ე. თაყაიშვილის ვარაუ-

⁴⁵ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

დი. მისი აზრით, ცნობების წყარო არა გ. სააკაძის დღიურია, არამედ იოსებ ტფილელის პოემა „დიდმოურავიანი“. ამას ადასტურებს ქრონიკაში შემორჩენილი პოემის ნაწყვეტები: „როდის გნახვენ დიდნი კაცი, შეგიკვეთენ დაგდებასა, ჩემსა ცუდად დაქერასა და სუბუქად აგდებასა. შადიმან მყავს მტერი, გეტყვის სიკვდილსა და გაგდებასა, და ახლავ გიჯობს ჩამამესხნა, ბოლოს ქირში ჩაგდებასა“. ანდა „ერთი კაცი ქვეყნისათვის წახდეს, თუნდა კარგი იყოს“. ცნობები „დიდმოურავიანიდან“ ჩნდება 1609 წლიდან, გრძელდება თითქმის 37 გვერდის შუამდე და მხოლოდ რამდენიმეჯერ წყდება ფარსადანის მონაცემებით; შემდეგ ერთხანს კვლავ ფარსადანისა და გრიგოლ დოდორქელის ცნობებია. უკანასკნელი წყდება 1615 წელზე (38 გვ.). 1615 წლის ცნობაში (გვ. 42-43) ისევ ჩართულია ორი ნაწყვეტი „დიდმოურავიანიდან“.

როგორც მოსალოდნელი იყო, „პარიზის ქრონიკის“ შემდგენელი გვერდს ვერ უვლს ვერც არჩილის პოემას „გაბაასება რუსთველისა თეიმურაზთან“. ამ შემთხვევაში „სწავლული კაცები“ და ქრონიკის შემდგენელი საერთო წყაროთი სარგებლობენ. ამოვიტანო რამდენიმე ნაწყვეტს აღნიშნული ნაწარმოებებიდან.

პ ა რ ი ზ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა

რა ეს ანბავი ყაენს მოუვიდა და კარგა დახვდა მეფის გაგზავნილს კაცებსა, იტირა და ლუარსაბ მეფის გაგზავნილს კაცს უბძანა: „მე მეფის ლუარსაბისა ავი როგორ ვაქნებო? ჩემ[ი] შვილი და ძმა არისო, ნამსახურის კაცის შვილი: არისო: მაგათი მამა და პაპა ჩვენ სამსახურზე დახოცილანო. ეგ როგორ წამივიდოდა მე, მაგრამ ქართველების ბრალი არისო, და ქართველებმა არ დააყენესო“. ყაენმა მეფესაც წიგნი მისწერა და შადიმან ბარათაშვილი, სუფრაჯი, კარგი ყმა იყო მეფის ლუარსაბისა, და იმასაც წიგნი მისწერა ყაენმა და წ[ყ]ალობაც შეუკეთა, და მეფის ლუარსაბის დას ლელას ძმასთან მოსანდო წიგნი მიაწერინა და სარუ-ხოჯას კელით იმერეთს გაგზავნეს.

„ს წ ა ვ ლ უ ლ კ ა ც თ ა“ ნ ა შ რ ო მ ი

მოიკმო შადიმან სუფრაჯი, რომელი იგი გამზრდელი ლუარსაბისა, და დაიწყო ტირილი შაბაზ ყაენმან და თქუა: „მე მეფეს ლუარსაბს როგორ წავაჯღენო, მეფის სჯომის

შვილისშვილსა და მეფის გიორგის შვილსა მე ავსა და ურ-
გოს როდის ეკადრებო, მაგრამ ეს თეიმურაზ მიცდინაო და
მომიტყუაო. ესე იცოდე, თუ მეფე ლუარსაბ ძოვა და შემომ-
რიგდებაო, დიდს წყალობას უზამო და გავამდიდრებო, და
მისცა ფიცი საშინელი და საფიცარი და იტირა ბევრი... ზო-
ლო ამას ყოველსავე კერკითა და ილათითა იქმოდა შააბაზ.
მაშინ გაუგზავნა შადიმან სუფრაჯი და გაატანა ერთი გულის
სანდო ერთგული ზოჯა ყაენმან და მისწერა წიგნი და საფი-
ცარი და გაუგზავნა მურასა ჯრმალი, მაშინლა ჰყვანდა შააბაზს
ცოლად და მეფისა ლუარსაბისა და მასცა მიაწერიდა წიგნი
და იქმო მეფე ლუარსაბ, რამეთუ დაატყუა დაცა მეფისა...⁴⁶.

„გ ა ბ ა ა ს ე ბ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი ს ა თ ე ი მ უ რ ა ზ თ ა ნ“

ესენი გამოისტუმრა და აწ მოიხმო შადიმან

ბარათაშვილი, სუფრაჩი,

უბრძანა: „შიგნით შადი“ — მან

მეფე სახელით ახსენა, ცრემლად აღინა შადი მან:

და „ეს რა ქნა ჩემ[მ]ა ლუარსაბ, აღარ მახსენა შად იმან?“

უბრძანა: „მისო გამზრდელი, რა უყავ ლუარსაბ-ხანო?

რად ააყოლეთ კახთ მეფეს პირუტყვნო, დასაძრახანო!

ჩემი სევ გული მისი და, ჩემი გულისა საფხანო,

და უბესა მივსებს ცრემლითა, სამუდმოდ, არ ხანდახანო...

მალ მისვლასა აბარებდა: „სხეასაც მივაცემ ქართლს ვინ

უჭერს?

პაპის მისის შვილის-შვილი აპყოლია რად ის ჩემს მტერს?

მას არ ახსოვს, ზვიმონ მეფემ თუ რა უყო, ურუმთა ერს?

და არა სჯერა ამ საფიცარს იმას შივეცემ, რას ის დასწერს.

ერთი ზოჯა მუსიაიბი, შანად ხმალი მურასობდა,

ამათთანვე გამოგზავნა, ერთმანერთთან ამგზავრობდა,

არა გვანდა გათავებას, ბოლოდა ჩანს რა აობდა,

და დამაც წიგნი მიუწერა, ვინ ყაენსა ბაასობდა⁴⁷...

⁴⁶ ქართლის ცხოვრება, II, 394.

⁴⁷ არჩილიანი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, თბ., 1937, გვ. 57.

წამოიყვანეს მეფე ლუარსაბ, ზემო ქართლს მოვიდა. ყაენმა კაცი გაუგზანა და ტუბილი სიტყვა შეუთვალა. წამოიყვანეს მეფე ლუარსაბ და მოიყვანეს რუისს. და ყაენმა რუისს მოსვლა შეიტყო და განგებ სანადიროდ წამობძანდა; სრულ ერანი[ს] ხანი და სულთანი ახლდა და ლუარსაბ მეფეც წამოიყვანეს და წინ მიაგებეს ყაენს. ყაენმა ასრე დაანახვა ლუარსაბ მეფეს, ვითომ მოგგებებივარო, შეეღარა ყაენს ლუარსაბ მეფე. ცხენისგან გარდახდუნეს და ყაენისათვის აკოცინინეს. და ყაენმა შვილობით მოიკითხა და მრავალი საიმედო სიტყვები უბძანა.

„სწავლულ კაცთა“ ნაშრომი

და ყაენმან არც იჩემა წინამიგებება, არამედ სანადიროდ ცხენს შეჭდა და წინ შემოეყარა, პატივისცა ლუარსაბ და მიიყვანა თუსთა თანა⁴⁸.

„გაბაასება რუსთველისათვიშურაზთან“

მივიდა, გორს დგა ყაენი, შექმნეს თურ შეყრის ცილება: არ მივეგებო ცხენითა, ვით შეესნათ ცივთა თბილება? მივეგებო და არ ხამდეს, მით საქმე დაიჩრდილება, და ეს თურმე გამოარჩიეს, იქეს მათ მათი ზრდილება. დილას შეესხედეთ სამინდორთ და მიზეზით ნადირობის ისრე ცხენზე შევიყაროთ, ჯარი შესხდეს ერთ-პირობის, განით სითმე მოვიყვანოთ, ვითომ ზედა მოგვეწრობის, და მოგებებად ჩამოგვართვამს და სხვათა თქვან არაობის⁴⁹.

1615 წლის ცნობის შემდეგ „პარიზის ქრონიკაში“ თხრობა ძირითადად ფარსადანის მიხედვით გრძელდება, რამიც აქა-იქ ჩართულია როსტომ მეფის 1648 წლის სიგელი (47—54 გვ.).

აღსანიშნავია, რომ თვით შემდგენელი არ იძლევა არავითარ მინიშნებებს მის მიერ გამოყენებულ წყაროთა შესახებ. ამდენად, როგორც ირკვევა, იგი მხოლოდ ქართულ მასალას ეყრდნობა. ქრონიკის შემდგენელი ძირითადად ზუსტად მისდევს გამოყენებულ

⁴⁸ ქართლის ცხოვრება, II, 394, 395.

⁴⁹ არჩილანი, გვ. 60.

წყაროს, რის გამოც მისი სხვადასხვა ნაწილი სტილისტურად ერთ-მანეთისაგან განსხვავდება. ავტორი ყოველთვის ვერ ახერხებს წყაროთა მონაცემების ერთმანეთთან შეთანხმებას და წინააღმდეგობებში ვარდება. ასეა მაგ., შემდეგ ცნობაში: „ქეთევან დედოფალი უშვილო ქვრივი დედაკაცი არისო და ერთი შვილი ჰყავსო, ყმაწვილი არისო და ისიც ყაენის სახლში არისო“.

გარდა იმისა, რომ ქრონიკის ერთადერთი ხელნაწერი არ არის სრული, ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია ქრონიკაში გამოყენებულ არც ერთ წყაროს. მათი შედარებითი ტექსტოლოგიურა შესწავლით შესაძლებელი ხდება ზოგიერთის ნაწილობრივი აღდგენა, ან დაზუსტება. „პარიზის ქრონიკამ“ და „სწავლულ კაცთა“ ნაშრომმა შემოგვიჩინეს „დიდმოურავიანის“ ზოგიერთი ჩვენამდე მოუღწეველი ნაწყვეტი. მაგ., ვფიქრობთ, ცნობები გორის „ხიდის ჩაყრის“ შესახებ⁵⁰. შესაძლებელია აქედანვე მომდინარეობდეს ქრონიკის ცნობა სარუ-ხოჯაზეც, რომლის ერთგვარ გამოძახილს ვხვდებით „დიდმოურავიანის“ მე-8 კარის სათაურში⁵¹. (ჩვენთვის ამჟამად არა აქვს მნიშვნელობა. ეკუთვნის ეს ცნობა პოემის ავტორს თუ მოგვიანო ჩანართია)⁵². როგორც ჩანს, „სწავლული კაცები“ და „პარიზის ქრონიკის“ შემდგენელი პოემის უფრო ვრცელი ხელნაწერით სარგებლობდნენ, ვიდრე დღეს შემორჩენილი ნუსხებია. პოემიდან „გაბაასება რუსთველისა თეიმურაზთან“, შესაძლებელია, მომდინარეობდეს ქრონიკის 1614 წლის ცნობის დასაწყისი, რომელიც გვხვდება აგრეთვე „სწავლულ კაცთა“ ნაშრომში და შეიძლება თეიმურაზს მიეწერებოდეს:

აღილო ყაენმან ქვეყანა იგი კახეთისა, იავარყო და მოა-
ოვრა და გამოიღო ციხე იგი თორღისა, ყოველნი საგანძურნი
კახეთისანი, და ჯვარნი, და ხატნი და წიგნი საღმრთონი, და შე-
მუსრა თვისთა კელითა წმინდა გიორგი ალავერდისა, და ყო-
ველნივე ხატნი დამუსრნა და შეაგინა ყო[ვ]ელნი ხატნი, და

⁵⁰ გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, საისტორიო წყაროების გამოცემის ზოგიერთი პრინციპი (ე. წ. „პარიზის ქრონიკის“ გამოცემის მეთოდისათვის), „ქართული წყაროთმცოდნეობა“, V, თბ., 1978, გვ. 107—108.

⁵¹ დიდი მოურავიანი, თქმული სააკაძის-ძის იოსებ თფილელისაგან, დამატებით სხუათაყა მისთა თხზულებათა, ქ. თფ., 1851 გამომც. პლ. იოსელიანი, გვ. 30.

⁵² პოემის ქვესათაურების შესახებ იხ. რ. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978, გვ. 110—115.

ეკლესიანი და სიწმინდენი; და თვალნი პატიოსანნი და მარგალიტნი მრავალ სასყიდლისანი მისცა ცოლთა თვისთა სამკაულათ მათდა შემეუსრვილთა მათ ხატთა. და ჭვართანი. მ ჩემდა! რამეთუ ესოდენი რისხვა ღთისა მოიწია ცოდვათა ჩვენთათვის კახეთსა ზედა, რომელ აროდეს ყოფილარს დღეთა მათთა განსაცდელი ეგევითარი, და არცადა ყოფად არს...

„ს წ ა ვ ლ უ ლ კ ა ც თ ა“ ნ ა შ რ ო მ ი

აღილო ციხე თორღისა შაბაზ და გამოილო ყოველივე საგანძური კახეთისა. და შემეუსრა კელითა თუჟითა წმიდა გიორგი ალავერდისა, და შემეუსრნა პატიოსანნი ხატნი და ჭუარნი, და შემოსძარცუნა პატიოსანნი თუალნი და მარგალიტი, მისცა მეძეთა, ცოლსა და ხარქათა მისთა, და ყო სამკაულად მათდა. და შეაგინნა წმიდანი ეკლესიანი კახეთისანი და წარმოემართა ქართლსა ზედა⁵³.

პოემაში ამჟამად ეს შემოსევა მხოლოდ იხსენიება, ხოლო აღწერილი არ არის⁵⁴.

ეფიქრობთ, ქრონიკამ მოიტანა ჩვენამდე ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ზოგიერთი ნაწყვეტიც.

უახლოვდება ერთმანეთს ვახუშტისა და „პარიზის ქრონიკის“ შონაცემები სამცხესთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ვახუშტის დროს „მესხური მათიანის“ ხელნაწერი უფრო სრული სახით ყოფილა დაცული⁵⁵ და, ქ. შარაშიძის აზრით, ისტორიკოსს შეტანილი აქვს უკვე მისი 1552 წლის ცნობა: „შემდგომად კვალად მოვიდნენ ოსმალნი და დაიპყრეს არტანუჯი არსიანამდე, კვალად დაიპყრეს ფარაკანი და სრულიად არტანი და აღაშენეს ფარაკანი, არამედ სამცხეს ვერ გარდმოვიდნენ ძალითა აწყვერისა ღთის მშობლისათა“. აწყურის სასწაულის ხსენებაში მკვლევარი ხედავს „მესხური მათიანის“ გავლენას, ვინაიდან (მოტანილი აქვს ვ. გაბაშვილის აზრი — გ. ა.) ვახუშტისათვის უცხო იყო ე. წ.

⁵³ ქ. ცხ. II, 393.

⁵⁴ ამჟამად არ არის შემორჩენილი პოემის ავტორგაფული ნუსხა. პოემის ხელნაწერების შესახებ იხ.: არჩილანი, ტ. II, გვ. 149—156; არჩილანი, ტ. I, თბ., 1936, გვ. VII—XX.

⁵⁵ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

„პროვიდენციალიზმი“⁵⁶. აღსანიშნავია, რომ ცნობა მეორდება როგორც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში⁵⁷, ასევე ქრონიკაში. უკანასკნელი ორა უფრო ახლოს უნდა იყოს დედანთან, ისევე როგორც სხვა შემთხვევებშიც, და ვახუშტი აქ, როგორც ჩანს, ერთ წელში ცდება. უფრო მეტად ემთხვევა დასახელებული წყაროებისა და ვახუშტის მონაცემები სხვა შემთხვევებში, ადრეულ თარიღებთან დაკავშირებით. მაგ., სულ მცირედიტ განსხვავდება 1444 წლის ცნობის მეორე ნაწილი, სამცხეს რომ ეხება, 1447, 1462, 1465, 1486, 1491, 1500, 1502, 1516, 1535, 1545, 1546, 1553 წლების ცნობები. ამდენად, თითქოს არის შესაძლებლობა ნაწილობრივ აღდგეს „მესხური მატიანის“ დასაწყისი და დასასრული, რომლებიც, მკვლევართა აზრით⁵⁸, აკლია მას. ამავე დროს გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტები: ვარაუდს, რომ ცნობები მომდინარეობს უსათუოდ „მესხური მატიანიდან“, ხელს უშლის შემდეგი გარემოება: 1. ყველა ეს მონაცემი შეტანილია სხვა ქრონიკებშიც. 2. „პარიზის ქრონიკის“ ამ ნაწილში რამდენიმე უზუსტო ცნობაა, მაგალითად, დედისიმედის გარდაცვალების თარიღი — 1491 წ., ყვარყვარე II-ისა და ქაიხოსროს გარდაცვალების თარიღები — 1500 წ., 1502 წ. ამ ფაქტებს ზუსტად ასევე ათარიღებს ვახუშტიც⁵⁹. მაგრამ თუ ამ ცნობების წყაროდ ვივარაუდებთ „მესხური მატიანეს“, უნდა ვიფიქროთ, რომ შეცდომები თვით მასწია დაშვებული, ვინაიდან მისი რამდენიმე შემდგენელის და, კერძოდ, პირველი ავტორის — დედისიმედის (ქაიხოსრო II-ის ცოლი)⁶⁰ ცხოვრების წლები უკვე კარგა ხნით იყო დაცლებული აღნიშნულ ამბებს. თუ გავიზიარებთ ქ. შარაშიძის მოსაზრებას „მესხური მატიანის“ თავდაპირველი ტექსტის მოცულობის შესახებ⁶¹, უნდა

⁵⁶ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 112; შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა; ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბ., 1973, გვ. 716.

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 500.

⁵⁸ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 104—105.

⁵⁹ მათი გარდაცვალების ზუსტი თარიღები იხ. ქ. შარაშიძის ნაშრომში: საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.) „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954, გვ. 200.

⁶⁰ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 128.

⁶¹ იქვე, გვ. 102, 105.

შეენიშნოთ, რომ ხელნაწერი, რომლითაც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების და „პარიზის ქრონიკის“ ავტორებს უსარგებლიათ, ბევრად არ უნდა ყოფილიყო ამჟამად შემორჩენილ ტექსტზე უფრო სრული. მათი ნაშრომების საფუძველზე რეალურად მხოლოდ მატთანის უკანასკნელი ცნობის შევსება ხერხდება, რის შემდეგაც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება და „პარიზის ქრონიკა“ ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავებულაა და სამცხეზე არაფერს მოგვეთხრობენ. როგორც ე. თაყაიშვილმა შენიშნა, მატთანის ტექსტი რომ გაგრძელებულიყო, ავტორები მასაც შეიტანდნენ თავის თხზულებებში⁶².

ჩ. ჯავახიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება და „პარიზის ქრონიკა“ დაათარიღა 1745 — 60 წლებით⁶³. ზოგიერთმა მკვლევარმა მიიღო ეს დათარიღება⁶⁴. ამ მოსაზრების ერთადერთი არგუმენტი ის იყო, რომ თხზულებები დაწერილია ვახუშტის „სწავლულ კაცთა“ ნაშრომის მკვეთრი და სამართლიანი კრიტიკის ზეგავლენით⁶⁵. * თუ ვივარაუდებთ, რომ ნაშრომები საქართველოში დაიწერა, ეს გავლენა გამორიცხულია, ვინაიდან ვახუშტის თხზულება აქ მხოლოდ XVIII ს-ის 80-იან წლებში გახდა ცნობილი⁶⁶, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება 60-იანი წლების ნუსხებში გვხვდება⁶⁷. მაგრამ ჩვენ არ ვიციით მათი შედგენის დრო და ადგილი. ვახუშტიმ „სწავლულ კაცთა“ ნაშრომის მრავალი ნაკლის გათვალისწინებით გადაწყვიტა შეექმნა ახალი ისტორია. მისი აზრით, საისტორიო თხზულება უნდა შეიცავდეს გეოგრაფიულ მიმოხილვას, „ნათესავთ-მეტყველებას“, ანუ გენეალოგიას, ქრონოლოგიურ ცნობებს და მხოლოდ ამის

⁶² Е. Такайшвили, Три хроники, გვ. 214.

⁶³ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

⁶⁴ ქ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 313—314, 307, 309.

⁶⁵ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

⁶⁶ ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969, გვ. 188.

⁶⁷ ნუსხებია: ბარათაშვილისეული (1761 წლის), თალავანდიშვილისეული (1761) და დიანისეული, რომლის გადაწერის ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ დაახლოებით ამავე პერიოდს მოკუთვნიებენ, და XVIII ს-ის დამდეგის სხვიტორული, რომელშიც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება, როგორც ვარაუდობენ, 1745 წლის შემდეგ უნდა იყოს გადაწერილი (ს. ყაუხჩიშვილი, ახალი ქართლის ცხოვრების ტექსტები, ქ. ცხ., II, გვ. 028; იხ. აგრეთვე ქ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 147—155; 180—185).

შემდეგ — მოვლენათა გადმოცემას. როგორც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება, ასევე „პარიზის ქრონიკა“ პასუხობს მხოლოდ ორ უკანასკნელ მოთხოვნას. „სწავლულ კაცთაგან“ განსხვავებით, ვახუშტი ძირითად ყურადღებას აქცევს მის მიერ გამოყენებული წყაროებისა და მათი ცნობების ღირებულების დადგენას, რაც სრულიად არ გვხვდება დანარჩენ ორ ნაშრომში. უდიდეს მნიშვნელობას საქართველოს XIV — XVII სს. ისტორიისათვის ვახუშტი ანიჭებდა საბუთებს, სიგელ-გუჯრებს. „პარიზის ქრონიკის“ წყაროებია ქრონიკები, ნარატიული საისტორიო წყაროები ან ლიტერატურული ნაწარმოებები. ვახუშტის აზრით, აუცილებელია წყაროთა დასახელება, რის მაგალითებსაც ვერ ვხედავთ ვერც „პარიზის ქრონიკაში“ და ვერც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში. ამდენად, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელებისა და „პარიზის ქრონიკის“ ვახუშტის ნაშრომთან შედარებას მივყავართ დასკვნამდე, რომ მათ არავითარი კავშირი არა აქვთ, ზოგიერთი საერთო წყაროს გარდა. არქიტექტონიკით, გამოყენებული წყაროებით, ქრონოლოგიითა და დანიშნულებით „პარიზის ქრონიკა“ უფრო მეტად „სწავლულ კაცთა“ ნაშრომს უახლოვდება და არაფერი საერთო არა აქვს XVIII ს-ის სხვა თხზულებებთან (სენია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის), სადაც ძირითადად ავტორთა თანადროული მოვლენებია აღწერილი. აქვე გავიხსენოთ ე. თაყაიშვილის ვარაუდი აღნიშნული ქრონიკისა და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელების ვახტანგ VI-ის მოღვაწეობასთან დაკავშირების შესახებ იმ განსხვავებით, რომ ისინი მკვლევარს მიაჩნია დამოუკიდებელი ავტორების ნაშრომებად. ე. თაყაიშვილის აზრით, „ვახტანგ VI-ს უსათუოდ ექნებოდა სურვილი აღწერილი ყოფილიყო მოვლენები მას დრომდე, ანუ 1703 წლამდე მაშინ, როდესაც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში მოვლენები მხოლოდ 1605 წლამდეა მოყვანილი. ამ მიზანს ყველაზე მეტად პასუხობდა „პარიზის ქრონიკა“. ამიტომ ეს თხზულებაც შედგენილია ვახტანგის დაჯალბებით, მაგრამ იგი არ შევიდა „ქართლის ცხოვრებაში“, ან ჩერჩვრებით არ არის მიკვლეული ხელნაწერი, რომელიც მას შეიცავდეს“⁶⁸.

⁶⁸ Е. Такайшвили, Описание рукописей библиотеки «Общества распространения грамотности среди грузинского населения», СМОМПК, XXXVI, 1906, გვ. 91; „პარიზის ქრონიკის“ ხელნაწერში დაშვებული კორექტურული შეცდომა ვახტანგის ქრონოლოგიური მოცულობის არაზუსტად განსაზღვრის მიზეზი მკვლევართა მიერ — 1373—1703, ნაცვლად 1373—1693. წინამდებარე გა-

ვფიქრობთ, „პარიზის ქრონიკა“ და, მით უმეტეს, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება ვახუშტის ნაშრომზე აღ-რე უნდა იყოს შედგენილი. ის, რომ ვახუშტისათვის ეს თხზულებე-ბი უცნობი დარჩა, ადვილი ასახსნელია. თავის ნაშრომებს იგი რუ-სეთში წერდა, სადაც მის განკარგულებაში იყო მხოლოდ „სწავ-ლულ კაცთა“ თხზულება, რომელიც დამთავრებისთანავე გაეგზავნა ვახტანგ VI-ს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე მისაღებად მიგვაჩნაა შემდეგი თანამიმდევრობა: 1. „სწავლულ კაცთა“ ნაშრომი, 2. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება, 3. „პარიზის ქრონიკა“. 4. ვახუშტის თხზულება. ასეთ თანამიმდევრობას თითქოს ერთგვარად მხარს უჭერს მათი წყაროებიც.

როგორც დადგენილია, XVII ს-თვის „სწავლულ კაცთა“ ნაშ-რომი ემყარება: 1) იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანს“, 2) თეი-მურაზ I-ის „ქეთევანიანს“, 3) არჩილის პოემას „გაბააჰება რუს-თველისა თეიმურაზთან“ 4) ლუარსაბის ცხოვრებისა და წამების შემცველ რაღაც უცნობ სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებს⁶⁹. გამოყენებულ წყაროთა შორის არ არის „მესხური მატრიანე“ მა-შინ, როდესაც ეგნატაშვილი ბერისეული „ქართლის ცხოვრება“ სწორედ ის წყაროა, რომელსაც ჩვენამდე მოღწეულ ვახტანგას დროინდელ ყველა საისტორიო ძეგლზე უფრო სრულად შემოუნა-ხავს 1535 — 1587 წწ. საქართველოს ისტორიის შემცველი ცნობე-ბი. ცხადია, სამხრეთ საქართველოს XVI ს. ისტორიის ეს მდიდარი ცნობების შემცველი ძეგლი ავტორისა (თუ ავტორებისათვის) უც-ნობი ყოფილა⁷⁰.

მოცემაში ეს შეცდომა გასწორებულია (იხ. ტექსტი). როგორც ჩანს, ვახტანგის მო-ღვაწეობას უკავშირებს ამ თხზულებებს ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარიც. „სა-ქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლა განსაკუთრებით გაფართოვდა XVII—XVIII სს. მიჯნაზე, როცა ვახტანგ VI-ის ინიციატივით შედგა „სწავლულ კაცთა“ კო-მისია ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით. კომისიამ შეკრიბა „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები და ერთ-ერთი მათგანი შეავსო სხვების გამოყენებით. სხვადასხვა სა-ბუთებზე დაყრდნობით კომისიამ შეადგინა საქართველოს XI—XVII სს. ისტორია. ასე დაიწერა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებანი (მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა, ბ. გორგაძე, წყაროები და ლიტერატურა ქართულ და ევროპულ ენებზე, „საქართვე-ლოს ისტორიის ნარკვევები“, IV, თბ., 1973, გვ. 34).

⁶⁹ დ. კ ა ც ი ტ ა მ ძ ე, ახალი ქართლის ცხოვრების (სწავლულ კაცთა კომისიის ნაშრომის) XVII ს-ის ქართული წყაროები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინს-ტიტუტის შრომები, თბ., 1962, ტ. VI, ნაკვ. 2, გვ. 105—121.

⁷⁰ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 108.

„ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ავტორი მათგან განსხვავებით იყენებს უკვე „მესხურ მატიანეს“ და ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებას“⁷¹.

„პარიზის ქრონიკის“ შემდგენელი როსტომ მეფის 1648 წლის სიგელის გარდა სარგებლობს კიდევ ერთი წყაროთი, რომლის გამოყენების კვალს ვერ ვხვდებით „სწავლულ კაცთა“ ნაშრომსა და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში. ეს არის გრიგოლ დოდორქელის „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“. თხზულება თარიღდება 1703 — 1713 წწ.⁷².

როგორც აღვნიშნეთ, ე. თაყაიშვილი „პარიზის ქრონიკას“ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას უკავშირებდა. ამ აზრს იზიარებს ა. კიკვიციანი⁷³. XVIII ს-ის დამდეგით ათარიღებენ მას ლ. მელიქსეთ-ბეგა და შემდეგ ს. კაკაბაძე⁷⁴, თუმცა დასაბუთების გარეშე. შესაძლებელია, მათთვის ამოსავალი თხზულების ქრონოლოგიურა ჩარჩო იყო (მცდარი 1373 — 1703).

რამგვარად, არის რამდენიმე ჩვენება „პარიზის ქრონიკის“ XVIII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებისათვის (თხზულების ქრონოლოგიური მოცულობა, მისი წყაროები, „სწავლულ კაცთა“ ნაშრომთან დიდი სიახლოვე, თხზულების ხელნაწერის პალეოგრაფიული მონაცემები), თუ არ ჩავთვლით საწინააღმდეგო არგუმენტად „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა მონაცემებს: „სწავლულ კაცთა ნაშრომი გვხვდება მხოლოდ 1745 წლამდე დაწერილ ნუს-

⁷¹ ლ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ფ. გორგიჯანიძის თხზულების და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა XVI—XVII სს. სპარსული წყაროები, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შოაშბე, 1960, № 2, გვ. 142—144.

⁷² ტ. რ უ ხ ა ძ ე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, გვ. 236. შედარებით ტექსტოლოგიური ანალიზით არ დასტურდება ტრ. რუხაძის მოსაზრება, თითქოს ორივე ეს წყარო გრიგოლ დოდორქელის თხზულებას ეყრდნობა. ლ. კაციტაძემ გამოკვლევაში „ახალი ქართლის ცხოვრების XVII ს-ის ქართული წყაროები“ ყურადღება მიაქცია, რომ „სწავლული კაცები“ არ იყენებენ გრიგოლ დოდორქელის აღნიშნულ ნაშრომს. შედარება გვარწმუნებს, რომ არ იცნობს მას არც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ავტორი.

⁷³ Е. Т а к а н ш в и л и, Описание рукописей..., გვ. 91, ა. კ ი კ ვ ი ძ ე „ქართლის ცხოვრება“ თუ „ახალი ქართლის ცხოვრება“, მნათობი, 1957, № 4, გვ. 153.

⁷⁴ ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, კატალოგი, თბ., 1949, გვ. 121; ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, XIII.

ზებში, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება — XVIII ს-ის მეორე ნახევრის ნუსხებში⁷⁵.

თუ გავიზიარებთ „სწავლულ კაცთა“ ნაშრომის 1721—31 წლებით სავარაუდო დათარიღებას⁷⁶ და ს. კაკაბაძის მოსაზრებას „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების 1730 წლის ახლო ქართლში შედგენის შესახებ⁷⁷, იმავე 30-იანი წლებით უნდა დათარიღდეს „პარიზის ქრონიკაც“⁷⁸. იქნებ ამ საკითხს მეტ შუქს მოჰფენდა ქრონიკის დასასრული, რომელიც მას, სამწუხაროდ, აკლია.

ქვემოთ მოცემულია ქრონიკის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი. ვინაიდან ჯერჯერობით არ არის შემუშავებული ნარტიულ წყაროთა გამოცემის პრინციპები, პუბლიკაციის დროს ვხელმძღვანელობდით ძირითადად საისტორიო დოკუმენტების გამოცემის წესებით. მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემების დროს ტექსტი ინარჩუნებს სტილისტურ და ფონეტიკურ თავისებურებებს თანამედროვე ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის შესაბამისად. ტექსტის კრიტიკის შედეგები აისახება ტექსტობრივ შენიშვნებში, განსხვავებით სამეცნიერო-პოპულარული გამოცემებისაგან, სადაც მათი გათვალისწინება ხდება ტექსტშივე. არ სწორდება შეცდომები რიცხობრივ მონაცემებში⁷⁹. სწორი თარიღები მოცემულია აგრეთვე ტექსტის შენიშვნებში. ამის საფუძველზე უცვლელად ვტოვებთ ძირითად ტექსტში ხელნაწერის ზოგიერთ

⁷⁵ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრების ტექსტები, გვ. 027, 028.

⁷⁶ კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 264.

⁷⁷ „ქ-ცხ“-ის წყაროებს რომ ეხება, ს. კაკაბაძე შენიშნავს: „ეს საკითხები ვრცლად განხილულია ამ 12 წლის წინად დაშუქდებულ ერთს ჩვენ შრომაში ბოშელის ჯერ დაბეჭდილი არ არის. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენის აზრით ე. წ. ქ-ცხ-ის გაგრძელება შედგენილია არა ვახტანგ—ქართლის გამგებლის და შემდეგ მეფის — დროს, არამედ მისი რუსეთში გადასვლის შემდეგ, შედგენილია, ადგილობრივ, ქართლში, 1730-იანი წლების ახლოს, ისე რომ, ეს შრომა უცნობი დარჩა ვახუშტი ბატონიშვილისათვის“... (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, უარსაღან გორგიჯანიძის ისტორია, XI).

⁷⁸ წინამძღვრები, რომელთაც ემყარება დათარიღება, მთლად მყარი არ არის. პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტას ხეამონაცემებთან ერთად აუცილებლად მოითხოვს „სწავლულ კაცთა“ ნაშრომისა და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების კიდევ ერთხელ შესწავლასა და ზუსტ დათარიღებას. გამოთქვამთ რა ზოგიერთ ვარაუდს, აღნიშნული საკითხების კვლევას კვლავაც ვაპირებთ.

⁷⁹ Правила издания исторических документов в СССР, Москва, 1969, с. 26, 36-37, 39.

უზუსტობას, მათ შორის მ-ს ნაცვლად, ე-ს, თუმცა, ჩვენი ვარაუდით, ქრონიკის ავტოგრაფში ეს შეცდომა არ იყო მოსალოდნელი. ტექსტში სწორდება მხოლოდ აშკარა უაზრობა შესაბამისი მითითებებით. უცვლელად ვტოვებთ ასოებს ჰ, მ, მ. აღდგენილი სიტყვები ან წინადადებები ჩასმულია კუთხოვან ფრჩხილებში []. ტექსტის, ჩვენი აზრით, ზედმეტი ასოები, ან ზოგჯერ სიტყვა, ჩასმული იქნება სამკუთხა ფრჩხილებში < >. მითითების გარეშე ყველგან გახსნილია ქარაგმა ქქსა — „ქორონიკონსა“. თუმცა ტექსტის პუბლიკაცია ერთადერთ ცნობილ ხელნაწერს ეყრდნობა, სქოლიოებში მოტანილია პარალელური მასალა ქრონიკის ყველა უშუალო წყაროს მიხედვით. წარმოდგენილია მხოლოდ ის კითხვასხვაობები, რომლებიც, ჩვენი აზრით, იძლევა რაიმეს აზრობრივი დაზუსტებისათვის. რაც შეეხება ისეთ ფონეტიკურ ნიუანსებს, როგორცაა უე-ს ნაცვლად ვე, ან ჰ-ს ნაცვლად ვი, არ ჩავთვალეთ საჭიროდ მათი მითითება. სრულად წარმოდგენილია მხოლოდ მ. ბროსესა და ზ. ჭიჭინაძის გამოცემების (წინამდებარე გამოცემაში აღნიშნულია ლიტერებით B და C) ყველა სხვაობა ხელნაწერთან (A) შედარებით.

ფარიანტული მასალის მოტანისას გათვალისწინებულია შემდეგი პუბლიკაციები: „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა (K), „მესხური მათიანის“ ქ. შარაშიძის გამოცემა (S), „დიდმოურავიანის“ პ. იოსელიანის გამოცემა (M), გრიგოლ დოდორქელის „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისას“ ტ. რუხაძის გამოცემა (D), ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ს. კაკაბაძის გამოცემა (P) და როსტომ მეფის სიგელის თ. ჟორდანიას გამოცემა (E).

ვინაიდან ქრონიკის ტექსტი არ გვთავაზობს მისი ზუსტი დასათაურების შესაძლებლობას, ჩვენ ვუტოვებთ მას ტრადიციულ დასახელებებს. მიუხედავად იმისა, რომ თხზულება ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტად ცნობილია როგორც „პარიზის ქრონიკა“, რაც მხოლოდ მისი პირველი გამოცემის ადგილს უკავშირდება და არანაირად არ ასახავს წყაროს შინაარსს, საჭიროდ მივიჩინეთ ძირითად სათაურად აღგვედგინა მ. ბროსესეული დასახელება „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა“, თუმცა არც უკანასკნელი შეიძლება ჩაითვალოს უნაკლოდ.

ცხოვრებად საქართველოსა
(კ ა რ ი ზ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა)

- 1373 ქორონიკონსა ა^ა (61) თურქნი მოვიდნენ; მეფე გიორგი მოკლეს; ლაშქარი ს[რულია]დ დახოცნეს; საქართველო მოარბიეს და წარტყუენეს თუესა აგვისტოსა ვ (6)¹.
- 1385 ქორონიკონსა ო^გ (73) ლანგ-თემურ ტფილისი წასტყვენა, ციხე აილო და მეფე ბაგრატ და ანნა დედოფალი განოასხა და და[ა]ტყუევა².
- 1392 ქორონიკონსა პ⁸⁰ (80) მეფე გიორგი³ მეგრელთ მოკლეს.
- 1394 ქორონიკონსა პ⁸² (82) თემურ სამარყანელმან სომხითი და ქართლი წარტყუნა და და[ა]რბივნა ყოველი ციხენი.
- 1395 ქორონიკონსა პ⁸³ (83) დიდი მეფე ბაგრატ გარდახდა⁴.
- 1407 ქორონიკონსა ე⁹⁵ (95) მეფე კოსტანტინე ჩალალ[ა]ნს მოკლეს⁵.
- 1414 ქორონიკონსა რ¹⁰² (102)⁶ მეფე ალექსანდრე [და] ივანე სათაბაგი კონტას შიეიბნეს; თურქთა ახალციხე ამოსწყვიტეს. A 2
- 1413 ქორონიკონსა რ¹⁰¹ (101)⁷ დაჯდა მეფედ ალექსანდრე. იყო მაშინ ყო[ვ]ელი ესე საქართველო უსჯულო თემურისაგან უნუგეშინისცემოდ განსრული და სრულიად აოჯრებული დედა-ქალაქი მცხეთა, და დიდი წმინდა კათოლიკე ეკლესია, და ეგრეთვე ყო[ვ]ელი ეკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე ს[რ]ულიად საფუძველითურთ დაექცია და მოეოხრებინა, და ყო[ვ]ელი სულნი ქვეყანისანი დედაწულითურთ ტყუე ექმნა. ესრეთ იავარ-ნაქმარ ქართლზე მეფე იქმნა. ამის მეფობამდე მუდამ ტყუნა, რბევა და მოოჯრება ჰქონდა ქვეყანასა ჩვენსა. ძალი ქართლისა შემციირებულ იყო მრავლის ტყუნებისა და რბევისაგან; არსით აღუჩნდა ნუგეშინისმცემელი. B 2
- 1431 ქორონიკონსა რ¹¹⁹ (119) მეფემან ალექსანდრემ ლორე აილო⁸.

2 ლაშქარი C, B. 3 თუესა C. 4,5 წარტყუნა C. 6 დატყუვა B, C. 11 პ^ე C. 13 და ივანე C, K. 14 კოსტას C, B, ხოსტას A. 16 ყოველი C, B. 17 აოჯრებული C. 19 ყოველი C. 20 სრულიად C. 20,21 მოეხრებინა C. 21 ყოველი C. 21,22 დედაწულითურთ B. 23 ტყუნა C. 26 უნუგეშინის B, უნუგეშობის მცემელი C.

C 6

1444 ქორონიკონსა რ^ლბ (132) კოსტანტიპოლი დაიჭირეს თათართა⁹. || ამავე ქორონიკონსა ჭანშაჰ-ყაენი ახალციხეს მოუხდა¹⁰. ამავე ქორონიკონსა ივანე ათაბაგი მიიცვალა.

1447 ქორონიკონსა რ^ლე (135) აღბულა და ყვარყვარე შეიბნეს. ამავე ქორონიკონსა მეფე ვახტანგ მიიცვალა¹¹. იყო მე- 5 ულ[ლე] მეფის ვახტანგისა ფანასკერტელის ქალი, და თაყას ფანასკერტელისა, დედოფალი სილხათუნ.

1456 ქორონიკონსა რ^მდ (144) უზუნ-ჰასან მოუხდა ქართლსა და ამოსწყვიტა და ივარყო ვიდრე ტაშისკარამდე¹².

1462 ქორონიკონსა რ^ნ (150) უზუნ-ჰასან-ყაენი მოვიდა სამ- 10 ცხეს, ყვარყვარეს უშველა; ჩიხორს შეიბნენ მეფე, და ათაბეგს გაემარჯვა¹³.

1463 ქორონიკონსა რ^ნა (151) აქა ქართველთ მეფე თავრიზს გილაქმა და თემურა ააოჯრა¹⁴.

1465 ქორონიკონსა რ^ნგ (153) მეფე დაიჭირა ყვარყვარეჲ 15 ტყუეთ¹⁵.

B 3
A 4 1471 ||ქორონიკონსა [რ]ნთ (159) დედოფალი გულქან¹⁶ გარდაიცვალა.

1475 ქორონიკონსა რ^მგ (163) ათაბაგ ბადურ¹⁷ გარდაიცვალა წლისა ე^ა (21), ოკლონბერს ი^ნ(10), დასაბამ[ი]თგან ქო- 20 რონიკონსა ექსიათას ცხრ[ა]ას პ^ზ (6982).

1478 ქორონიკონსა რ^მგ (166) დაჯდა მეფედ კოსტანტილე¹⁸.

1483 ქორონიკონსა რ^ოა (171), თვესა აგვისტოსა ივ (16), 25 მეფე კოსტანტინე და ათაბაგი ყვარყვარე შეიბნეს არადეთს, და¹⁹ ათაბ[ა]გს გაემარჯვა¹⁹.

1485 ქორონიკონსა რ^ოგ (173) ყაენმა სამცხე ამოსწყვიტა²⁰.

1486 ქორონიკონსა რ^ოდ (174) იალუბ-ყაენი მოვიდა, ახალ- 25 ციხე და აწყვერი იილო. და აწყვერისა ლთიმშობელი დატყუევდა სეკდენბერს ე (25); ბატონმან მანუჩარ დაისხნა.

1489 ქორონიკონსა რ^ოზ (177) ახალციხეს თათარნი მოვიდენ. 30

3 მოხდა C. 7 სი-ხათუნ, C, სითიხათუნ K. 9 ტშის კარამდე B. 11 ჩიხორს შეიბნეს მეფე ზაგრატ იმერეთისა, და ათაბაგს ყვარყვარეს გაემარჯვა K. 13 ქართველთა მეფემან თავრეზს გილაქმა და თემურა ააოჯრა K. თემურა ააოჯრა B. გაილაშქრა და თემურ C. 15 მეფე ზაგრატ იმერეთისა დაიჭირა ყუარყვარეჲ ტყუედ K. 19 რ^მგ C, B. ბატურ B. 20 ოკლომბერსა K. დასაბამიდან C. ქორონიკონსა ექსიათას ცხრას ოთხმოცდარსა K. 21 ე^ზ C, B. 22 მეფეთ B, C, კოსტანტინე C. 23 ქორონიკონსა რ^ოა, თვესა აგვისტოსა ი^ვ K. 24 კოსტანტინე C. არათეს C. 25 ათაბაგს C. 28 აწყვერის C, B. 29 დაახსნა C.

იმასვე წელიწადსა ალექსანდრემ ქუთათისი აილო, ძემან ბაგრატისამან²¹.

- 1491 || ქორონიკონსა რ^ოთ (179) ბატონი დედისიმედი მიიცვა- A 5
ლა წლისა ნ^დ (54), დეკენბერს იე (15)²².
- 5 1495 ქორონიკონსა რ^პგ (183) ბაგრატ დაიბადა, [ძე] ალექ-
სანდრესი, ფებერვალსა კ გ (23)²³.
- 1497 ქორონიკონსა რ^პე (185) დიდი ბატონი ყვარყვარე მიი-
ცვალა წლისა პბ (82), იენისსა ა (1)²⁴.
- 1502 ქორონიკონსა რ^ე (190) ბატონი ქაიხოსრო მიიცვალა
10 წლისა ნ გ (53), მაისს ვ (6)²⁵.
- 1503 ქორონიკონსა რ^ეა (191) მეფე კოსტანტინე მიიცვალა²⁶.
- 1505 ქორონიკონსა რ^ეგ (193) დიდისა მონასტრისა გენათისა B 4
წინამძღვარი მანასე მიიცვალა²⁷. C 7
- 1509 ქორონიკონსა რ^ეზ (197) აილო გორი ალექსანდრე²⁸,
15 ძემან ბაგრატისამან თვესა აგვისტოსსა ვ (6). ამავე წელსა
ქუთათის[ს] თათარნი მოვიდენ და დაწვეს დიდი მონასტერი
გენა || თისა შიგნით და გარეთ, ქუთათისი და საყდარი; სხვანი A 6
ეკლესიანი და ციხე ვერ აილეს და აურაცხელნი ტყუენი
წა[ა]სხეს. თვე იყო ნოენბერი კ გ (23).
- 20 1507 ქორონიკონსა რ^ეე (195), მარტსა ი ბ (12)²⁹ მიიცვალა
დედოფალი თამარი აპრილსა ა (1). იმასვე წელსა მეფეთ-მე-
ფე ალექსანდრე³⁰ მიიცვალა. ამასვე წელსა შეება ძე მისი
ბაგრატ³¹ მეფესა ვახტანგს და მზექაბუქს³² მოხისს და გაი-
მარჯვა თუესა იენისსა გ (3) ამასვე წელსა მიიცვალა ბატონი
25 დედოფალი ელენე, დედა ალექსანდრესი, ნოე[ნ]ბერსა გ (3).
- 1511 ქორონიკონსა რ^ეთ (199) მოკლა კახთა მეფემან გიორ-
გი მამამისი, მეფე ალექსანდრე, და ძმას თვალეზი დასთხარა
დიმიტრის³³.
- 1512 ქორონიკონსა ს^ა(200) მიიცვალა გურიელა გიორგი.
- 30 1513 ქორონიკონსა ს^ა (201) ქართლის მეფე დავით და კახი
მეფე გიორგი მუხრანს ძალის[ს] შეიბნეს. ქართლის მეფეს

1 ქუთათისი C. 3 რ^ოთ C. 4 სეკდემბერს ი^შ K, 5 ქორონიკონსა რ^პგ K, რ^ეგ C, B. ძე ალექსანდრესი K, C. 6 თებერვალსა C. 7 ქორონიკონსა რ^პგ K, რ^ეე C. 8 წლისა პბ K, ებ C, B. 16 ქუთათისი C. 16 მივიდენ C. 17 ქუთათისი C. 19 ნოენბერ C, ნოემბერი K. 20 რ^ეე C, რ^ეშ K. 21 წელთა A, წელთა (წელსა) C, B. 23 მოხისს B. 25 ნოემბერსა C. 30 ს^ა C. 30,31 კახ მეფე C.

- A 7 დავითს || გაემარჯვა და კელთ ღარჩა მეფე გიორგი³⁴. ამასვე წელსა მოკლეს მეფე გიორგი და დამარხეს მცხეთას. ამ კახმა მეფემა მოკლა მამა და ძმას თვალები დასთხ[ა]რა.
- 1516 ქორონიკონსა ს^რდ (204)³⁵ მიიცვალა ბატონი დიდი მზე-
ჭაბუკ ათაბეგი ივნისსა გ (3). 5
- 1518 ქორონიკონსა ს^რვ (206) ყენი წამოვიდა ულუსითა საქართველოსა საქრისტიანოთა³⁶; ხატთა და ჭვართა ყველასა ატყუებდეს. პატრონმან მეფემან დავით თავისი შვილი რამაზ თათარში გაგზავნა და ყენს წინ მიაგება და დაიხსნა საქრისტიანო. 10
- 1519 ქორონიკონსა ს^რზ (207) მიიცვალა დიდის მონასტრისა გენათისა მოძღუართ-მოძღვარი ილარიონ პატრონი, თვესა მაისსა ვ (6), და გორის ჭვარ[ი]თ აქა გელათს მოასვენეს³⁷. ამასვე ქორონიკონსა მიიცვალა მეფის ბაგრატის შვილი მუცლის ტკივილითა. 15
- A 8 1526 || ქორონიკონსა ს^რიდ (214) მოსცეს ბაგრატს³⁸ ქართლი არაღეთის წყალს გამოღმა: ალი, სურამი და ახალდაბა. ამასვე
C 8 წელსა მიიცვალა მეფე და||კით³⁹. ამასვე წელსა იქორწინა ძემან მისმ[ან] ლუარსაბ და შეირთო ცოლათ მეფის ბაგრატის ასული თამარ, მარტსა კ ე (25). 20
- 1528 ქორონიკონსა ს^რივ (216) მიიცვალა ბატონისშვილის ვახტანგის⁴⁰ მეუღლე, კახთა მეფის ასული ხუარამზე.
- 1529 ქორონიკონსა ს^რიზ (217) მიიცვალა ქუთათელი გერასიმე იანვარსა ი (10). ამასვე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სიმიონ და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისასა. ამასვე ქორონიკონსა მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ლიხთიმერთი სამისა ეფისკოპოსთ, ბრძანებითა აფხაზეთისა ე[ათალიკ]ოზისათა აბამის-ძისათა. ინება ლთივ გვირგვინო-
სანმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ || და დედოფალთ-დედოფალ-
მან ელენე [მიცემად] დიდისა და ცათა მობაძევისა საყდრი- 30

3 დასთხარა C. 6,7 საქართველოს C. 11 მონასტრის C. B. 12 მოძღუართ-მოძღვარი C. 13 მაისს C. გორის-ჭვართი K. 14 ქორონიკონს C. 17 წყლის C. B. 19 მისმ (მისმან?) C. B. 20 კ^ა C. 21 მიიცვალა (წინადადებებს ბოლოს) C. მიიცვალა იმერელი ბატონისშვილის ვახტანგის ცოლი K. 22 ხუარამზე C. ხუარამოზე B. 24 ამავე C. 25 სიომნ C. ბიჭვინტისასა C ბიჭვინტისასა A. 26,27 ლიხთიმერთი C. 27 ეფისკოპოსთა C. B. 28 კ^ოზისა B, C. კათალიკოზისა აბამიძისათა K. ლეთივ C. 29 დედოფალთ (გამოტოვებულთ) C, B. 30 მობაძევისა C.

სა ახლია იელუსალიმისა გენათისა ეპისკოპოზისა მელკისა-
დეკისა საყუარელის-ძისა; საუკუნოდმცა არს ხსენება მათი⁴¹.

ამასვე დროსა იმავე პატრონმან გააჩინ[ა] ხონელ ეპისკო-
პოზ[ა]დ მიჩხეტის ძე მანოელ იმავე აფხაზეთის კ[ათალიკ]-
ოზისა კელითა საყდართა შიგან ბიქუნტიათა. ქორონიკონი
იყო ს⁷იზ (217): წარვედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა
კ (20), მოვედით ივლისსა კ (20).

1531 ქორონიკონსა ს⁷ით (219) და ივლისსა ი ა (11) მიიცვალა
ჩვეციძე სარგის⁴².

10 1533 ქორონიკონსა ს⁷კა (221) დადიანი მამია და გურიელი
მამია წარვიდეს ჭიქეთს საბრძოლად ზღვით, ნავებითა, და
წეიბნეს თუესა იანვარსა ლ (30)⁴³. პირველსა დღესა || ამ[ა]თ A 10
გაემარჯვა; მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ლ[მერ]თი
ოდიშელთათვის, უღალატეს და გამოექცნეს, დადიანი და გუ-
15 რიელი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს; მოეზვივნეს ჭიქ-
ნი და შეიბნეს. მრავალი დაჯოცეს დადიანმა, გურიელმა და
გურიელის ლაშქარმა. მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და
მისნი აზნაურისშვილნი, დაღალულნი ომისაგან, შეჩვენებულ-
20 მან ცანდია ინალდაფითა⁴⁴ გაინდუნა⁴⁵. დადიანი გააშიშულეს,
ს[რ]ულიად შიშველი დაქრეს; გურიელი, და სამნი მისნი
მბანი, და ეპისკოპოზნი და მისნი ლაშქარნი ტყუე ყვეს. წა-
ვიდა || მალაქია კათალიკოზი და გამოისხნა; ცოცხ[ა]ლნი და B 7
მკდარნი ფასით იყიდნა.

1535 ქორონიკონსა ს⁷კგ (223) იეფე ალექსანდრე, ძე ლევანი-
25 სა⁴⁶, იშვა.

1535 ქორონიკონსა ს⁷კგ (223) მურჯახეთს შეიბნეს აგვისტოსა C 9
ი⁷გ (13), || დღესა ხუთშაბათსა. შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ A 11
და ათაბაგი ყვარყვარე⁴⁷ ახალქალაქს, და დაიხოცნეს მრავალნი
კაცნი და გაემარჯვა მეფესა და კვლთ დარჩა ყვარყვა-
30 რე, მისი ლაშქარნი; და დაიპყრა ს[რ]ულიად სა[ა]თა-
ბ[ა]გო ძემან ალექსანდრესამან.

1 ეპისკოპოზისა A, B, ძელისა, დევისა (მელკისადეკის ნაცვლად) C, 2 ძესა A, C, B. საუკუნოდმცა K. 4 მიჩხეტის ძე K. ამავე C. 6 საკურთხეველად C, B. 9 მხეციძე C. 12 თუესა B, C. 14, 15 და გურიელი (გამოტ.) C, B. 18 და მისნი აზნაურის შვილნი (წინადადების ბოლოს) C. 19 ინალდაფითა C. ინალდფითა გაინდუნა K. 21 და მისნი ეპისკოპოზნი C. ტყუე B, C. 23 მკედარნი C, B. 29 ხელთ C. 30, 31 საათაბაგო B.

1537 ქორონიკონსა ს^კე (225) მეფე სეიმონ იშვა, ძე ლუარ-
საბისა.

1543 ქორონიკონსა ს^ლა (231) ხონთქრის ფაშები მოვიდენ
კ^გ (22) ათასი და ს[^რ]ულიად ამოსწყვიტეს; მოუხდა ბაგ-
რატ მეფე, გაიმარჯვა და ამოსწყვიტნა მრავალნი⁴⁸.

1545 ქორონიკონსა ს^ლგ (233) ბასიანს შეიბნეს სოხოატზედა
იმერელი მეფე ბაგრატ, და ქართლის მეფე ლუარსაბ და ათა-
ბაგი ბატონი ქაიხოსროვ⁴⁹. და ს[^რ]ულიად საქართველო იყო,
და ორი ფაშა იყო⁵⁰, და შეფენი მეოტ იქმნეს⁵¹.

1546 || ქორონიკონსა ს^ლდ (234) აწყურის ღთისმშობელი
ტყუედ წაასუნენა ციხისჯუარს იმერელმა მეფემ ბაგრატ.

1547 ქორონიკონსა ს^ლე (235) ტაოს ქვეყანა დაიპირეს თა-
თართა, ურუმთა.

1553 ქორონიკონსა ს^მა (241) არტანუჯი წაგვართვეს ურუმთა
და არსიანამდის დაიპირეს; ფარნაკნი და სრულ არტა[^ა]ნი დაან-
გლირეს, და ფარნაკნი ააშენეს, აწყურისა ღთისმშობლის შე-
წვენითა სამცხეს ვერ გარდმოვიდეს. მოესწრა ყაენი შაჰ-
თაჰმაზ. ბატონი ქაიხოსროვ მივიდა: ვარძია, თმოგვი და ვა-
ნის ქვაბი, აწყური, ასპინძა, ვარნეთი და ს[^რ]ულიად სამ-
ცხის ციხეები აიღო და ვარძიისა ღთისმშობელი და ს[^რ]უ-
ლიად ციხეები ბატონს ქაიხოსროვს მოსცა. და წარვიდა ყაე-
ნი და ჩავიდა სომხითს.

და დაჯოცნა ვახუშტი <და> ღთისამიძე და ამონ ტყუე წაი-
ყუანა მარიაშობის თვესა⁵².

|| ამავე ქორონიკონსა ციხისჯვარიდამან აწყურისა ღთის-
მშობელი ტყუედ წაასუნენეს იმერითს.

ამავე ქორონიკონსა დაუთხან თავის მამას მეფეს ლუარ-
საბს წაუვიდა⁵³ და შაჰ-თაჰმაზ-ყაენთან მივიდა. ყაენმან პა-
ტივისცა და გაუგონა სიტყვა⁵⁴.

პირველად მოუხდუნ შაჰ-თამ[^ა]ზ-ყაენი და ამოსწყუიტი-
ნეს და აღაოკრეს ქართლი.

3 მოვიდნენ C. 5 ამოსწყვიტა C. 6 სახოაზედა C. 9 მეოტ (მეოც?) B.
11 წაასუნენეს A, B, წაასუნეს (შეცდომით) C. ციხის ჯვარსა B, C. 12 ს^ლმ K.
15 ფარნაკნი C, B. 16 ფარნაკნი C, B. ღ^ვთის C. 17, 18 თამაზ B, C. ვარძიას
C, 20 ციხეები C. ვარძიის C. 23 და დაჯოცნა [...] და ვახუშტი ღთისამიძე და
ამონ ტყუედ წაიყვანა K. ამთან C, ამონ B. ტყუ C, B. 23,24 წაიყვანა C.
25 ციხის ჯვარიდამ C, B. 26 ტყუედ წაასუნენეს იმერეთს C. 30 მოუხდუნ(?) B
მუხდუნ(?) C. 30. 31 ამოსწყვიტნეს C.

- 1555 ქორონიკონსა ს^მგ (243) ხონთქარი⁵⁵ სულთან-სულაიმან გამოვიდა და ყაენს || ჩაუდგა; კარი ააშენა, და უკუმობრუნდა და ბასიანს მოვიდა. წარმოდგა ყაენი შაჰ-თაჰაზ და მოვიდა არტა[ა]ნს. და ყაენის შვილმან ისმაილ-მირზამ კარი დააქცია. ხონთქარი წავიდა. უკუმობრუნდა ყაენი და ჩადგა ქართლს, და ალაობრა და აიხ[ს]ნა ციხენი, და მოწყვიდა ქვეყანა, და აილო ატენის ციხე და დედა მეფისა ლუარსაბისა გამოასხეს. და მეფე ლიხთ-იმერითს გარდვიდა და იქ მორჩა. || დედოფალი ნესტან-ჯავარ, დედა მეფის ლუარსაბისა, ქვეითი წაასხეს ციხითგან ზედა ველამდის და მერმე მეაქლემეთ მისცეს და წარიყვანეს; ერევანსა მიიყვანეს და მუნ წამლით თავი მოიკლა.
- მეორედ მოვიდა შაჰ-თაჰმ[ა]ზ ქართლსა. მუხრანის ბატონის შვილნი — არჩილ, აშოთან და ვანტანგ აწყურს მოვიდნ.
- 1558 ქორონიკონსა ს^მგ (246) გარის შეიბნეს ქართველნი [და] ყიზ[ი]ლბაშნი და ქართველთ გაემარჯვა⁵⁸. და ქრისტეს მოწაჲ მეფე ლუარსაბ თათართ მოკლეს და ძე მისი სვიმონ მეფეთ იქმნა.
- 20 1557 ქორონიკონსა ს^მგ (245)⁵⁷ მუხრანის ბატონის ბაგრატიის შვილი არჩილ დაიჭირეს თათართა.
- 1561 ქორონიკონსა ს^მთ (249) იყო ციხედიდს ომი: თათართ || გაემარჯვა⁵⁸, ძე კანთ მეფის ლეონისა გიორგი მოკლეს. ამავე ქორონიკონსა მუხრანის ბატონის ბაგრატიის შვილი აშოთან მოკლეს ფხოელთა.
- 25 1567 ქორონიკონსა ს^ნგ (255) მეფე სვიმონ და დაუთ-ხან შეიბნეს დილომს და მეფეს გაემარჯვა⁵⁹.
- 1568 ქორონიკონსა ს^ნგ (256) მეფე სვიმონ და დაუთ-ხან შეიბნეს სამადლოსა და მეფეს გაემარჯვა⁶⁰.
- 30 1569 ქორონიკონსა ს^ნზ (257) ქართლის მეფე სვიმონ და ყ[ი]ზილბაშნი შეიბნეს. იქნა ომი ფარცხისს, და დარჩა მეფე სვიმონ ყ[ი]ზილბაშთ: დაიჭირეს თათართა, და ყაენთან გაგზავნეს და ალამუტის ციხეში დააპატიმრეს⁶¹.

3 ყაენ C, B. 4, 5 დაქცია C, B. 6 ააობრა C. აიხსნა C. მოწყვიტა C, B. 9 ნესტან-ჯავარ C. 10 ციხითდგან C. 14 შვილი C, B. 16 გარის (გორის?) C, B. 20 ს^მგ K. 23 ლეონის C, B. 30 ს^ნგ C. 33 გაგზავნეს B. ალამუტის C.

- 1576 ქორონიკონსა სჯდ (264) დაუთ-ხ[ა]ნ დასვეს ქართლს ბატონათ⁶².
- A 16 1573 ქორონიკონსა სჯა (261)⁶² პატრონი ქაიხოსრო ათაბაგი — წლისა ნა (51), თ[ე]ბ[ერვალსა]⁶⁴ ი გ (13) გათავდებოდ[ა], მიიცვალა ყაზმინს, || ენკენისთვის კ თ (29), დღესა სამშაბათსა, თ (9) ე[ა]მს], მთვარესა ბ (2).
- C 11 || ამავე ქორონიკონსა მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი⁶⁵ არჩილ შირაზს გაგზავნეს ყაზმინიღამა, ლეინობისთვის კ ბ (22), დღესა ხუთშაბათსა.
- 1575 ქორონიკონსა სჯგ (263) მეფე კახთა ლეონ მიიცვალა. ამავე ქორონიკონსა მეფე კახთა ალექსანდრე და ძმისწულნი მისნი ჭიაურს შეიბნეს და მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა და ძმისწულნი მისნი დაიხოცნეს⁶⁸.
- 1576 ამავე ქორონიკონსა ყიზილბაშთ ოცხე ამოსწვიტეს. ქორონიკონსა სჯდ (264), მაისს იე (15), დღესა ჰამშაბათსა, ყაენი შაჰ-თამ[ა]ზ⁶⁷ მოკვდა, და უსტაჯალუანთა და იოთამის-შვილმან ალიხან⁶⁸ სულთან ჰაიდარ-მირზ[ა]ს ბატონობა მონინდომეს; ჯარგაზმა⁶⁹ შამხალ, ავშართა⁷⁰ და ვინც მ[ა]თი თიმანხი⁷¹ იყო, მიუხდეს, ჰაიდარ-|| მირზა⁷² მოკლეს, უსტაჯალუანი ამოსწვიტეს და ისმაილ-მირზ[ა]ს გამოსაყვანლათ კაცი გაგზავნეს.
- A 17 და ამავე ქორონიკონსა, და ამავე მაისს კ ბ (22) მისი შვილი შაჰ-ისმაილ ტყუედ იჯდა ციხესა ყალყას⁷³ და გამოიყვანეს დღესა სამშაბათსა, და კ ვ (26) არადველს ქალაქში მოვიდა და კ ვ (26)⁷⁴ ყაზმინისაკე წავი||და.
- B 11 და დასვეს⁷⁵ ყაენათ შაჰ-ისმაილ⁷⁶ და მეფე სვიმონ⁷⁷ ხლამუტის ციხითგან გამოიყვან[ა], ყაზმინს მოაყვანინა, და საქართველოს ბატონობა მისცა, და მრავალი სხვა წყალობა დამართა, საკემწიფო მორთულობა ყოვლის ქარხნებისაგან გაურთიხა. რა ეს ანბავი თბილისს ქალაქს მჯდომს მეფეს დავითს მოუვიდა, იწყინა და ხვანთქართან ჩაფარი გაგზავნა და ლაშქ[ა]რი სთხოვა.

1 დასვეს (წინადადების ბოლოს) B, C. ქართლის C. 8 გაგზავნეს A, B. 10 სჯგ C, B. 12 ქათურას C. 14 ამოწვიტნეს C, B. 16 მოკულა C, B. 19 თომარი C, თიმატი K. 19, 20 უსტაჯალუანი C. 20 ისმაილ მირზას C, B. 23 ტყუედ C, B. ყაყყას S. 25 კჷ S, K. ყაზმინისაკენ წავიდა K, ყაზმინისაკე C, ყაზმინისაკე S, 26 სვიმონ B. 27 აღმუტის C. 29 ყოვლს C. 30 ანბავი C. ქ : C. 31 ეწყინა B, C.

ამავე წელსა, იენისსა, ათაბაგი პატრონი ყუარყუარე⁷⁸,
 და ძმა მათი || პატრონი მანუჩარ და ბიძაშვილი მათი მუხ-
 რანის ბატონის არჩილის შვილი, პატრონი ერეკლე მგელცა-
 ხეს⁷⁹ წავიდეს ყაენთან ელჩის გასაგზავნელად. აკარგად სა-
 მოცამდი კაცი იახლა. სამწუბთ ლელეში⁸⁰ დაედევით. აცნობა
 5 ოლთის⁸¹-ქებადიამა ბედანის-შვილმა იასონ ვარაზაშვილს კო-
 კოლასა⁸², და მის ძმასა ლაშქარასა და მის ბიძას გურგაქს.
 იახლნეს თანა დიასამიძის ელიას შვილი ავთანდილ და მისი
 ძმა შერმაზან, ამატაკის-შვილი როსტომის შვილი ამატაკ, და
 10 აბდუყაფარ, და მათი ძმისწული როსტომ და ამატაკის შვილი
 ლეხნია. დაეკაზმნეს ზუთასამდი კაცი და წამოვიდეს. ორ-
 თვალთ-ხიდს გამოვიდეს, ბორგს⁸³ მივიდეს. იქ ფანასკერტე-
 ლი იობის შვილი ჯარასონ გუერთს იახლა, საუბარს შეესწრა
 15 კაცსა, თუ — „გულმართლა ბატონებზე თავსდასახმე||ლ||ათ
 და დასახოკათ მიდიანო“. იარა და აცნობა უგუბოს დოღენ-
 ჯის-შვილს ყანდურალის⁸⁴, თუ — „გულმართლა ბატონიშვი-
 ლებს დაჰკოცენ! ფიცხლა აცნობე!“ წამოვიდა ყანდურალი,
 აცნობა ბატონებსა. ქათამს ეყვილა. ადგეს ბატონები, და ვინც
 იყო, დაეკაზმნეს. ოცამდი შეკაზმულნი კაცი იყო. ბარგი აჰ-
 20 კიდეს. დიდხან იქვე იბრუნეს და არ მოვიდენ, უკუ მოდგეს
 ოკერათ-თავს სიმაგრესა. იენისს ლ (30)⁸⁵, შაბათს დღეს, გან-
 თიად დაესხნეს ნაახდგომევისა. სხვა აღარა დახვდათ რა: თუ-
 ხარლიანთ კარავი და ბარგი დახვდა და ის დაიფორაქეს; ჯო-
 რები კიდევ მოსცეს. ჩვენი და მათი კაცი გარდიკიდნეს; ერ-
 25 თი მოკლეს და ერთი ჯელთ დაიჭირეს ჩვენთა. წავიდეს
 გ[ა]წბილებულნი. ეკვება: „არ გაგვისწრობდეს, || თავებს
 დავსტრიდით და მკუდარს ასო-ასო ავიქმოდით[თ] და ეს გვექ-
 ნა, მარტვილებსაც არ გაუშვებდით ცოცხალს!“
 დაეარდა ემა; დაიწყო ჩვენმა ლაშქარმა მოდენა. გაე-
 30 მართნეს პატრონი ყუარყუარე და პატრონი მანუჩარ⁸⁶ და
 ჰერაკლე სახელსა ზედა დთისასა და მივედით ზედა-თმოგვ-
 სას⁸⁷. და თმოგვის ქალაქი მოვარბიეთ და იქვე ზედა-მოგ[ვ]ს

A 18

C 12

A 18

A 20

3 მეფისშვილი პატრონი ჰერაკლე S. 3,4 ძველიხეს C. 4 გასაგზავნად C. 6 ოლთის K, S. იასონი C, B. 7 ლაშქარსა C. გურგაქს C. 9 ამატაკის შვილის K, ამატაკისშვილის S. 13 ჯარასონ S, K. ჯარახან C, B. გუერთს C, B. 23 და-
 იფორაქს C. 24 გარდიკიდნეს C. 25 ხელთ C. 25, 26 ეკუებათ K. 27 ავიქმო-
 დით C, B. 29 და იწუყო A, B, და იწუყო (იწყო) C. 31 ზედათ A, B.

- ამოვედით და პატრონი დედა მათი, დედისიმედ⁸⁸ ყოფილი
 დებორა იქ მოვიდა. და ორშაბათს ვანის-ქუაპას⁸⁹ მოვადეგო
 და ოთხშაბათს იერიშით ავიღეთ და პარასკევს დღეს ავიყა-
 რენით, || ჩაუდევით, რჩეულიანი შემოვიწყუნით. კუირას
 დღეს ოლ[ა]დის-ქუაბი ავიღე[თ], ამოვედით, კარწახს⁹⁰. 5
 დაედეგათ.
- ივლისსა ი თ (19), დღესა ხუთშაბათსა, ქორონიკონსა
 21 1576 ს¹დ (264) პერაკლე შევქაზმეთ, მუხრანის || ბატონის არჩი-
 ლის შვილი, წლისა ი ვ (16) და სამის თვისა და სამის კუი-
 რისა. მიუხედით ფოსოს, სახლი⁹¹ დავსწვით და ამოვსწყუი- 10
 ტეთ. გაუძახეთ ლაშქარი. დარღვეულთ ხიზანი და ალამი⁹²
 გამოვიღეთ და მოვედით და პალაკაციოს⁹³ დავედგით. იქიდა-
 მა თეთრ-ციხის⁹⁴ გარეშემო დავსწვით ალაბუტი და კამროა-
 ნი⁹⁵ [და] ყაენთან ელჩი გავგზავნეთ.
- და ამავე თვესა, ივლისსა კ ვ (26)⁹⁶, დღესა შაბათსა, შა- 15
 ლიკაშვილის ზემბ[ა]დის შუილმა მათვე ნაქონები ოლთის
 ციხე⁹⁷ წაართვა და ჩვენ თათარნი შუა შემოვიდეს⁹⁸, გამოუ-
 დევით, წამოვედით მგელციხეს, შერანშიან[თ] წყაროზე დავ-
 დევით და მერმე აწყურეს წავედით.
- 1576 ამავე ქორონიკონსა, აგვისტოს ოცდაათერთმეტსა ვარნე- 20
 ლის⁹⁹ ციხეს უღალატეს მგელციხიდან. და ენკენის თვის დ
 (4) დიასამიძემა დემოლთის¹⁰⁰ საღალატოთ || აზნაურისშვილე-
 ბი და მსახურები გაგზავნა და ვეღარ უღალატეს და ჩვიდმე-
 ტი ჯელთ დარჩა საჯარს შალუაშვილ[ს], ციხისთავსა. პატრო-
 ნი მანუჩარ და პატრონი ერეკლე, მათი ზიდაშვილი მგელციხეს 25
 იყვნეს და შალიკიანთ აზნაურისშვილებს თავს დაესხნეს. აზ-
 ნაურისშვილები გარდაეხვეწნეს. ერეკლე მიეწია, კაცი ჩამო-
 აგდო და კარგი ცხენი დარჩა. და ჩვენც მოვედით სამცხიდანა
 და შერანშაანთ წყაროზე დავედგით.
- ამავე ქორონიკონსა, ს¹დ, ივანობისთვის კ¹დ (24) ბა- 30
 ტონი არჩილ შირაზიდან ყაზმინს მოსრულიყუნეს ცოლშვი-

□ 13
 21 22

21 14

2 ქვაბს C, B. 5 ოლთის-ქვაბი C. ქვაბი B. 8,9 არჩილის (გამოტოვებულა) C, B. 10 მიუხედით ფოსას B. მიუხედით ფოსას C, მიუქედით K. 10,11 ამოვსწყვიტეთ B, C. 11 ალაფი S. 12 პალაკაციოს C. 13 გარშემო S. 13,14 ალაბუტიდა კამაროანი S, ალაბუტი C. 15 კ¹შ K, S. 15,16 შალიკაშვილის B, C. 16 ოთის ციხე S. 18 შერანშიანთ C, შერანშიანთ S. 19 აწყურს C. 20 ოცდაათერთმეტსა C. 20,21 კარნე-ლის C, ვარნეთის S, K. 22 დემოტის C, B. 23,24 ჩავდმეტი B, A. 24 ზელთ C, აჯარს K. 26 შალიკიანთ S. 29 შერანშიანთ C, B.

ლიანად. მერმე ჩაუდექით და ფოსო ამოესწყვიტეთ და შაპს-
თან ელჩი გავგზავნეთ. უკუმოვბრუნდით, სამცხეს მოვედით.

1577

ქორონიკონსა ს'მე, (265) მარტში, მოგვიხდა კოკოლა და
ახიისი¹⁰¹ ქვაბი წაგვართვა. წავიდა ბატონი მანუჩარ და იმავ
წამს წაართვა; ერეკლე თან ახლდა.

A 2

5

მერმე გურგაქ უკუუდგა კოკოლა[ს], თავის ძმისწულსა
და ბატონს მანუჩარს შემოჰფიცა, ქაჩისციხე¹⁰² დაუჭირა,
მერმე ფიცი გაუტეხა და კიდევ უკუუდგა ბატონს მანუჩარს.
უკუმობრუნდა ბატონი მანუჩარ, ჩაუდეგით კიდევ გაზაფხულ-
ზე, ვეუბნეთ. არ შემოგვეწყუნეს. დაურბიეთ ფოსო, ელჩი გა-
ფისტუმრეთ და უკუმობრუნდით.

10

ამასვე ქორონიკონსა, სახელსა ზედა ღთისასა, გავილაშ-
ქრეთ ენეენისთვეს ნახევარს¹⁰³ და ქაჩის ციხეს მოვადექით.

15

ღვინობისთვეს ბ (2) გურგაქ შემოგურიგდა და ველი
მოგ[ვ]ცა. გავბრუნდით, ურთის¹⁰⁴ ციხე-საყდარი წაუართვით,
კოკოლას კერძათ იყო, და ციხე დავაქციეთ, სიმაგრე რაც იყო,
დავსწვით, საყდარი გაუშვით, ფოსო მოვარბიეთ და ელჩი
გავგზავნეთ ყაენთან; || მოვბრუნდით, მგელციხეს || მოვედით.

A 24

B 1:

20

ბოსტოლანაშვილმან მატამა უხუცესი მისი ძმა მოკლა,
ათამირზა ერქუა. წამოვიდა ბატონი მანუჩარ, დაიჭირა მატა
და თუალები დასწვა [მას] და მისთან მყოფთა ყმათა. და
მობრუნდა ბატონი მანუჩარ, მგელციხეს¹⁰⁵ მოვიდა, ბატონი
ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ იქ იდგნეს, და ბატონი დედ-
ისიმედი ახალციხეს მოვიდეს.

25 1578

ქორონიკონსა ს'მე (266)¹⁰⁶ გამოჩნდა კუდიანი ვარსკუ-
ლავი, ოდეს მისებრივ არავის უხილავს, და მოწამლით მოკ-
ლეს ყ[ი]ზილბაშთ შაპ-ისმაილ-ყაენი გიორგობისთვეს კ გ
(23) და მისივე ძმა შაპ-ხუდაბანდა გაავემწიფეს¹⁰⁷.

30

ქრისტიშობისთვეს ოცდათერთმეტს ბატონი ყუარყუარე
და ბატონი მანუჩარ თმოგ[ვ]ს მოადგეს, სამშაბათს დღეს.

იანვარს ე (5)¹⁰⁸, ქორონიკონსა ს'მე (266) პატრონი დე-
დისიმედი და ბატონი || ბეჟა ყუელს || მოადგეს.

A 2

(

1 ფოსა (ფოხა?) C, B. 4 ახიის (არჩიის) C, B. 6 უკუადგა K, S. უკუადგა
C. კოკოლა თავის ძმისწულსა K. 8 უკუადგა S. 10 ფოსა C, B. 13 ნახევარს და
ქაჩის ციხეს მოვადექით ღვინობისთვეს (გამოტოვებულა) C, B. 15 მოვსა (მო-
გვცა?) C, B. ერთის C. 17 ფოსა C, B. 20 ერქვა C. 21 თუალები C. მასთან C,
K. 22,23 მგელციხეს მოვიდა, ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ (გამოტოვე-
ბულა) C. 25,26 ვარსკლავი C. 28 გაახემწიფეს C. 30 დღესა C, B. 32 ყელს C, B.

ამასვე იანვარს ე (5)¹⁰⁹, ოთხშაბათს, თმოგვი წაართვეს და აქეთ იმავ დღეს ყუელი წავართვით. ოთხშაბათს, გორგობი[ს]თვეს ზ (7), ბატონს ერეკლეს ცხენი წამოექცა. საქმე სათუთო გაუხნდა, ასრე საძულათ დასცა: უცხოფერს ფათერაცს მორჩა. ეგრევე მეცამეტეს დღეს წავიდა სანადიროდ, 5 ქარაფის ძირს იჭდა, ჩამოავდო ქვა, დაეცა. თითის წვერი ძვალითურთ მოჰკვეთა: გონჯათ დაღეწა; ორს თვეს ძვალი¹¹⁰ გაუმთელდა. მისთვის არც თმოგ[ვ]ს იყო და არც ყუელს.

შეიყარა კოკოლამა ყარახან, წამოვიდა თმოგუზე მოსაშველებლად, ვეღარ მოიქნწრა. ციხე ორთავ წაერთმევიანა. 10 ყუელიდამა თმოგ[ვ]ს წავიდა ბატონი დედისიმედი. იქიდამა ბატონი მანუჩარ ჯავახეთს წავიდა; ფოსო და ჯავახეთი დაარბივა და || გურგ[ა]ქს ქაჯისციხე გაუბარაქიანა. ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ ახალციხეს წამოვიდა და ბატონი დედისიმედი თმოგვს დადგა. თმოგვ[ი]ს ციხეს რაც ზახირა¹¹¹ უნდოდა, მიატანიანა, გააბარაქიანა და თვალშეწიერთან ელჩი გაგზავნა, ციხე[ე]ბის შოვნა შესთვალა და ურუმთ აშლა აცნობა, და ურუმთ საჩქარო კმა დაუეარდა. პატრონი დედისიმედი ახალციხეს შეილებთან მოვიდა. პატრონმან მანუჩარ და პატრონმან ერეკლემ ლაშქარი შეიყარეს, წავიდეს, ურუმთ პირს მიუდგეს. ბატონი ყუარყუარე ცოტად უგუნებოდ იყო, ის ვეღარ წავიდა; ზღუდერს¹¹² ჩავედით. 15

ამასობაში ოთმანიანი¹¹³ რვა ათასი კაცი ფებერვალს კ ვ (26). ოთხშაბათს დღესა, დაესხნეს ყარახანს, გაუდრკა სა[ი]ლათოდ¹¹⁴. წაუდგეს ურუმნი და ათიოდე კაცი || მოკლეს. მობრუნდეს, გორი დაუწვეს და იმავ ზარიშატში¹¹⁵ დადგეს. მობრუნდა ყარახან, ექსასი კაცი ახლდა, დაესხათავსა, ამოსწყუიდანა ურუმნი, გააქცივნა, სახელსა ზედა ლთისასა და გაემარჯვა ყარახ[ა]ნს და აივსნეს საქონლითა და იარაღითა. მობრუნდა ბატონი მანუჩარ[რ] და აწყვერს ჩამოვიდა. 20

1 მ K, S. 2 ყელი B, ყელი (შენიშვნაში ყული) C. 7 ძული S, ძლივ K. 8 ყელს B, C. 9 კოკოლამან B, კოკოლამან ყარახან C. 11 ყველიდამა C, B. 12 ფოხა (ფოსო, ფოსა) C, B. 13 გურქანს C. 15, 16 ხაზირა C, დახირა S. 16 თვალშეწიერსთან B. 18 ხმა C. 19 პატრონი A, C, B. პატრონმან მანუჩარ და პატრონმან ერეკლე K, პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე — ლაშქარი შეიყარეს S. 24 ოთხშაბათს C. 25 სალათოდ (სალალატოდ?) B, C. 27 ექსასი C. 28 ამოსწყიდანა B, C.

ქორონიკონსა ს¹ვე, (266) მაისსა კ ა (21), დ[ლ]ესა ოთხ-
შაბათსა წარვიდა მუ||ხრანის ბატონის არჩილის შვილი ერეკ-
ლე სურამს, ნესტან-დარეჯან¹¹⁶ ქართლის დედოფალთანა:

B 17

დედოფალი ღარიბათ იყო: მასთან სამყოფად || ჩავიდა.

C 15-

5 ამავე ქორონიკონსა¹¹⁷ მიიცვალა აფხაზეთის კათალიკო-
ზი ევდემოზ ჩხეტის-ძე. ამავე ქორონიკონსა მიიცვალა მე-
ფეთ-მეფის გიორგის შვილი ბაგრატ, თვესა მაისსა კ ბ (22),
და დედა მათი, შარვაშიძის ქალი || დედოფალი რუსუდან

A 28

10 ამასვე ქორონიკონსა, მარიამობისთვის ზ (7), ხუთშაბათს
დღესა, ხვანთქრის ლაშქარი და ლალა-ფაშა მგელციხეს მო-
ადგეს, შეიბნეს. სამშაბ[ა]თამდის ყო[ველ] დღეს ომ[შ]ი
იყუნეს ციხოვანი. გოგორიშვილი როინ და მისი ძმა — ბერი
ერუშნელი და მისი ძმისწული ზურაბ იყუნეს, მათის ყმითა
15 და ღთის შეწევნითა უკუყარნეს და ციხე ჩვენვე დაგვრჩა:
და ჩვენს ჯარს გ[ა]ემარჯვა.

პარასკევს დღესა, ე (5)¹¹⁸ მარიამობისთვის, ქაჯის ციხე,
ფელი და თეთრი ციხე წაგვართვეს ურუმთა და ქაჯის ციხის
20 შეციხოვნენი ს[რ]ულიად შემოეხოცნეს და თ (9) შაბათსა,
დილასა, ძურძანასა და წინწალ[ს]¹¹⁹ შუა აზრუმისა და ვანის
ფაშა მოვიდეს და სულთანნი და ყარახან ბაზუქლუ, კიდევ მუ-
ლალუს ბატონი იქ || შეიყარნეს. მაჰმადი-სულთან გორაზე წა-
30 მო[ა]დგა; მისი ვინც იყო, გვერთს მოიყენა და სს[ვ]ა ბა-
ტონიშვილი შეებნეს ურუმთა. პირველად გაიმარჯვეს, ყიზილ-
ბაშთა და მერმე ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯვეს, მაჰმა-
დი-||სულთან გამოაქცია; გარდაეხეწა.

A 29

25 იმავე კვირას, ი (10), მარიამობისთვისა, პატრონი მანუჩარ
ქაჯის ციხეს შეეყარა. ვერც ლაშქრის ომსა და ვერც ციხეე-
ბის აღებას ვერ მიესწრა. ამილახორის-შვილი ქოიარ მიეგება
30 არტა[ა]ნს და ორი ციხე მან შესძღვნა ლალა-ფაშასა მარია-
მობის ბ (2). აგრევე არფაქსად ჰბირებოდა ექსით ციხითა
ჰას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძღვნა და პატ-

B 18

4 ღარიბი C. 5 ამავე ქ¹კ¹სა მიიცვალა აფხაზეთის კათალიკოზი ევდემოზ ჩხეტის ძე (გადატანილია აბზაცის ბოლოს) C. 12 სამშაბათამდის (პარასკევამდის?) C, B. 16 გამარჯვა C. 17 ე¹ (lis ო¹) C, B, ო K, S. 20 მურმანასა C, ძურძანასა K. 23, 24 ბატონები შეებნეს K. 25, 26 მაჰმადი სულთან გამოიქცა S. 28 ვერ B. 29 მოესწრა C. ამილახორის შვილი C, B. 31 აგრეთვე C. ჰბირებოდა (ჰპირებოდა?) C, B. 32 ხერთვის C.

რონს მანუჩარს თან მიჰყუა. იმ წამს გამოჰკუარეს¹²⁰ და ხახული სას[ა]ნჯახოდ მისცეს.

2 || პატრონმა მანუჩარ იზ (17) ამავე თვესა თმოგვის ციხე მისცა ლალა-ფაშასა. ახალქალაქი უწინ წაართვის — კოკოლას მეციხოვნე იდგა და იქილამ მისცა თმოგვი.

5

3 გაიარეს. წავიდეს ტფილის ქალაქზე. ის დაუთ-ხან დაწვა და გაეცალა; ლორეს ჩავიდა. ტფილის[ს] ჩავიდა. ფაშა დასვეს და გორს — სანჯახი. და დაუთ-ხან ხონთქართან წავიდა¹²¹. იქ დიდი || პატივი მიაპყრეს: ორი საფაშო სარჩო გაუჩინეს და თვითან კარზე შეინახეს. და მისი ორი შვილნი — ბაგრატ და ზოსროე მამას არ გაჰყუნენ. კახის ბატონის სიძე იყო ბატონი ბაგრატ, სიმამრისას დადგა; და უმცროსი ძმა ზოსროე-მირზა¹²² ისიც ძმასთან დადგა; და ბოლოს ყაენის კარზე ჩავიდნენ.

10

4 როდესაც ტბილის[ს] ფაშა დასვეს და გორს სანჯახი, 15 მუხრანის ბატონის შვილი პატრონი || ვახტანგ, ერისთავი ელისბარ და ამილ[ა]ხორი ბარძიმ ერთად || შეიყარნეს. ლალა-ფაშამ ლაშქარს გაუძახა დედოფალსა და ს[რ]ულიად ქართლსა. ესენი მივიდეს და ამათის წყალობითა ლაშქარი და[ა]ბრუნეს. თემი აღარ ამოსწ[ყ]ვიდა. მათ-მათი მამული 20 მისცეს, ოთხი დღე არ დააყოფინეს და დააბრუნეს; მათს მანულში მოვიდეს. სომხთელთ ბევრი აწყინეს. ლაშქარი გამოეშუა ლალა-ფაშასა, აღმოიარეს ქართლი; დაუდგეს იმერილნი წინა და მწოდდ ამოსწყუიტეს.

5 მეორედ ერეკლე დაემწყუდია შიგა ომში, პატრონის არ- 25 ჩილის შვილი და მას გაემარჯვა. უცხოფერად შებმულიყო, ცხენი ქვევ გამოეკლა მისთვის: თექსმეტი მუხარადს ჰქონდა ნაკრავი იხარი, ორმოცამდი — [ჯაჰეს]¹²³ და ვერც ჯაჰვი და ვერც მუხარადი ვერ გაეკუთა. ერთი ცმალი ხანჩარს || სცემდა; ხანჩარის ტარი ზედ დაეჭრა; ექუსი აზნაუროშვილი მძიმედ 30

6 დაუდ-ხან C. 7 ტფილის ჩავიდეს ურუმნი K, ტფილის ჩავიდა S. 8 დაუდხან C. 13 მას C. ბოლო C. 18 შეუზახა (ძახა?) C, B, ლალა ფაშამ ლაშქარი გაუძახა დედოფალსა K, ლალაფაშა ლაშქარი გაძახა დედოფალსა S. გაუზახა A, 19 მოვიდეს S. 20 აღარ ამოსწყუდა K, S. 21 და (გამოტოვებულა) C. 26 შვილი (2-ყერ) C. 27 თექსმეტი B, C. 28 ორმოცამდი აგრევე ჯაჰეს K. 29 ხმალი C. კრმალი S. ხანჯარს სცემოდა B, K, S. 30 დაეჭრა C.

დაუჭრეს, დაუკოდეს. გამარჯვება ერეკლეს დარჩა; გამოაქციეს თათარნი, უფროსიერთნი დავოცნეს და ამოსწყუიტეს.

ენკენისთვის ა (1) იმერელნი შეიბნეს და გაიმარჯვეს და ქართველნი და ერეკლე ენკენისთვის ი (10) შეიბნეს და ს[რ]ულად ამოსწყუიტეს.

5

ორავჯანდას-შვილი მოვიდა და ლალა-ფაშასთან პატრონს მანუჩარს ის მიუძღვა. ახალქალაქიდან ფაშა და პატრონი მანუჩარ ქართლს წავიდნენ. ორავჯანდა[ს]-შვილი ქაიხოსროვ აქათ გამოეგზავნა.

10 1578

ქორონიონსა ს^აფ, ენკენისთვის კ (20)¹²⁴, ხუთშაბათს, ქორწილი უწყავით მასთან პატრონისშვილს თამარს. და საშინელმა აწყურისა ღთისმშობელმა და წმინდამა ნიკოლოზ ქორწილი ბედნიერად მოუხდინოს. ჭაპა აგურიანში იყო თათართ შიშითა. დიად, || ჩვენი უგუნებო ქორწილი იყო თათართ შიშითა.

15

აგრევე კახი მეფე, პატრონის ლეონის შვილი პატრონი ალექსანდრე¹²⁵ მიეგება ლალა-ფაშასა, სათისჭალას შეეყარა და შაქისა და შ[ი]რვანზე წავიდეს. ამაზედ შერანშაშვილი მოვიდა ყაენიდან, თვალშვენიერთან იყო; ეს ანბავი მოიტანა: მანუჩარის ლალა-ფაშასთან მისვლა შეიტყო ყაენმა. თვალშვენიერს კაცები გამოუგზავნა, სადგომი დაადებინეს და ყორჩიბაშს მიაბარეს.

20

მარიამობისთვის კ ე (25)¹²⁶, ორშაბათს დღესა, დაიჭირეს თვალშვენიერი. დაიჭირეს შირვანი, ციხე ააშენეს და ოსმან-ფაშა შეაყენეს თავის ლაშქრით და შემობრუნდეს. ალექსანდრეს შვილი არაგვამდის მიჰყვა და დაბრუნდა. ლალა-ფაშა მუხრანს დადგა, გორი გა[ა]მაგრა¹²⁷. ქართლის მეფე, პატრონი || სვიმონ ყაენმა შაჰ-ხუდაბანდამ გამოუშვა, მოაბით მოიტანეს ავამტყოფი: მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი¹²⁸ არჩილი ერთის შვილითა. ბევრი ტყვე თან მოიტანა, ივანო-

25

30

2 ამოსწყუიტნეს B, C. 4 ქართლელნი S, 5 ამოსწყუიტეს C, B. 6 ორავჯანდის C. 7 მოუძღვა B. 10 ენკენისთვის ოთხს S, ენკენისთვის ღ^ა K, უ^ა C. 11 პატრონის შვილის B, C. 12 აწყურისა C. 16 აგრეთვე C. 18 ამაზე C, B. შერანშაშვილი K. 23 მარიამობისთვის ოცდაექუს S, მარიამობისთვის კ^ა K, მარიამობისთვის C, B. 24 შირვანის A, C, B. 25 შემობრუნდეს C. 26 მოჰყვა C, მოჰყვა B. 27 გაამაგრა C. მეფემ B, A, C. 29 მოიყვანეს K, S. ავამტყოფთ (ავამტყოფი) C, მოატანეს ავამტყოფი (ავამტყოფი) B. 30 ერისთვის შვილითა B, C.

ბისტვეს¹²⁹ ი ე (15) მოვიდა. ლალა-ფაშა ქართლსვე [იდგა]. მოვიდეს სომხითს, დალაპარაკდეს. ავადმყოფი იყო, მისათ მიზეზით ველარ ნახა.

აიყარა ლაშქარი ღვინობისთვის ა (1)¹³⁰, პარასკევს დღე-სა, მოდენა დაიწყო. აწყლუერს ვიდევით. ორშაბათს პატრონი მანუჩარ გამოეშვა, წინათ მოვიდა. პატრონი ყუარყუარე წინ მიეგება — თვითან ლალა-ფაშაც მოვიდა და გაღმა ლეკზე დადგა.

ხუთშაბათს პატრონი დედისიმედი გავიდა ციხიღამა და ლალა-ფაშა ნახა. ანგარიში არ იქნებოდა, რაც ლაშქრისა [და] აქლემების ჯარი იყო. შაბათს, ცისკრისა აიყარა და წავიდა. პატრონი ყუარყუარე თან გაჰყუა || მოტყუებით და აღარ დაბრუნდა. პატრონი მანუჩარ თან წაჰყუა. ა[თს] დღეს ძლივ ლაშქარი გაშმადა. სამშაბათს დღეს ანბავი მოვიდა: პატრონი ყუარყუარე აღარ დაბრუნდაო. წაუდგა პატრონი დედისიმედი, ჯყამდის სდია, ვერ მიეწია; აზნაურიშვილები წაუყენა, ველარ დააბრუნვა; ისრე დედისა და ცოლ-შვილის გამოუსალმებელი წავიდა. ოლთისი სასანჯახოთ მისცეს; იქივ მივიდა.

პატრონი მანუჩარ მოვიდა, აწყუერს მობძანდა. მეფემ¹³¹ სვიმონ გორი აიღო, ქართლში გაძლიერდა და ვისაც დედოფალსა და ბატონიშვილ გიორგიზე იმტყუნეს, ზოგნი მეფეს დავითს თან გაჰყუნენ ურუმში და ზოგნი იმერეთს და კახეთს გარდაიხვეწნეს და ქსნის ერისთვის მამული ზოგი ბატონს ნესტან-დარეჯანს დედოფალს || საუპატიოთ მისცეს და ზოგი ბატონისშვილს მისცეს. ამილახორისა კასპი სვეტს ცხოველს შესწირეს და აზნაურშვილნი სახ[ა]სოთ დაიჭირა და გორის მოურაობა სულხან თურმანიძეს მისცა¹³². მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი მუხრანი[ს] ბატონი¹³³ ვახტანგ ტაძრათმიყვანება || დღეს კვლთ დაიჭირა პატრონმა სიმონ მეფემან და კეხვის ციხეში¹³⁴ ტყვეთ ჩააგდო.

1 ღვინობის-თვის ნახევარს K, ღვინობისთუქს ნახევარ მოვიდა S. 2 ავად-მყოფი (2-ჯერ) A. 5 აწყურს C. 7 სამშაბათს — პატრონი ყრუარე S. დევ-ზე B, ხევზე C. 12 გაჰყუა C. 13 წაჰყუა B. 15 ყუარყუარე C. წაუდგა A, B, C. 16 აზნაურიშვილი. C. 17 დააბრუნენა C. 18 ოლთისის A, B. იქავ C. 20 აწყურს C. მობრძანდა C. 21 აიღო A. გაძლიერდა A, აიღო და ქართლში B, C. 28 მოურაობა B. 29 მუხრანის ბატონის შვილი, მუხრანის ბატონი ვახ-ტანგ K, მუხრანს ბატონი C. 30 პატრონმან C.

ლალა-ფაშას ლაშქარი და მირზა-ალი გამოეგზავნა პატრონი მანუჩართანა, ქართლს გაეძახა, ქართლს ვერ ჩაუვიდეს, სადგერს დადგეს და ამოსწყუიტეს სადგერი. წმინდის გიორგისა განძი წახდა. მეორედ კიდევ სანჯახები გამოეგზავნა; შეიყარა პატრონი მანუჩარ, ჩაუხდა, ზემო ქართლი დაერბია. მოუვიდა კაცი პატრონს ყუარყუარეს, ოლთის[ს] აღარ დააყენეს, აზრუმს მიიყვანეს; შობის წინა დღეს ო წაიყვანეს. A

მოუხდა ყაენის ხუდაბანდის ცოლი ბეგუმ შირვანს: შეიბნეს, ამოსწყვიდეს [ლაშქარნი], ციხე დაწვეს, და [ა]ქციეს; ხაზინა ყველა ხელთ დარჩა, თათარ-ხანი კელთ დაიჭირეს, ყაზ[მ]ინს ტყვეთ წაიყვანეს; მოერიგნეს ყიზილბაშნი. ოსმალ-ფაშა¹³⁵ დემურყაფს უკურჩა. ჩავიდა ყაზმინს ბეგუმ. დაიჭირეს ბეგუმ გამარჯვებული კლმით¹³⁶, ისიც მოკლეს და თათარ-ხანიცა; ყაენმა დაახოცინა.

ყაენი შაჰ-ხუდაბანდა¹³⁷ ცოლის სიკვდილს უკან ყიზ[ი]ლბაშთ დაჩაგრეს და ჰადრბიჯანი და შირვანი ურუმთ დაიჭირეს. განჯის ხანი შაჰვერდი-სულთან კახეთს მივიდა და ბატონს ალექსანდრეს შეეხვეწა. იმან შეხვეწილი კაცი დააქირვინა, და ხონთქარს გაუგზავნა.

ქორონიკონსა ს¹ჯზ (267), მ[არ]ტ[ს] კ გ (23), პატრონი ყუარყუარე და პატრონი მანუჩარ კონსტანტინოპოლის წავიდა ო აზრუმშიდამა. აპ[რილს] კ (20), ორშაბათს გადგეს. და მას უკან მოვიდა ანბავი — ბატონი თვალშეენიერი მარიამობისთვის კ გ (23) კელთ დაიჭირეს. ღვინობისთვის ა (1), ორშაბათს დღესა ალაშუტის ციხეში ტყუეთ წაიყუანესო. A
E

ჟამი შეიქნა. მათისა ლ ა (31)¹³⁸, შაბათს საღ[ა]მოსა ჩოსიტა გააცხელა საკანაფეს, პატრონის ყუარყუარეს შეილი. ღთის შეწვენით გარდაიხადა. იენისს ი თ (19) ბატონი ბექა გა[ა]ცხელა: ღთის შეწვენით მანც გარდაიხადა. ბევრი გააცხელა ჩვენში, მაგრამ არავის დაუზიანდა.

მეორედ მოვიდა¹³⁹ ლალა-ფაშა და კარი აღაშენა, ტბილის ქალაქს ლაშქარი გაგზავნა და ნუზლი შეუტანინა.

2 ქართლ C. ჩაუვიდაეს A. 5 და ზემო C. 8 შირვანსა C, B. 9 დააქციეს C. 10 ხელთ C. 11 ქილბაშნი A, B. მოერიგნეს ქილბაშნი C. 11,12 ოსმან ფაშა K, S. 13 ბეგუ C, B. გამარჯვებული კელთა K, S. 20 ბ¹ტ კ გ C. 21 კონსტანტინოპოლს C. 22 აზრუმშიდამ C. ვ¹ C. და (გამოტ.) B. 24 ხელ C. 25 ტყუეთ წაიყვანესო C. 26 შეიქმნა C. 32 ლაშქარნი C.

მარიამობისთვის კ გ (26)¹⁴⁰ პატრონი დედისიმედი გააცხელა ხუთსშაბათს დღესა, და ორშაბათს დღესა ბერის პატრონის ბასილის ჟამით || გაცხელება მოვიდა და საფარას საბურთეზე გაეცხელებინა. იმ წამს წაბძანდა პატრონი დედისიმედი. ორნი დედა-შვილნი ერთ || კარავში¹⁴¹ დაწვენეს.

ენკენისთვის გ (3), პარასკევი განთენდებოდა და ღმერთი გარისხდა, ბატონი ბასილი მიიცივალა იე (15) წლისა და დ[ლ]ისა კბ (22), ღამის ჟამს ბ (2). და წამოვიდა პატრონი დედისიმედი მოაბითა, ზღუდერს ჩამოვიდა. და ღვინობისთვის უსკუდარიდამ პატრონიშვილების გამოშვების მახ[ა]-რობელი მოვიდა¹⁴².

ამავე ქორონიკონსა, გიორგობისთვის, პატრონი მანუჩარ მოვიდა კოსტანტიპოლიდამა. ფაშობა ებოძა ხვანთქარს და სრულიად || მისი მამული. ორს თვეს პატრონი ყუარყუარე თორთომს დაეყენებინა, არ გამოეშო.

ქორონიკონსა ს^აგე, (265) იანვარს ე (5)¹⁴³, პატრონი ბექა ვალიდამა გავაყენეთ. ლალა-ფაშა || წასრულიყო და ბექა ოლთის[ს] დადგომილიყო. პატრონი ყუარყუარე ღთის წინაც შეურცხვენელი და კაცთანაცა ფალავანი დაეცა ხვანთქართანა — და ქართველობით გამოეშუა, მისის ბატონობის წყალობა ექნა...¹⁴⁴ და მარტში მობძანდა.

ივანობისთვის ი ე (15) ბექა მოიყუანეს და თვითან ორნი ბატონები ღორეს წავიდეს. დაარბიეს და გამარჯვებულნი მოვიდეს. მას უკან მ[ე]ორეს წელიწადს სინან-ფაშა მოვიდა და ტფილის[ს] წავიდა და ორნივ თან გაჰყვეს. პატრონი ყუარყუარე თრიალეთიდამ და[ე]ბრუნებინა, იმერეთს მოციქულათ გავგზავნა და პატრონი მანუჩარ თან წარეტანა.

ქორონიკონსა ს^აგე (265)¹⁴⁵ მუხრანი[ს] ბატონის ბაგრატის შვილი მუხრანი[ს] ბატონი¹⁴⁶ ვახტანგ მიიცივალა¹⁴⁷ ივანობისთვის დამდეგსა.

ქორონიკონსა ს^აგთ (269) პატრონმან მანუჩარ გვირგვი-

ზოგიერთი ყმანი გაორგულეობდა: ომი ველარ გაბედა და წავიდა ქართლს თავისის ეფისკოპოზ დარბაისელ აზნაურითურთ. და შეიტკბო სიხარულითა დიდითა მეფემან ქართველთამან ლუარსაბ. აღთქმა ყვეს ურთიერთს ფიცითა მტკიცითა, რათა ერთ იყვნენ საქმენი მათნი. და აღიღო ყაენმან ქვეყანა იგი კახეთისა, იავარყო და მოაოჯრა და გამოიღო ციხე იგი თორღისა, ყოველნი საგანძურნი კახეთისანი, და ჯვარნი, და ხატნი და წიგნი საღმთონი, და შემუსრა თვისთა ქელითა წმინდა გიორგი ალავერდისა, და ყოველნივე ხატნი და მუსრნა და შეავინა ყო[ვ]ელნი || ხატნი, და ეკლესიანი და სიწმინდენი. და თვალნი პატიოსანნი და მარგალიტნი მრავალსაყიდლისანი მისცა ცოლთა თვისთა სამკაულათ მათდა, შემსუსრვილთა მათ ხატთა და ჯვართანი. შ, ჩემდა! რამეთუ ესოდენი რისხვა ღთისა მოიწია|| ცოდვათა ჩვენთათვის კახეთსა ზედა, რომელ აროდეს ყოფილ არს ღღეთა მათთა განსაცდელი ეგევითარი, და არცალა ყოფად არა. და აღკოცნა პირითა მახვილისათა ყო[ვ]ელნი ქვეყანანი მთისანი — ერწო, თიანეთი, პირი არაგვისა ზემოთგან ვიდრე ავქალამდე, მარ-
- B 56
- 5
- 10
- 15
- 20
- 25
- 30

1 ვინცა ვინც, C, B. 4 მზევლათ C, B. 5, 6 ხელმწიფე C. 7 იცნოსო C. 8 ანბავიც B, C. 12, 13 შირაზს გაისტუმრეს C, B. 22 ყველანი იგი საგანძურნი B, C. 23 სღმთონი B. თვისითა B, C. 23, 24 ხელითა C. 24 ყოველნი B, C. 27 სამკაულად B, C. 28 უსვრელთა C. 31 აღხოცნა C, 32 ყოველნი C, B. 33 ვიდრე (გამოტოვებულა) B, C.

ტყოფი, უჯარმა, საგარეჯო, ჩერქეზნი დიდითგან ვიდრე მცი-
რედმდე. და არავინ განერა კელთაგან მ[ა]თთა, თვინიერ
მცირე კაცი მარტყოფისა.

5 და შემდგომად²⁰⁵ მიუვლა ქართლსა. და მეფენი ქართლი-
სა და კახეთისანი, მეფე თეიმურაზ და მეფე ლუარსაბ წარ-
ვიდნენ ლიხთ-იმერიოს და დედამან მეფის ლუარსაბისამ თა-
მარ დედოფალმან თქვა: „ბევრი სიკეთის მეტი არავისზე და-
მიშავებია რაო. ჩემი შვილი არას მიჭერებდაო, დედაკაცი ვა-
10 რო. არც ყაენს მართებს ჩემზე ავიო — ნამსახური ვარო, —
არც ქართველთაო“. წასვლა არ დააპირა და დგომა რომ მოინ-
დომა, ზოგიერთი ქართველი || ურიგოთ დარჩნივ, ბევრი რამ
გამოართვეს. ველარ დადგა, წავიდა დიდის მორკმით. დაე-
დევენენ ზემო ქართლის დარბაისელ აზნაურნი თუ ვინცა-
15 ვინ, ქერათხევში დაეწივნენ და საქონელი წაართვეს. მრავა-
ლი დაეკარგა, და უპატიურათ მიეპყრნენ. და ვინცა-ვინ აზლ-
და, ვინ უნდოდა, ქართველთ წაატანეს, ვინც არა და დააბ-
რუნეს.

20 და მეფემან გიორგიმ შეიწყნარა მეფე ლუარსაბ და ბა-
ტონი თეიმურაზ სიხარულით. და დედ[ოფ]ალი თამარ თა-
ვის სამშობლოს სალიპარტიანოს მივიდა და პატივი || სცეს
და დააყენეს.

და ყაენი²⁰⁶ ნიქოზს მივიდა; იქით ჭარი გაუძახა, ოსეთი
დაარბევინა და გიორგი მეფეს რი[ს]ხვიანი წიგნი მისწერა,
ისე რომ, „ჩემი ყმანი შენთან არიანო, გამამიგზავნე, თორედ
25 ლაშქარს გამოგიძახებო“. იმას დაბალი წიგნი მოეწერა. და
გიორგი მეფის კაცს ლუარსაბ მეფის კაციც ახლდა და მოეხ-
სენებინა²⁰⁷ და: „ყმას || რომ ბატონისაგან ეშინოდესო, ერთ-
გულობაში გასთვლიანო, არათუ ორგულობაშიო. და იმათ
30 თქვენგნით ეშინიანთო. მე რომ კიდეც დავითხოვო, აფხა-
ზეთ[ს] წავლენ და იმერთი რომ კიდეც დამირბევინო, ლო-
მის მეტს თქვენი ლაშქარი ვერას იშოვნისო. და ამა[თ] თა-
ვიანთ ნებით თქვენი ნახვა არ შეუძლიათო“²⁰⁸. || რა ეს ანბავი B :

2 ხელთაგან C, მათთა B. 4 მიუხდა C, B. 8 დამიჭერებდაო B, C. 9 მარ-
თებ C. 11 დარჩნიე A, B. 13 ქართლს C, B. 14 ქერათ ქევში B, ქერათ-ხევ-
ში C. 15 უპატიურთ B. 18, 19 პატრონი თეიმურაზ C, პატონი B. 24 ჩვენი ყმანი
P. 25 იმას (2 ჯერ) B. 30 წავლენო C, B. ლომის B, C. 31 თვენი C. 32 ამა-
ვო C.

ყაენს მოუვიდა და კარგა დახედა მეფის გაგზანილს კაცებსა, იტირა და ლუარსაბ მეფის გაგზანილს კაცს უბძანა: „მე მეფის ლუარსაბისა ავი როგორ ვიქნებო? ჩემ[ი] შვილი და ძმა არისო. ნამსახურის კაცის შვილი არისო: მაგისი მამა და პაპა ჩვენ სამსახურზე დახოცილანო. ეგ როგორ წამივიდოდა მე, მაგრამ ქართველების ბრალი არისო, და ქართველებმა არ დააყენესო“.

A 98

ყაენმა მეფესაც წიგნი მისწერა, და შადიმან ბარათაშვილი, სუფრაჯი, კარგი ყმა იყო || მეფის ლუარსაბისა და იმასაც წიგნი მისწერა ყაენმა და წ[ყ]ალობაც შეუკვეთა. და მეფის ლუარსაბის დას, ლელას ძმასთან მოსანდო წიგნი მიაწერინა და სარუ-ხოჯას კელით იმერითს || გაგზავნეს. და ერთი ამრიგი წიგნი მეფეს გიორგის მისწერა: „თუ მეფეს ლუარსაბს ჩვენი თავი არ უნდა, არც ჩვენ ეგლა გვინდა, და თქვენც ბაგრატიონი ხართო, თქვენი შვილი ალექსანდრე გამამიგზავნე და ქართლის ბატონობას მაგას მივსცემო“.

B 59

და სარუ-ხოჯა დაარიგეს, რომ მალვით ეს წიგნი მეფეს ლუარსაბს აჩვენეო და თუ წამოსვლა მოინდომოს, იმ წიგნს გიორგი მეფეს ნულარ აჩვენებ. და სარუ-ხოჯა მივიდა ეშმაკისებრ ტკბილისა და მაცდურის ენითა, მეფე ლუარსაბ ნახა და დის მინაწერი წიგნი მიართვა და, დიად, თავიც შეაყვარა და მოახსენა: „ერთს რასმე გაგენდობიო და რა ცოცხალი ვარ, აღარ გაგეყრებიო და ნუ გამცემო“. მეფემ ფიცი || უბძანა: „აბა როგორ იქნების ჩემგან შენი ვაცემაო“. იმან მოახსენა. „აბა ამაზედ მოსრულვარო, რომე ბატონის შვილი ალექსანდრე ყაენმან გიორგი მეფეს სთხოვა, რომ ქართლშიგ გააბატონოს“. და ყაენის მინაწერი წიგნიც აჩვენა და ასეც მოახსენა: „რა მინახვიხარო, არა ვლირს ვარო, მაგრა, დიად, მებრალეზიო და აწე თუ ეს ყაენის რაყამი გიორგი მეფეს მივსცეო, არამც თქვენც დაგიჭიროსო და თავისი შვილი გაგზავნოსო საბატონოთაო, და თქვენც თან გაგატანოს, და თქვენად უკადრისად მიგიყვანო“.

A 99

1 მიუვიდა C, B, გაგზანილს B, C, გაგზანილს კაცებსა, იტირა და ლუარსაბ მეფის (გამოტოვებულა) C. 3 ჩემი B. 6 საქართველების B. 9 მეფისა C, B. 12 ხელით C. იმერეთს C. 16, 17 სარუ-ხოჯას C, B. 20 მცდური P. 22 ერთ რასმე გაგენდობ და რაც C. 24 უბრძანა C. 25, 26 მოვსულვარო C. 26 ყაენმა C. 27, 28 მონაწერი C. 28 წიგნი C, B. 28, 29 ეს მისი რაყამი არისო და ვლირს ვარო, მაგრა რა მინახვიხარ, ასრე შემყვარებიაო, მინდა... P. 32 თქვენ C.

1 მიუვიდა C, B, გაგზანილს B, C, გაგზანილს კაცებსა, იტირა და ლუარსაბ მეფის (გამოტოვებულა) C. 3 ჩემი B. 6 საქართველების B. 9 მეფისა C, B. 12 ხელით C. იმერეთს C. 16, 17 სარუ-ხოჯას C, B. 20 მცდური P. 22 ერთ რასმე გაგენდობ და რაც C. 24 უბრძანა C. 25, 26 მოვსულვარო C. 26 ყაენმა C. 27, 28 მონაწერი C. 28 წიგნი C, B. 28, 29 ეს მისი რაყამი არისო და ვლირს ვარო, მაგრა რა მინახვიხარ, ასრე შემყვარებიაო, მინდა... P. 32 თქვენ C.

ნო. და თუ თქვენ ურუმში წახვალთო, მეც თან გამოგყე-
ბიო, და ამ || რაყამს აღარ გამოვაჩენო“. მეფემ ყვაწვილმან C
ასრე უპასუხა: „გერჩიოს ჩვენ ურუმში წავიღეთო, და შენ B -
ეგ რაყამი არ გამოაჩინეო, ჩვენ რას გვარგებსო? || მაგის მამ- A
წერსაო სხვა მაგრიგის წიგნის მოწერა || კიდეე შეუძლიაო.
5 თუ სხვა რამ სასარგებლო რამე იციო, ის გვიჩიეო!“

სარუ-ხოჯას მოსვლაზე²¹⁰ შეიყარნენ მეფე გიორგი, და-
დიანი მანუჩარ, გურიული ვახტანგ. და გურიულს უცხო კა-
რავი ჰქონდა, რომ ხოჯასაც მოეწონა, იმაში შევიდნენ. მეფე
10 და დადიანი დიდის გამამჩვენობით ნახეს და მეფე ლუარსაბ
და ბატონი თეიმურაზც კარგა უჩვენეს, თავის ტოლად. და
არჩივეს მეფემან გიორგიმ, დადიანმა და გურიულმან: „რა-
ხანც აქ მოვიდაო, ამისი ავრივად მოცემა არ გვიჯობსო, -და
ჩვენი უკადრისი იქნებაო“.

მეფე ლუარსაბ დადიანს ქალსა სთხოვდა. და ხოჯას დაჰ-
პატიეეს და ლხინი უჩვენეს, და გააკვირვეს თავისი სიდიდე
ბატონობა, დიდი ულუფა და საჩუქვარი მისცეს, ეს უპასუხეს,
რომ „რახანც აქ მოვიდაო, თქვენთან, არ გეკადრებაო, რომ
ჩვენ პატივი არ დაგვადვა, თავისი საბატონო || არ უბოძო“. A 1
20 შუა ჩამოუვიდნენ, — „ჩვენ კი არ შეგვიძლია დათხოვნა, და
თუ თვითონ წამოვა, იმან იცისო“.

ხოჯა შეადგა მეფეს ლუარსაბს და შადიმანც შეუყენა
და თვითონც ტკბილს სიტყვას დაუწყო ლაპარაკი ხოჯამა. და
შადიმანც ურჩივა: „არას გერჩის, შეურიგდიო“. იმისის რჩე-
ვით შეურიგდა. ხოჯამ²¹¹ დაუწყო ლაპარაკი: „რომელსაც
25 თქვენ მიბძანებთო, იმას ვეცდებიო“. მეფემ უბძანა: „მე ჩემს
დას წიგნს მივსწერო, და შენ ბედნიერს ყაენს მისწერეო, რომ
უვნებლობის საფიცარი მიბოძოსო. და მივალ, ვიახლებიო“.
ფიცხლავ სარუ-ხოჯამ ეს || ანბავი ყაენს მოსწერა, ყაენს B 2
30 იამა და საფიცარი გაუგზანა და თავისმა დამაც კარგი და
საიმედო, გულის დასადები წიგნები მისწერა.

და ვითაც სარუ-ხოჯისაგან მოტყუებული შეიქნა მეფე
ლუარსაბ || ყმაწვილკაცობით, წამოვიდა ყაენთან. უშალა²¹² A

2 აღარ (გამოტოვებულია) B, C. 4 მაგის (2 ჯერ) A, B. 5 მაგრიგის C. 7 მო-
სვლაზე C, B. 9 ამაში C, B. 17 საჩუქარი C. 19 უბოძო C, B. 20 წამოუვიდნენ
C, წამოუვიდნენ B. შეგვიძლიათ C, შეგვიძლია B. 22 შადიმანს A, B. 27 შენს
C. მივსწერო C. 29 მისწერა C. 30 გაუგზანა B. გარგი A, გარგი (კარგი) C, B.

დედამა, მაგრა აღარ დაიშალა: გარდმოვიდა ზემო ქართლს. ბატონი თეიმურაზ იქივ იმერეთს დადგა. და მეფის ლუარსაბის დედა, დედოფალი თამარი იქივ სალიპარტიანოს დადგა. და მეფე ლუარსაბ ზემო ქართლს მოვიდა. ყაენმა კაცი გაუგზანა და ტყბილი სიტყვა შეუთვალა. წამოიყვანეს²¹³ მეფე 5
ლუარსაბ და მოიყვანეს რუისს. და ყაენმა რუისს მოსვლა შეიტყო და განგებ სანადიროდ წამობძანდა; სრულ ერანი[ს] 42
ხანი და სულთანნი ახლდა. და ლუარსაბ მეფეც წამოიყვანეს და წინ მიაგებეს ყაენს. ყაენმა ასრე დაანახვა ლუარსაბ მეფეს, ვითამ მოგვებებივარო, შეეყარა ყაენს ლუარსაბ მეფე, 10
ცხენისგან გარდა[ა]ხლუნეს და ყაენისათვის აკოცინენეს. და ყაენმა²¹⁴ შევილობით მოიკითხა და მრავალი საიმედო სიტყვები უბძანა.

1103 და || იქით²¹⁵ აიყარა და გორს მობძანდა. და პაშტა ხანი იქ დადგა. იქითგან აიყარა და მცხეთას წამოვიდა და დაქცევა 15
მოინდომა მცხეთისა, მაგრა მერჯულეთ დაუშალეს და ასრე მოახსენეს: „სალოცავად ღთის სახლად აუგიაო, არაჲ კაცი-საგან არ დაიქცევაო“. და მცხეთის ხიდზე რომ მოვიდა, კმალი შემოისხნა და ფეკთ გაიხადა და ხი[ლი]თგან სვეტ ცხოვლამდი ქვეითი მოვიდა და საყდარს გარშემოუარა და შევიდა; და თავისი სალოცავი პატრიარქის ტახტს წინ გააშლევინა და ილოცა. და რაყამი უბოძა, რაც ქართლში და კახეთში მამული ჰქონდა შემოწირული. და სამი დღე დაჰყო; და სამთავრო, მღვიმე და ჭვარი გასინჯა, და მცხეთის ნაშენებო, 20
დიად, მოიწონა; და²¹⁶ ტფილის ქალაქს ჩამოვიდა და კახეთში რაც კაცი აეყარა, ზოგი ფერიას გაგზავნეს და ზოგი მაზანდარანს, ზოგი შირაზს || დაასახლა, ზოგნი სხვაგან დაფანტეს. კახეთი აოხრებული აღექსანდრეს შვილიშვილს იესეს მისცეს და დავით ასლანიშვილი ვექილად დაუყენეს. და ქართლი და იორსა და ჩერქეზს აქეთ დაუთ-ხანის შვილს ბაგრატს 30
მისცა.

და თვესა აგვისტოსა წაბძანდა ყაენი, წაიტანა მეფე ლუარსაბ კარგის პატივითა და მოურავიც წაიტანა ტყუებითა;

9 მოაგებეს C, B. 10 ვითომ C, მოგვებებივარო B, C. 11 ცხენისაგან C. 12 სიტყვები A, B. 16 მაგრამ, შარა C, მაგრა (2 ჯერ) A, B. 17 აუგიაო C. 18, 19 სმალი C. 19 ფეხთ C, B. ხითგან (ხილთგან) B. 27 ზოგი C. დაფანტა ეს A, B, C. 28 აოქრებული B. 33 ტყუებითა C, B.

ყენისა კაი ყმა იყო. მოახსენა: „თუ ბატონის ბაგრატიის ქართლში გაბატონება გინდათო, მეფეს ლუარს[ა]ბს ამდენს პატივს ნუ სდებთო, თორემდა ამისი იმედივე ექნების და აღარავინ ბატონს ბაგრატს არ მოუდგებიო“. და ამ ბეზლობით ბატონი ლუარსაბ ასტარაბათს გაგზავნეს.

5 ცოტა ხანი²¹⁷ რომ გამოვიდა, ყაენმა სმა დაუწყყო და გამოხიარულდა. მოუტრავს უბძანა: „ნუ მოგვიწყენო! ამდენს წყალობას გიზამო, დიალ, ბევრსაო და აქ ამდენს თეთრს მოგიტანინებ, || რომ კარამდი ვერ მიიტანოო“. მოატანინა თეთრის 10 გულეები, ტახტ[ი]ს წინ დააწყობინა და უბძანა გიორგი მოუტრავს: „ადეგ, რასაც აიღებდეთ და ან ძალა გქონდეს, ეს თეთრის გულეები აიღეთ“. და მოვიდა ტახტის წინა, დაიჩოქა და გულში || თქვა: „თუ ცოტა ავილო, არამც თქვეან თუ, ძალა არა || აქსო, და თუ ბევრი ავილო, ეგების ასე თქვეანო — ხარბი არისო“. გულში არჩევდა და თქვა: „ისევე სიხარბე მიძრახონო, ისი სჯობსო. რასაც მოვერევი, ავიღებო. თვითო გულა მჯარზე გარდავიგდე, ერთი თავზე დავიდე, თვითო ღლიას შევიგდე, ერთი კბილში მივიეცო, ორი კელში დავიჭირეო და ავდეგ, კარამდი მივიტანე“. და ყაენმა ბრძანა: „ნუ მოჰკლავთ 20 მაგ ჯამუშსაო, მაგის კაცებს მიეცითო“. და კართან რომ მივიდა, თავისი კაცები დახვდენ და იმათ მისცა; და ოთხასი თემანი გამოვიდა. და მოუტრავი ისევე ყაენმა || გვერდს დაისვა. 1615 ერთს წელიწადს უკან²¹⁸, ქორონიკონსა ტ^გ (303) კახთ ბატონი თეიმურაზ კახეთში ჩაიყვანეს. და დაიპყრა და ყაენის 25 ლაშქარზე გაიმარჯვა. და ისა-ხან გააგდეს. და ამაზედ მოუტრავმან კიდევ დრო დაიცა, ყაენს მოახსენა: „რათგან კახთ ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანესო, ქართველნიც ეცდებიანო რუსეთით ნავეები შემოიტანონო და ბატონი ლუარსაბ ზღვით გააპარონო“. ამ სიტყვით ყმები გაჰყარეს და სხვას ქვე[ყ]ანას დაუფანტეს და ბატონი ლუარსაბ ქოლგალუს²¹⁹ გულ[ა]ბის 30 ციხეში ტყვეთ გაგზავნეს ავსა და კლდიანსა და, დიალ, ცხელს ადგილს. და შენობისაგან და გზათაგან მოშორებულნი ადგი-

3 იმედევე C, იმედევე (იმედივე) B. 7 ნუ (2-ჯერ) A, თუნუ C, B. 8, 9 მოგიტანინებო C, B. 9 ვერ მიიტანო C. 11 აღებ, რასაც აიღებდეთ C, B. 16 რასაცა C. 17 მხარზე C. იღლიას C. 18 შევოდეო C, B. ხელში C. 19 მოვიტანე C. 20 ჯამუშსაო C. ჯამუშსაო B. 24 ჩაიყენეს C, B. და დაიასე რა და C. 32 მოშორებულნი C.

ლი იყო. და მეფე, სათუთათ გაზდილი, დიდის პატივითა, ნამეტნავად ირგებოდა, ნამეტნავათ სიცხისაგან უფრო.

107 და ყაენი ისპაპანს მობძანდა და მეფის ბაგრატის ჩაფა-
64 რი მოვიდა და ანბავი მოიტანა, რომ იმერელთ ზემო ქართ- 5
ლი || დაარბიესო და ჩვენც და გვ||ინდა იმერთი დავარბიო-
თო. კელმწიფის ბძანება რა იქნებაო? ეს ანბავი ყაენმა
მოურავს უბძანა. იმან ასრე მოახსენა: „სანამდი ლუარსაბ მე-
ფე ცოცხალი არისო, საქართველო არ დაწყნარდებისო“. კა-
ცი გაგზავნეს მალვით, მეფე ლუარსაბ გულაბის ციხეში 10
მშვილდის საბლით²²⁰ დაარჩევს. და ლუარსაბ მეფის და ფათ-
მა-სულთან-ბეგუმ ყაენის სახლთ გამოიყვანეს და ფეიქნის
ხანს მისცეს, და ლაშქარი გა[ა]ტანეს, და ბატონი თეიმურაზ
კახეთით გაადგეს და ფეიქნის ზანი მისს ადგილს გააბატონეს.
და კახნი დაიფანტნეს — ზოგნი ქართლსა და ზოგნი მთებში
დაიხიზნეს. და ქისიყელნი და ზოგნი სხვანი ფეიქნის ხანს 15
მიუვიდნენ.

108 და ბატონი თეიმურაზ²²¹ და ზოგნი კახნი თავადნი ჭალა-
ბობით სამცხეს მივიდნენ. ვითაც მეფეს ბაგრატზედ || კახის
ბატონის სახლსა მრავალი კარგი მიუძღოდა, და თითონ ბა- 20
ტონს ბაგრატსაც კახთ გატეხა არ უნდოდა, || ქვეშ-ქვეშ
ველიც მოუმართა და არც გზა დაუქირა. ბატონმა თეიმურაზ
დედოფალი ზორაშან სამცხეს დაადო და თვითან თავისის სა-
ბატო კაციისშვილით კოსტანტინოპოლის წავიდა და ვინცა-
ვინ ახლდა ჭილა და მურა ცხენებსა, თითო ლუსმრით ვერ- 25
ცხლის ნალი დააკრა და ისე შევიდა კოსტანდინოპოლის. რა ეს
ნახეს, აედევნენ თან საშოვრად დიდათ გაიკვირვეს და უქ-
კობაში ჩამოართვეს. კემწიფემ პატივი სცა და სარჩოთ გო-
ნიოს სანჯახობა უბოძა. და ბატონმა თეიმურაზ თავისი საჩი-
ვარი და აოხრება გაასინჯვა და მოა||ხსენა: „საქართველო
ყოველთვის კეისრის მორჩილი ყოფილანო და ახლა ყი- 30
ზ[ი]ლბაშთ გვიყმესო და ჩვენი მამული დაიჭირესო. ამას მო-
ველიო || კემწიფისაგან, რომ ლაშქარი მიბოძოსო. წავიდე,
ჩემი მამული დავიჭირო და ჰონ[თ]ქრის ყმათ ვიყოო“.

5,6 იმერთი C. 6 ხელმწიფის C. ბძანება C. 11 ქ. ენის სახლთ C. და (2-
ჯერ) C. 12 გაატანეს C. 21 და (გამოტოვებულა) C. B. 22, 23 საპატო B, C.
23 შვილში B, C. 24 ბურა A, შურა B, მურა C. 26 გააკვირვეს C. 27 ხემწი-
ფემ C. 29 აოკრება B. 32 ხემწიფისაგან C. 33 დავიჭიროო C, B.

30ნ[თ]ქარმა ასრე უპასუხა: „ჩვენ და ყენი ერთს რჯულზედ
ვართო და თქვენ ისას რჯული გიქირავსო. არ გვიწესებსო,
რომ ქრისტიანს მაჰმადის რჯულის მქირავზედ უშველოთო.
და თუ ჩვენს რჯულზედ მოხვალო, მაშინ გამართებსო, რომ
5 ლაშქარი მოგაშველოთო“. ბატონმან თეიმურაზ მოახსენა:
„ამდენს ამისთვის გავისარჯეო, რომ იმათი რჯული არ დავიქი-
რეო. ახლა რით იქნებისო, რომ თქვენი რჯული დავიქირო?“
ეს ჰონ[თ]ქარს ნამეტნავათ ეწყინა და პატივიც აკლო და
10 დიდმა ხანმა გაიარა კარზედ აღარ იხმეს და არც ხონთქარ-
მან ინახინა.

და ბატონი თეიმურაზ²²² ხონთქრის რისხვას ელოდა და
იმისთვის თავის ჯართუბძანა „ვისაც სამძიმარი რამე გქონ- A 1
დესო, გაყიდეთ და ოქროთ აქციეთ, რომ ჩემს ჰაქმეს კარგათ
ვერა ვხედაო; არამც ცუდათ ამოგვწყვიტონო. აქეთ წავალო,
15 თუ ჯარი დავგწიონო, უომრად ჩენი დახოცა არ შეუძლო-
ნო, თუ გავიმარჯვეთო და გავაწიეთო, კარგი მლთის წყალო-
ბა იქნებისო და თუ არა და, ცხენზედ სახელოვანად მაშინაც
დავიხოცებითო“. ჯართ ეს ბატონის თეიმურაზის რჩევა მოი-
წონეს და ყო[ვ]ელმა კაცმა საქმე მოიმარჯვეს.

20 და ბატონმა თეიმურაზ [მ]თაწმინდის ბერებისაგან ვა-
ლი || აილო და ზოგიერთი სხვა მონასტრისაგანაც აილო. და
მთაწმინდის ბერებმაც შეატყობინეს და სხვათაც აცნობეს,
რომ თუ არ წახვალ, ან მოგწამლვენო და ან დაგიჭერენო. ბა-
ტონმა თეიმურაზ ნადირობა მოიგონა და უსკუდარს გავიდა,
25 და იქილამ გამოიპარა და წამოვიდა. და მესამეს || დღეს სულ-
თან-მურად ჰონთქარს მოახსენეს: „ბატონი თეიმურაზ წა-
სულაო“. ფიცხლავ გზებზედ ჩაფრები გაგზავნეს || და ყველ-
გან წიგნები მისწერეს: „გზები შეუკარით და ნუ გაუშვებთო,
რომ წავიდესო“. ყოვლს საფაშოში გზები შეკრა და ჯარი
30 დაეხვედრებინა. მაგრამ ქართველთ თავგამომეტებულთ გზის
მცველი ჯარი როგორ შეიპყრობდა? გაელახათ და წამოსუ-
ლიყვნენ. და ცოლ-შვილი სამცხეს ოლთის ციხეში ჰყვანდათ.
და ერთს ერევენის ხანს თაბუნ[ი]ს სულთანს ყაენისაგან და-
ვი გამოეთხოვნა თუ, „ბატონის თეიმურაზის ცოლ-შვილნი ამ

9 ჰონთქარმან B, ჰონთქარმან C. 15, 16 არ შეუძლიათო C, B. 19 ყოვლმა C.
28 გაუშვებთო B, C. 30 მაგრა B, C. თავ გამომეტებულათ B. 33 ერთს ერე-
ვნის ხანის თაბუნს P. 33, 34 დავი (თავი) B.

ადგილს არიანო და ამათი მოსხმა შემოძლიაო“. ეს ყაენს იამა და მრავალი წყალობა უქადა და დასტური უბოძა: „კარგი იქნებისო“.

გაზაფხულის პირი იყო, ვარდის ყვევილობა, და ხორე-
შან დედოფალი საბატიო კაცისშვილების ცოლებით ციხით
დაბლა ბაღში ჩამოვიდნენ, და იმ ბაღში დგებოდენ. ბატონ-
მან დედოფალმა ბალი შუალამისას ნახა სიზმარში გველით სავ-
სე, და ყველა მის კბენას ეზიდებოდა, და „ციხისაკენ || გა-
ვექეცო და გველნი უკან გამამეკიდნესო და ვერ მამეწივნესო.
მე ციხეში შეველო და ზეცით ორბის ჭარი მოვიდაო და
გველები სულ დაიტაცაო:ადეგით, ნულარ გძინ||ავთო! ჩვენ
ციხისაკენ წავედითო, თორედა ავი რამე დაგვემარტებისო“.
წავიდნენ, შუალამე გარდასულიყო, ციხის კარზედ მივიდნენ.
ციხოვანთ ღამით კარი არ გაულეს. გათენებისას ყიზ[ი]ლბაშ-
ნი იმ ბაღს დაესხნეს. ციხოვანთ შეიტყვეს და ბატონი დედო-
ფალი თავისის მხლებლებით ციხეში შეიყვანეს და ზეიღამან
თოფნი დაუშინეს.

და ურუმით წამოსრულმან ბატონმან თეიმურაზ ზარბაზ-
ნის კმები გაიგონა. უბძანა თავის ჭართა: „ვისაც ცხენს
შეძლება აქვსო, ჩქარად იარეთო, რომ ეს ხმა ფარსაგი არ
არისო. ციხეს მივეშველნეთო“. რა ციხეს ახლო მოვიდა, ეს
ანბავი შეიტყო: ქართველთ იარაღი მოივარგესო და თათართ
შეუტყვეს. და თათარნიც კარგათ თავგამეტებით დახვდენ და
ძალმიცემით იომეს; და გამარჯვება || ბატონს თეიმურაზს
დარჩა; და სულთანიცა და მისი ლაშქარიც სრულ დახოცნეს
და კახთ გაემარჯვა; და დედოფალი წამოვიდა, გონიას დად-
გა²²³.

ბატონს თეიმურაზს კახეთით ანბავი მოუვიდა, რომე „დან-
დობილს კახთაო არ[ა]გვზედანო ყ[ი]ზილბაშთ თავები და-
[ა]ყრევივნესო და ნულარ სდგახარო, მალ მოგვეშველო!“
იმანც || ცოლ²²⁴-შვილი თან წარმოიტანა, გურიას მივიდა. გუ-
რიული მამია კარგათ დახვდა: ცოტა რამ ჭარი ათხოვა. იმე-

6 ბაგში B. დგებოდეს C, B. 9 გამომეკიდნესო C. 10 ორბის (გამოტოვე-
ბულია) B, C. მოვიდოდა C. და (გამოტოვებულია) C. 16 ზეიღამ C, B. 18 წა-
მოსულმან C. 19 ხმები C. უბრძანა C. თავის C. 20 აქვსთ B, C. ჩქარათ C.
24 ძალი მიცემით A, ძალ(ძალ) მიცემით C, B. ძალ მიცემით P. 29 კახთო C.
არაგვზე P. 29, 30 დაყრევივნესო C. 31 იმანც C. წამოიტანა C. 31, 32 გური-
ული C. 32 იმერეთი C.

რითი ჩაიარა, ამათაც ცოტა რამე ჯარი ათხოვეს. ურუმნიც ახლდენ. ქართული გაიარა, კახეთს ჩავიდა; სრულ კახნი მოუვიდნენ და შემოეყარნეს და ფეიქნის ხანი ცოლ-შვილით ქოეთის ციხით ყარაბაღში²²⁵ მივიდა.

5 და განჯიღამე ეს ანბავი ყაენს მისწერეს. და ყაენმან ალი ყული-ხანი||შამლუ სარდრათ ქნა და ბატონს თეიმურაზს გაუ-
დახა, რომ დაიჭირონ. თავს მოუარეს და არაგვზედ გზები B 6
შეუტკრეს და საცა გამოსავლელი გზები იყო²²⁶, შეუტკრეს და
მეთოფენი ჩაუსხეს. და || ერანის ლაშქარი და ალი ყული-ხან
10 არაგვზე დადგეს. ბატონმან თეიმურაზ სახმარი ჯარი შემოი-
ყარა და ხმა შემოუგდო, იმერთს გარდავალო. მოვიდა სიახ-
ლ[ო]ეს მთაში, მაგარს ადგილს ახლო დადგა და კაცი გა-
მოუგზავნა: „ამის უფრო ყაენის შემცოდეს ნუ შემიქო. გზა
15 დამანებე! ნურც ქართველთ ამოსწყვეტ და ნურც ყიზ[ი]ლ-
ბაშთა ერთმანერთს ნუ შეახოცო“. და ამან ასე უპასუხა:
„კემწიფის ბძანება არ არისო, რომ შენ გზა დაგანებო-
თო“. იმას ასრე შემოეთვალა: „ჩემი ხვეწნა არ შემეიწირეთო,
მაგრა ხვალ კლმით გავივლიო“. და ბაინდურ ერისთავი ქარ-
თლის მეფის ბრძანებით ლაშქრით ალი ყული-ხანთან იყო და
20 ბატონს თეიმურაზს თათართ ანბავს არ აკლებდა.

ამავე ქორონიკონსა ტ'დ (304)²²⁷ ალი ყული-ხანს მოახ-
სენეს, რომე ბატონს თეიმურაზს უთქვამსო, ხვალ კლმით გა-
ვივლიო. ალი ყული-ხან ყ[ი]ზ[ი]ლბაშთ უბრძანა, „ყოველმან
25 ცხენი და იარაღი მოივარგეთო და საომრათ მზათ და ფრთხი-
ლათ იყვენითო || და საცა არაგვზედ ფონი და გამოსავლელი
გზა იყოსო, მეთოფენი ჩაუსხითო და ღამით ყარაულით იყ-
ვენითო და ეცადეთო. არ წავგივიდესთო“.

30 გათენებამდისინ გზები შეუტკრეს და ფრთხილათ იყენენ
და გათენებისას ყ[ი]ზ[ი]ლბაშნი შეიკაზმნენ და საომრათ
რაზმი გაარიგეს. და ბატონს თეიმურაზს მოელოდენ, და იმა-
თი ჯარი გვიან გამოჩნდა და შორეს დადგნენ. || და ერთი
კაცი ბატონს თეიმურაზს ბაინდურ ერისთავთან გამოეგზავ-
ნა, ასრე წიგნი მოეწერა: „ალი ყული-ხანს შემახვეწეთო, ბედ-

1 ცოტა რამე C. 2 კახნიც C, B. 7 დაჭირონ B. C. 8 გამოსასვლელი C. 11 იმ-
ერთს გადავალო C. 16 ხემწიფის C. 18 კუალ B, ხლმით C. 19 ბძანებით C.
22 ხუალ B, ხლმით C. 25 იყვენით C. 29 ყიზილბაშნი B. და (გამოტ.) C.
30 მოელოდნენ C. 31 შორეს (შორს)? B.

ნიერს ყაენს არზა მიმიწეროსო და მამეხმაროსო, ამ ჩემს აოხრებულს მამულში დამაყენოსო, სხვათა კარე[ბ]ს ნუ მატარებსო. თუ არადა თქვენ ბევრნი || და ჩვენ ცოტანიო; რაგინდ სხვაგანც გაგეცალოთო, მაშინც აქე უნდა მოვიდეთო და აღარც გაგეცლებიო და აღარც შემოგებმიო“. ეს ანბავი ალი ყული-ხანს მოახსენეს და იამა და ბაინდურ || ერისთავს უთხრეს: „ბატონის თეიმურაზის კაცი გაისტუმრეო და შენც კაცი გაუგზანეო. როგორიც უჯ[ო]ბდესო, იმრიგი არზა ყაენს მისწეროსო და ჩვენც ასეთი წიგნი მოგვწეროსო, რომ ყაენს გაეგზავნებოდესო. ჩვენც ბედნიერს ემწიფეს არზას მივსწერთო და შვა შემოვალთო. და რაც ყაენის ბრძანება მოვიდესო, ისრე ვქნათო“.

და ლაშქარიც დაემინდა და ჩამოხდნეს. და ზოგნი ძილს მივიდნეს, ზოგნი ლოცვას დადგნეს, და ზოგნი ჭამად ისხდნენ, რომ მისთანას დროს ყარაულთ დაინახეს: „მოვიდა ლაშქარიო!“ შეიქნა ქანარის ცემა და ძახილი, მოცხენი და ჭარჩების²²⁸ ძახილი. სადამდისინ ჭარი შეიყრებოდა, კახთ მოიტანეს და ურდოში გამოერივნეს. და ადგილ-ადგილ შეიქნა ომი და თოფის სროლა. მაგრა ერთგან შეყრა აღარ დააცალეს ,და თავიანთ კარავი და ქონება გაუშვეს და ზოგნი ცხენით და ზოგნი ქვეითი გაიქცნენ. ზოგნი დაიხოცნეს, || და ზოგნი წყალმან და[ა]რჩო და ზოგნი თბილის ქალაქს შეიხიზნეს. და იმ ხანების და სულთნების კარვები და ქონება ერთპირად ბატონს თეიმურაზს დარჩა. და თვითოს თავადსა || თვითოს ხანისა და სულთნის კარავი და მორთულობა და ქონება ევლშეულად უბოძა და საშოვარი ისრე გაიაფდა, რომ სანახევროთ წამლები არ იყო. და ბატონი თეიმურაზ თვითან ალი ყული-ხანის კარავში ჩამოხდა და მისი ნაქონი ყველა თავისთვი[ნ] დაიჭირა. ამრიგი გამარჯვება ქართველთ არ დამართებოდათ.

ბატონი ბაგრატი²²⁹ ავად იყო, და ეს ანბევები ყაენს მის-

C 47

A 116

A 117

B 70

5

10

15

20

25

30

2 კარე(ბ)ს P. 8 გაუგზავნეო C, B. უმჯობდესო B, C. 10 ხემწიფეს C. 11 რაზ C, B. 13 ლაშქარსაც ხათრჯამობთ ჩამოხტომა უბრძანეს და ყველანი თავთავიანთ კარვებში ჩამოხდნენ და იარაღი შემოიხსნეს P. 14 და ზოგნი-ლოცვას B. 15 ყარაული C. დაინახეს (დაიძახეს?) B. 16 ქნარის C. 22 დაარჩო C. 24 თვითოს თავადსა (გამორტყებულა) B, C. 26 ხელ შეუალად C. ასრე B, C. 28 საქონელი B, C.

წერეს და ჰაქიმ-დაუთ ყაენს ბატონის ბაგრატის საშველებ-
ლად გამოეგზავნა; ველარ უშველა რა. სოფელმან მისი წესი
არ დაიშალა და²³⁰ ამ სოფლით ბატონი ბაგრატ მიიცვალა
ბოლნისს²³¹. და შეიქნა ტირილი და გლოვა სრულად საქარ-
თველოში. და || შვილი მისი იყო ბატონი სვიმონ²³² გლოვასა
და შეწუხებაშინ.

5

A 11

რაჟამს ესმა ჰიკვდილი მეფის ბაგრატისა შაჰ-აბაზ-ყაენ-
სა, მწვეთ ეწყინა და ასრე დაუმძიმდა, ვითა ძმა ყოფილიყო.
მაშინვე გამოგზავნა კაცი და სამძიმრის წიგნი, შვილს იმედის
მოცემა და წყალობის ქადება. წელიწადზედ შეიწყალა მეფის
ბაგრატის შვილი სვიმონ. ყარჩ[ი]ხა-ხან სარ||დალი იყო. და
ყაენმან თავისის ქალის ზუბედა-ბეგუმის ნაშობი, ისა-ხან ყორ-
ჩი-ბეგან შექნილი ჭაჰან-ბანუმ-ბეგუმ²³³ ქართლის დედოფ-
ლათ გამოგზავნეს და ბატონს სვიმონს ცოლათ მისცეს. ყარ-
ჩ[ი]ხა-ხან და სხვა ათი-თორმეტი ხანი და ერანის ლაშქარი თან
გამოატანა. ქორონიკონსა ტ¹იბ (312) ქალაქს მოვიდნენ, რო-
მელსა ეწოდება ტბილისი, და ქორწილი უყვეს. იყო მღერა,
ნადიმი და მეჭლიში, ბურთობა და ყაბახის სროლა.

10

C 46

15

1624

რა || ქორწილობა გარდინხადეს,

A 1

20

ბრძანება იყო ყაენისა, რომე კახი კაცი გაეწყვიტა და
ყახეთში ყიზ[ილ]ბაშინი || დაესახლებინა. და კიდე²³⁴ პატ-
რონობდა ბარდის ხანი. ფეიქანის ხანმა შეიყარა კახთ ლაშ-
ქარი, მივიდეს მუხრანს; აღლუმი მოინდომა. ფონთხელადამ
ქანდამდი იქით-აქათ ჭარით გაკრეს. გაატარაინ თითო-თითო
კახნი, აქიდამ გატარებული ასე მოკლიან, ერთიმეორის სიკვ-
დილს ვერ შე[ი]ტყობდა. აღაიანის მინდორში ყათლამი უყ-
ვეს, ღალატით ერთობილნი კახნი დახოცეს. რომ ყათლამი
უყვეს, მერმე თარეში გაუსია კახეთს. თითონ ნორიას დადგა-
ეს იწყინეს ქართველთ, ქრისტიანთ უბრალოდ დაჯოცა.

25

30

B 74

და²³⁵ მოურავმაც ქართველთ უთხრა: „ყაენს ამათთვის
შათირი გამოეგზავნაო. ის შათირი მე დავიკვირეო. ეს შემოუ-

2 ველარა B, C. 4 სრულად C. 6 შეწუხებაში C. 7, 8 ყაენმა C. 8 ასე C.
14 მოსცეს C. 16 ტ¹ იდ B. 18 და (გამოტ.) C. 19 ქორწილება C. ქორწი-
ლება (et ლობა) B. 20 კაცი (2-ჯერ) B. C. 21 და კახეთს P. 23 ფონთხელადამ C.
26 აღაიანს C, აღაიანს E. 26, 27 უყუვეს B, C. 27 ღალატით ერთობილნი კახნი
დახოცეს რომ ყათლამი უყვეს (გამოტოვებულა) C. 28 უყუვეს B. გაურა C.
29 დახოცა C. დაჯოცა B.

A 120

თვლიათ — კახთათვის კარგა გიქნიაო, ახლა ქართლის || კაც-
საც ისე უყავიო“. მოურავის პირობით ქართველნი შეიყარ-
ნენ, დაესხნეს მარტყოფში, ნორიას, ხარების ღამეს ყიზილ-
ბაშთა თავსა. ყარჩ[ი]ხა-ხან—სარდარი და უსუფ-ხან—შირვა-
ნის ხანი და სხვა ხანები და სულთნებიც მრავალი დაჯოცეს; 5
ალიგსნეს საშოვრითა, ოქროთა, ვერცხლითა, თვალითა მარ-
გალიტითა, მრავლის უცხოს ნაქსოვითა, ცხენ-აქლემითა და
ჯორითა.

ამაზედ ჩამოიყვანეს თიბათვეში კახი ბატონი თეიმურაზ
მცხეთას: შეპფიეცეს ქართველთ და გააბატონეს მცხეთას ზე- 10
დათ ქართლსა და კახეთსა. და²³⁶ თავისი ქალი დარეჯან ბა-
ტონმა თეიმურაზ ზურაბ ერისთავს მისცა. ბატონი სვიმონ
ტბილისს იჯდა, სომხითსა და საბარათაშვილოს პატრონობდა.
იმ ეამში ბედნიერმა ყაენმა თავისი ტახტის ისპაჰანის მოუ-
რაობა დაუთ-ხანის შვილს როსტომს ყულარადას[ს] უბოძა, 15
ღიად, სიდიდე მოემატა.

B 72

ამასობაშია მოვიდა ბძანება ღორსა, და შაჰ-აბაზ-|| ყაენმა

A 121

ტახტი დაცალა და ამ სოფლით || მიიცვალა ქორონიკონსა

1632

ტ^კ (320)²³⁷ მაზანდარის ქვეყანას, ამრავს რომ ყაენის სა-
სახლე არის. და როსტომ-ხან იყო, დაუთ-ხანის ნაბიჭვარი 20

C 49

ისპაჰანს, ყაენის || შვილები და შვილისშვილები იქ იყუ-
ნენ. მრავალჯერ ქნილიყო წინათ ეამშია კემშიფეთ მიცვა-
ლებაზედ და ერთმანერთი გაეწყვიტა, და მრავალი სისხ-
ლი დაღერილიყო. როსტომ-ხან ძალითა და შეწვენითა მღვთი-
სათა გასინჯა საქმე. შვილიცა იყო ყაენისა, მაგრამე თავად 25
თვალდამწვარი იყო, სინათლე [არ] ჰქონდა²³⁸. მაგრამე უფ-
როსი შვილიშვილი იყო და, [ღ]იად, კაი თვალად და ტანად
შვენიერი; კელმწიფობა იმას შეფერებოდა. გამოიყვანა და
ტახტზე დასვა და მიულოცა კელმწიფობა შაჰ-სეფი-ყაენსა²³⁹,
აკვრევიანა ქანარა და ნადარა, მისწერა შორსა და ახლოს ბრძა- 30
ნება თუ, „მოღით და თაყვანის ეცით“. მოვიდეს ყოვლის აღ-

5]დახოცეს C, B. 7 ნაქსოვით B, C. 8 ქართია C. 9 რა მოიყვანეს C.
კახ C. 10 გაბატონეს B, C. 13 ტბილისსა C, B. 14,15 მოურობა B. 15 აღასს A.
B. 23 ხემწიფეთ C. 24 შეხვეწნითა C. 26 დამწვარ C. 27 შვილი C. ღიად (ღიად)
B. 28 ხელმწიფობა C, ამას C, B. 29 ხელმწიფობა C. 31 მოღითთო C, B.

გილიდამ ხანები და სულთნები, მიულოცევდენ კელმწიფობა-
სა და აყრიდენ თვალმ-მარგალიტსა, წლამდისინ აღიდეს. და
მოეწონა ყო[ვ]ელთა მნახავთა, თქვეს და აქეს: „არ არისო
ქვეყანათა ზედა ამისი მგზავსიო“. გააკვირვა ყოველი სჯული
და სულ[ი] ლხინითა, ნადირობითა, გაცემითა. და გაისმა ქება
სიკეთისა ყო[ვ]ელთა ქვეყანათა ზედა.

A 122

ამ დროს წამოეკიდა მეფის ბაგრატის შვილი²⁴⁰ ბატონი
სვიმონ და კახს ბატონს ქართლი წაართო, და კახი ბატონი
თავის აღვილს იყო. იმავე წელიწადს ამდონი ისარჯა კახმა
ბატონმა თეიმურაზ, თავისი ქალი და სიძე ერისთავი ზურაბ
და მისივე ყმა, ჩერქეზი გიორგი, მოლაღატეთ შეუყენა და მძი-
ნარე ბატონი სვიმონ ცხვილოს[ს] დააკვლევინა²⁴¹. ქართლს
ბატონად სომხითი და საბარათიანო დიქირა. რა || გაიგონა
შაჰ-სეფი-ყაენმა, მწვედ იწყინა, კახს ბატონს გაუწყრა.

B 73

ქორონიკონსა ტ'კგ (323) დაუთ-ხანის შვილს ყულარაღას
როსტომს მოსცეს ქართლი²⁴². გამოატანა²⁴³ ყიზ[ი]ლბაშთ
სარდალი, ბატონის ბაგრატის || სახლთუხუცესი საპაკაძე ბე-
ყანის შვილი როსტომ-ხან. და მრავალი ლაშქარი კიდეც როს-
ტომ მეფემ, რომელიც თავადი და აზნაურშვილი [იყო], ყაენს
სთხოვა, უბოძა. და თან წამოასხა თავათ ბეყან ამილახვარი,
ზაალ, ქსნის ერისთავი, თვალდამწირიშვილი დავით თავისის
შვილებითა, ფავლენიშვილი ბახუტა, მიაი განაყოფი როინ,
მაჩაბელი თამაზ, ციცი-შვილი პაპუნა, თურმანიძე თურმან,
იმერელი ბოქაულთუხუციშვილი თეიმურაზ, ბარათაშვილი
სასან-ბეგ. და მელქისაღდეგ²⁴⁴, სომხითის მელიქი ათაბეგ და
მისნი ძმანი თან გამოჰყენეს, და წამოვიდნეს და რევან ფავ-
ნელიშვილი წინ გაისტუმრეს. || და სომხითის მელიქმა ქართ-
ლის თავადსთ წიგნები მისწერა ასრე, რომე „ყაენმან თქვენი
მონაწერი სახვეწარი შეგიწირათ და თქვენის მემკვიდრის ბა-
ტონის დაუთ-ხანის შვილს მეფეს როსტომს უბოძა. და თავ-
რიზის ბატონის როსტომ-ხან სარდართა და ერანის ლაშქა-

1635

A 123

C 50

1,2 ხელმწიფობასა C. 3 ყოველთა C. 4 გააკვირვა ყლი რჯული და სული ლხი-
ნითა, ნადირობითა და გაცემითა E. 9 თავის აღამს P. ისაჯა... თეიმურაზ თავისი
ქალი და მისივე ყმა ჩარქეზი გ'ი მოლაღატედ შეუყენა და მძინარე ბატონი სვიმონ
დააკვლევინა E. 17 სახლუხუცესი E. სპაკაძე B, C. 19 თავადიშვილი C. 22 ბხუ-
ტა B. 23 ციციშვილი C. 24 ბოქაულთ უხუცი (უხუცესი?) C, B. 26 წამოვიდ-
ნენ C. 28 თავადსი (თავადთა?) B.

A 124

რი || თან გამოგვატანეს და მლთის შეწევნითა შემოდგომამდისინ ჩვენც მოსულნი ვართ“.

ბატონი თეიმურაზ საფურცლეს²⁴⁵ იდგა და ასრე რიგათ მოახსენეს, რომ რევაზც და წიგნებიც ბატონს თეიმურაზს ხელში ჩაუვდეს. რა ეს წიგნები წაიკითხეს, ვისთანაც ეწერა, ამ წიგნების ანბავი კახთ ყველას შეატყობინეს, თუ ამრიგი წ[ი]გნები კელში ჩაუვარდაო. ამ ანბავზედ საქართველოს ლაშქარი მოიხმო თუ, „ყ[ი]ზ[ი]ლბაშთ წინ დაეხედებოო“. სლარ[ა]ვინ ულაშქრა, ერთის იოთამ ამილახვარის მეტმან და როსტომ მეფე და ერანის ლაშქარი ახლოს მოსრულ იყვნეს. ომი ველარ გაბედეს. საფურცლიდამ აიყარნეს, თებს მივიდნენ²⁴⁶. და ქართველნი არც თეიმურაზს მიუდგნენ, იმერელთ მოშველება დაჰპ[ა]ტიყეს.

5

B 74

ამისთანას დროს ლევან დადიანი დიდის ლაშქრით ჩამოსდგომოდა. ამიტომ ველარც ისინი მოეშველნენ. და თათრის ლაშქარიც აღჯა-ყალას მოსრულ იყო, და ბარათიანი და სომხითარნი მისვლოდენ.

15

A 125

ბატონი თეიმურაზ ზემო ქართლს მივიდა²⁴⁷. როსტომ მეფე ქალაქში შევიდა და || უფროსიერთი ქართლის თავადთაგან, წიგნი და კაცი მიაგებეს. რა ბატონის თეიმურაზის ულაშქრობა იცნეს, ქალაქით ორი ათასი ცხენკეთილი კარგნი კაცნი გაუძახეს, რომ ზემო ქართლს თავს დაესხან. ამათაც წეიტყვეს და ცოლ-შვილი და ბარგი წინ გაისტუმრეს პერანგაზე²⁴⁸, და თვითონ უკან ჩამოუდგეს. და მღევარიც დალაღულ იყვნენ და უფროსიერთი ცხენი დავარდნოდათ. ზოგი ვინმე მისწევოდა, ომს დარიდებოდენ- ცოტა რამე უ[კ]ან დავარდნილი ბარგი და კაცი დაეჭირათ და გორს მოვიდნენ.

20

25

და როსტომ მეფე, და როსტომ-ხან სარდარი და ერანის ლაშქარი დაუყვეს და ოც დღეზე გორის ციხე ააგეს და გა[ა]თავეს, და მუსლუ-ბეგ მინბაში, მესხი და მისი თაბუნნი, მაზანდარის მეთოფენი მაშიგ დააყენეს. ქართველნი სრულ მოუვიდნენ ციცი-შვილის ფარსადანის მეტი და ის იმისთვის

30

3 ბატონი თეიმურაზ დიდემს იდგა P. ასრე მოახსენეს, რომ წიგნები კელში ჩაუვდეს P. 5 ვისთანას B, C. 7 ხელში C. ამაზედ C. 10 იყვნენ B, C. 11 დიდემთ აიყარა და გორს მივიდა P. 14 დისის (თვსის?) B, C. 16,17 სომხითიანი C. 23, 24 პერანგზე C. 24 მღევართაც ზოგთ ცხენები დავარდნოდათ P. 29 ლაშქარს A. 29, 30 გაათავეს C.

ვერ მოვიდა, რომ სარდლის სახლზედა ძალი და უსამართლო მუუძლოდა, იმისგან ერიდებოდა.

სარდარმან || საპაკემ || და როსტომ-ხან ლაშქარი გაუ-
ძახა, საციციანო დაარბიევინა. ეს როსტომ მეფემ უწყინა და
5 ასრე კაცი მიუგზავნა სარდარსა და შეუთვალა: „თავათ სა-
ქართველო აოჯრებული არისო და რაც მორჩომილა, იმასაც
თქვენ მიოხრებთო, მე ამ ქვეყანას რისაღა ბატონი ვიქნებო?“
ამ საქმეზედ სიტყვით დამდურდეს და ორთავე ყაენს არზა
10 მისწერეს. ყაენით ბრძანება მოუვიდა: „სარდარი ვანზედ წა-
ვიდესო, და შირვანის ბეგლარბეგი როსტომ მეფესთან იყვენ-
ნო“. ბრძანება გა[ა]თავეს და რა სარდარი დაბრუნდა, ციცი-
შვილი ფარსადანც და ან სხვანი, რომ არ მოსულიყვნენ, ყვე-
ლანი მოუვიდნენ.

ამავ²⁴⁹ წელიწადს ლევან დადიანს დამოყვრა: და ქარ-
15 ალი[ს] სადედოფლოთ სთხოვეს. და მანც მოსცა მარიამ
დედოფალი. და ამავ წელიწადს ქორწილი მოინდომა როსტომ
მეფემა, და გზა არ და[ა]ნება იმერელმა მეფემ გიორგიმ.
შეიყარა აქათ მეფემ როსტომ და მივიდა სამცხის, ოცხეს
დაღვა. || იქით წამოვიდნ დადიანი შეყროთ, და წამოიყვანა,
20 და წინ გარდაუღვა მეფე გიორგი. შეიბნენ და გაემარჯვა და-
დიანსა და დარჩა კელთ მეფე გიორგი. მეფე როსტომც ჩავი-
და კაკას-ხილს იმერეთშია; და მობძანდა ბატონი დადიანი.
შეიყარნენ, გაიხარეს ერთმანერთის ნახვითა, ლხინითა და
განსვენებითა. წაბძანდა იქით დადიანი და წამოვიდა მეფე
25 როსტომ მხიარული. იმერეთი ჩამოიარეს და მოვიდა ტფი-
ლის[ს], ქორწილი გარდინხადა. <იყო...>

როსტომ²⁵⁰ მეფე სურამს იღვა. იქილამე დათუნა ერის-
თავე წამოუვიდა იმისი შიშით, რომ მის ძმას ზურაბს ერის-
თავს როსტომ მეფის ძმისწული, მეფე სვიმონ მოეკლა. და
30 ზოგს თავადთ ქრისტიანობისათვის მეფის თეიმურაზისა ერ-
ჩივნათ და || უთხრეს დათუნა ერისთავსა, რომე როსტომ მე-
ფე მოგკლავსო, შეაშინეს და საერისთოს წავიდა, იქილამ ბა-

A 125
C 51
B 75

A 127

B 76

2 მოუძლოდა B, მოუძლოდა C. 3 სააკემ C, B. სააკემ (et საპ...) B. 5 ასრე (2-ჯერ) B. 6 აოხრებული C. არც B. 11 გაათავეს C. 12 მოსრულ B. 14, 15 ქართლი სადედოფლოთ (ქალი?) B. 15 სთხოვს C. მისცა C. 19 შეყროთა C. შეყროთა (შეყრიდა) B. და (გამოტოვებულა) C, B. 21, 22 ხელთ C. როსტომიც ჩამოვიდა C.

- A 128 ტონს თეიმურაზს გარდმოსლვა შეიპატიჟა. ვითაც ბატონს ო
თეიმურაზს მისი ძმა ზურაბ ერისთავი მოეკლა, ამისთვის მო-
ტყუება ეგონა და არ ენდო.
- ეს ამბევები როსტომ მეფემ შეიტყო და დიდის ლაშქრით
მუხრანს მივიდა და დათუნა ერისთავი მოციქულებით მოინ- 5
C 52 დო და ყაენთან გაგზავნა მოინდომა. და იარაღის შემოსხნას
შეიპატიუეს, და იმან იარაღი არ შემოისხნა, და ძალით შემო-
სხნა გაუბედეს. წაიკრა კანჯარს კელი, ზოგი მოკლა, ზოგი
დაქრა. ეს მეფეს მოახსენეს, ბრძანებ[ა] იქნა: „დაუშინეთო!“
დათუნა ერისთავი მოკლეს. თავის²⁵¹ ბიძაშვილს აპპ[ა]ტივა 10
და სა[ა]მილახვარო ისრევ იოთამს მისცა. და ვითაც იესეს
ერისთავსა მრავალი ჯავრიც ახსომდა და მესისხლევ იყო თა-
ყად, თავისი ძმა შანშე და მისი ცოლი მოეკლა, და შანშეს
ცოლი მეფის დისწული იყო, და ზა[ა]ლ ერისთავიც ამის ბა- 15
ტონობაშიც მოეკლა, და აღარ შემოირიგა. იმასაც ღონე აღარ-
სადით ჰქონდა, ყაენთან წავიდა. ყაენმა დიდი პატივი მისცა,
მეკმანდარი დააყენა და კარგი ულუფა გაუჩინა. და მეჯლის-
ში საჯდომად ალაგი უბოძეს და ო ყოველს მეჯლისში დაჰპა-
ტიებდნენ. და ვითაც ამ იასეს ერისთავს პაპუნა ამილახვა- 20
რი მოეკლა და იმ ამილახორის ორი შვილი, პაატა და იოთამ
ყაენს ახლდენ და იესეს საკლავათ დროს ეძებდენ.
- 1636 ქორონიკონსა ტკედ (324)²⁵² სულთან-მურად ჰონ[თ]ქა-
რი მოვიდა, ერევანი აიღო და დაბრუნდა. და მერვეს თვეზედ
შაჰ-სეფი-ყაენი მოუხდა, ისრევ ერევანი წაართო. ო ამ დროს
როსტომ მეფე მიუხდა, სამცხის ქვეყანა დაარბივა და მრავალი 25
ნაშოვარი ქნეს. ეს შაჰ-სეფი-ყაენს იამა და ორი ათასის ნაღ-
დი ჯინსი²⁵³ უბოძა. და ყაენი აღრბიჯანით ისპა[ა]ნს ჩავიდა.
მეფე გორს იდგა. ციციშვილი ნოდარ და ქსნის ერისთა-
ვი იესე კარალეთზედ ცილობდენ. არაგვის ერისთავი ზაალ
ნოდარს მიუდგა და იოთამ ამილახვარი ქსნის ერისთავს მიუ- 30
დგა. და ქსნის ერისთავი და ამილახვარი ლაშქრით გორ ზე-
ვით ჰალაში იდგნენ. და ნოდარ თავისის ლაშქრით მტკვრის

4 ამბები C. 5 თათუნა C. 8 ხელი C. 10 აპტივა (აპატივა) B. 11 საამილახ-
ვარო C. 11 ოლამს A, B. 12 იხსომდა B. 14 მეფის B. ზაალ C. 18 საჯდომ-
დად A, (-მად) B. 19 ვითაც C. 20 მოეკლათ A, B, C. იმ C. 22 ქს ტკე P.
24 იმ C. 26 ორი ათასი თუმანი P. 27 ჯინრი C. ისპანს C. 29 კარალეთზედ B.
32 თავის C.

პირს იდგა, გორ ქვეითა. და ჯერ არაგვის ერისთვის ||ლაშქარი არ დაძრულიყო. A 1

5 ამათი ლაშქრიანობა როსტომ მეფემ იწყინა. და უწინდელიც მრავალი ჯავრი ჰქონდა .და ქსნის ერისთავსა და ამილახვარს ცოლ-შვილი გორს ციხეში შეუგზავნა. კარალეთი ნოდარს უბოძა და ლაშქარი იხმო ყოლგნით: ერისთვისა და ამილახორის წახდენა მოინდომა. იმათაც რა ეს შეიტყვეს, ახალგორს მეფემ ერისთობა ელისბარს და ამილახრობა ბეჟანს უბოძა. და ამასობაში იმათაც უფროსიერთი ყმანი წამოუვიდნეს. მეფემ გორ ლაშქარი შეიყარა, სა[ა]მილ[ა]ხოროზე და საერისთოზე გაილაშქკრა. C 55

15 რა მეფე რეკისცევს მივიდა, ისინი კახეთს ჩავიდნენ. და მეფემ ცხვილოსის ციხე და[ა]ქცევინა. ისრევ გორს მოვიდა ერისთავი და ამილახვარი კახეთით. ბატონს დედოფალს სახვეწარი წიგნი მოსწერეს და ცოლ-შვილი სთხოვეს. და მეფემაც ბატონს დედოფალს აპატია. და დიდის პატივით და ჯარით კახეთს ჩაუგზანა. და ორნიც ბატონს თეიმურაზს ახლდენ. ვითაც იოთამ ამილახორის || დედა როსტომ მეფის ბიძის ვახტანგის ქალი იყო და იმერეთში ჯიჯა||ვაძეს ედგა და 20 იქილამე კარგის ფეშქაშით მეფესთან მოვიდა და შვილის შენაცოდებს შემოეხვეწა. ვითაც როსტომ მეფე მოწყალის გუნებისა იყო და თავის ბიძაშვილს აპატია. A 1 B 7

25 ამავე²⁵⁴ დროს იყო კახი ბატონი იმერეთს და კახეთში ჩამოვიდა მთის გზილამე მრავალს ადგილს; მეფე როსტომის თავსდასხმა და ლალატი მოინდომა.

30 ქორონიკონსა ტ'ლგ (333) მეფე როსტომ გალანამც ბატონის სვიმონის სისხლს ითხოვდა, ქვეყანას ურბევდა და ბევრი ავი საქმე უყვეს. ბოლოს შემოვიდნენ შუა პატრიარქი, მიტროპოლიტი, ეფისკოპოზნი, ერისთევები და თავადები. და დანდობის საქმეს შემოეხვეწა თუ, ორს წლამდინ ერთმანერთი დაინდეთო და მას უკან გასამ[ა]რთლდითო. და რაც სამართალმან გააჩინოს, ბატონის სვიმონის სისხლი იმგვარად 30 მოიკითხეთო. || და დაუდვა კახმა ბატონმა თეიმურაზ სანდოთ A 164

5 გორის C. 6 ერისთავისა C. 7 შეიტყვეს C. 10 გორ(გორს?) C, B. 10,11 საამილახროზე C. 12 და მეფე C. რეხის-ხევს C. 13 დაქცევინა C. 15 მისწერეს C. 17 ჩაუგზავნა C. 18, 19 ბიძის კოსტანდის C. 26,27 მეფე სვიმონის C, მეფის სვიმონის B. და ქვეყანას C, B. 29 მიტრაპოლიტი B. 33 და (გამოტ.) C, B.

საფიციტო სოფელ გავაზი და სოფელი ჯის-სკევი, ქართლის თავადისშვილებსა გლეხების მოცემას დაჰპარდა.

როსტომ მეფემ რომელიც საფიცარი მოსცა და ან პირობა და ფიცი, ყველა გაუთავებ, და კახმა ბატონმა რაც პირობა მოგვცა, არც ერთი არ გაუთავა. ამაზედ აიშალნენ: აქათ მეფე როსტომ შეიყარა და იქით — კახი ბატონი. ქისიყისაკენ თათრები და ყაზახის ხანი ჯამალ-ხან უჩინა. კახი ბატონი თიანეთს მისულიყო. და მეფე როსტომ იქით წავიდა, მცხეთას მივიდა და შემოუარა სვეტს ცხოველსა და ითხოვა შეწვენა. არაგვის პირი შეიარა და თიანეთს მიუხდა. კურთხეულ ზარ ძლიერო და უძლეველო, ყო[ვ]ლისმპყრობელო ლ[მერ]-თო, რომე სიდიდე და სამართალი შენ ყოველს კაცს დაანახვე! შეიბნეს და გაემარჯვა მეფე როსტომს ქორონიკონსა

1648 ტლვ.²⁵⁵ (336), დროშა, ქანარა და ნალარა გა[ა]გდებინა. || სახლთუხუ||ცესი რევაზ და მრავალი საბატო კაცისშვილები სხვა მოკლეს. და გა[ა]ქციეს ბატონი თეიმურაზ; უკან მიჰყვნენ. და გრემს მივიდა როსტომ მეფე. სრულიად კახნი ჯალაბობრივ იქ იდგნენ.

თვითან ბატონი თეიმურაზ ყოვლგნით კელმოღებული, იქით ბატონის თეიმურაზის შვილი დავით და ჩვენგან გაგზავნილნი ლაშქარი [და] ჯამალ-ხან შეყრილიყვნენ, შემბულიყვნენ ქისიყის ბოლოსა, ძველ ანაგს და თათრებს გამარჯვებოდა და ბატონისშვილი დავით იქ მოეკლათ, და მრავალი საბატო კაც-სშვილი დაეხოცათ. მეფე როსტომ გრემს იდგა. მეექვსესე დღეს ეს ანბავიც მოვიდა და კახნიც მოუვიდნენ.

ბატონს თეიმურაზს მეფის გიორგის ქალი ედგა. ბატონს თეიმურაზს ღონე²⁵⁶ ყოვლგნით მოელთ: აღარსითმე მშველი და აღარც სახიზარი და ადგილი და აღარც წასასვლეელი გზა და არც დასაძრავათ ცხენ-ჯორი || აღარა ჰყვანდა რა. და უფროსიერთი კახი კაცნი ქართველს ბატონს მისვლოდენ და ბატონის თეიმურაზის დაჭირვასაც ჰპირდებოდენ. და მეფეს არ უნდოდა იმისი დაჭირვა და არც უმადლიდა იმის ორგულობასა. და მეფემ ბძანა: „მის დღეში ამრიგი მუხანათობა კახთ არ ექნათო, რომ ახლა ქნესო“.

1 სოფელი B, C. ხისის ხევი C. 4 გაუთავა C. 8 წავიდა და C. 9 სვეტს ცხოველს C. 12 ყოველს B. 15 საბატო (საპა...) B, C. 19 ხელმოღებული C. 22 გამარჯვებოდა C. 24 საბატო (საპა...) B.

ეს ანბევი ბატონს თეიმურაზს მოახსენეს და იმანც დედოფალსა, შვილისათვის მოუთმენელის ნაღვლით საესესა, მოახსენა: „მეფე ბიძაშვილია || თქვენით, მიდი, იახელო, შვილისასაც შეეხვეწე, არ მოგიკლასო და ჩვენი შენაცოდებიც ეგების გაპატოსო, და ამას უკანო, ვითაც ყმა, გვიმსახუროსო. და თუ ესები არ ქნასო, ამდენი ცხენი და ჯორი გვათხოვონო, რომე იმერეთამდისი მივიდეთო“.

B 8:

წამოვიდა დედოფალი და კათალიკოზი და ბატონისშვილი ლუარსაბ. და ვინც ეფისკოპოზები გზას იყენენ, მიეგებნენ. მეფემ ფარეშთუხუცესს უბძანა: „ჩვენს სიახლოეს || კარგს ალაგს კარვები დაუდგმევინეთ და გარეშემო თეჯირები მოუვლებინეთ. ვინც აქეთ ჯარი იდგეს, აჰყარეთ, რომ დედოფალი მობძანდებისო“.

A 13:

კარვები დადგეს, და დედოფალი მობძანდა და ცხენით-გა ჩამოხდა. და მეფემ ყადაღა ქნა: „ბატონისშვილის დავითის სიკვდილი არავინა თქვასო“. დედოფალი მეფის კარავში მობძანდა, და მარჯნივ პატრიარქი უდგა და მარცხნივ ბატონისშვილი ლუარსაბ. ნელად მოვიდნენ. მეფე კარავს || წინ მიეგება, და დედოფალი ტირილით მეფეს ფხვს მოეხვია: „ამას გეხვეწებითო თუ, ერთი წვეთი სისხლი გვაპატივეო. შენს სიძეს გზა დაანებეო“. მეფემ პატივი სცა და დაბლა არ დაუშვა. და ერთმანერთს მოეხვიენენ; შეექნა ორთავ ტირილი. ცოტას ხანს ერთგან იყვნენ, მერმე დედოფალი თავის კარავში მიბძანდა.

C 55

მეფემ ლორის ზანი, ისა-ხან იხმო და შეეკითხა: „დედოფალი სახვეწრათ მოსულაო და ამისი პასუხი როგორ სჯობიაო? ამისი პატივის დება || ჩემივ პატივის დება არისო, და ჩემი ბიძაშვილიაო, და საქართველოს ბატონებს, რომელსაც გასჭირებიაო, ან დედით შეხვეწიაო, ან დედოფლითაო. და ბატონს თეიმურაზს საქართველოს წესი და სახვეწარი გაუთავებია. აწ ჩვენ რას გამოგვიჩრევო და ან რა გვმართებსო?“ მერმე ამან მოახსენა: „ერანით ასი ათასი კაცი ნამეტნავი ამ კახეთში ამოწყვეტილან, და ჯემწიფენი მრავალს გარჯილან

A 15:

B 81

2 მოუთმენელის (გამოტოვებული) C. 5 უკან C. 6 არა B. 6, 7 გვათხოვენო B. C. 7 იმერეთამდის C. 9 გზას C. 10 ჩემს C. 13 მობძანდებისო C. 14 მობძანდა C. 14, 15 ცხენითვა C. 15 ყადაღა (ქადაგა?) B. 18 კარავის C. 20 გვაპატივეო C. 30 და სახვეწარი (გამოტოვებული) C. 31 გამოგვიჩრევო C. 33 ხემწიფენი C.

და ამრიგი გამარჯვება არვის უქნია. მაშ შენის სიმართლისათვის ღ[მერ]თმან ეს გამარჯვება მოგცაო. და აქ თვითან დაუმარცხდაო და ქვეით შვილი მოუკლესო. და დედოფალი შემოგხვეწიაო, ყარაია ნებით დაადებინეო და სხვას დაეხსენ, დავბრუნდეთო“. ამისი რჩევა მეფეს მოეწონა და კიდევ ისრე უნდოდა.

ამასობაში ვინც ბატონის თეიმურაზის წახდენაში ერივნეს, იმათ მეფეს მოახსენეს: „ამას წინათ რომე ბატონის თეიმურაზის შვილი არ მოგეკლათო, არ მოგასვენათო. აწ რომ შვილი მოუკვლევინეო, შენ რალას || მოგასვენებსო. და ეგების ამისი არგადება ყაენმაც გიწყინოსო. დედოფალი ამდენს პატივსა სჯერაო, რომე ცხენი და ჯორი ათხოვო და უზიანოთ ლიხთ-იმერითა გაგზავნო“. მეფის გულმოწყალება ამ სიტყვით მოშალეს. დედოფალი მოატყუეს, რომე მეფეს თქვენის შვილის არმოკლვასა და თქვენს უზიანოთ იმერეთს გარდასვლას შეეხვეწინითო.

მეორეს დღეს მეფე დედოფლის სანახ[ა]ვით წავიდა. დედოფალი შემოეხვეწა ბიძის თქვენის მეფის სვიმონისაგანაო და ბატონის ლევანისაგანაო ჩემი დათუნას მეტი არავინ დარჩომილაო, და ამასაც დიდი ხანია თქვენი გვერთს ხლება უნდოდაო და ვითაც მის მეტი არა გვეყენდაო, ჩვენ არ გამოუშვითო და ვაი დედას მ||ისსაო, ახლა თათართ დაურჩენიაო და ყაენთან გაუგზავნიათო; || იმაზედ მამეკმარეო, რომე იმას ეშველოს რამეო. და მეფემ იმედი დაუდვა, მოახსენ[ა]: „რომელიც ჩვენის ქელით გამოვაო, მოვეხმარებითო და ის ასეთი || კარი არისო, რომ სიკეთის მეტი არა და[ა]კლდება რაო. მაგრა თქვენ მებრალეებითო, რომ შეყრამდის ტირილით გაირჩებითო“. მოახსენა: „რაც შეგცოდეთო, მგონ მაგვარი ჩვენც გარდაგვხდაო და თუ იმდენს პატივს დამდებო, რომ ამ სიბერის დროს ჩვენს საფლავს არ მოგვაშორებო, ნაპირის ადგილი თქვენ იქონიეთო და ალავერდის გარეშემოთ დაგვარჩინეთო: ღ[მერ]თი დაგიმადლებსო და ქვეყანა მოგი-

3, 4 შემოგხვეწიაო C. ყარაიას სანადიროს ნებით მოგართმევსო P დაანებინეო B, დაანებინეო C. 4 დაეხსენ B, C. 10 შეუკვლევინეო C. 10, 11 ეგებინ C. 13 გული მოწყალება C, B. 14 მოშალეს B. მოატყუს C (მოტყუეს) B. 15 არ მოკვლასა C. 20 იმასაც B, C. 23 მამეხმარეო C. 23 რომელ C. 25 რომელს B, C. ხელით C. 29 ჩვენ B, C.

წონებსო“. მეფემ მოახსენა: „რომელსაც ბძანებთო, მე
თქვენთვის არა მშურსო, მაგრა თქვენი შვილის დაჭირვა და
თქვენი ამრიგი დამარცხება ყაენს მოხსენებია და არამც
5 ჰემწიფის ბძანება მოვიდესო თუ, ბატონი თეიმურაზ თა-
ვისის ცოლ-შვილით კარზედ გამოგზავნეთო, არ უფრო სამის-
დღეშიოდ მოითხრებითო“. დედოფალმა მოახსენა: „მაშ ამ-
დენი წყალობა მიყავო, რომ ამდენი ჯორი და ცხენი გვათ-
ხოვეთო, || რომ იმერეთს გარდავიდეთო“. მეფემ ულაცი ათ-
ხოვა, საჩუქვარი მიართვა, პ[ა]ტრიარქი ქრისტეფორე ურდუ-
10 ბეგაშვილი სამცხეთოს²⁵⁷ ლაშქრით თან გაატანა და ბრძანა,
„ვისცა უნდოდესო, კახნი თან გაჰყვენო“. ზოგნი ცოლ-შვი-
ლით თან გაჰყვენ და სხვა უფროსიერთი მეფესთან მოვი-
დნენ.

და ბატონმა თეიმურაზ ქართლი აიარა და იმერეთს მი-
15 ვიდა. კახნი დარბაისელნი ერთგულობაზედ შეიფიცა და კა-
ხეთი ნასისხლათ დაიჭირა. ყაენს ბატონისშვილის დავითის
და სხვა || კახ დარბაისელთ თავი და ბატონის თეიმურაზის
დროშა ბახუტა, ჰუსეინ-ბეგის შვილი[ს], ელისბარ-ბეგ დავი-
თის შვილის კელითა გაუგზავნა. და ყანდაპარს ასაღებათ მი-
20 ვიდოდა ყაენი. ესე[ე]ბი შაჰს-თამ[აზ]ს წინ დაახვედრეს.
სამი სოფელი განჯაში ელისბარ-ბეგს უბოძა და მურასა თა-
ჯი, თომარი, მურასა კმალი და ოქროთ || შეკაზმული ცხენი
როსტომ მეფეს და ქართველთ — ხალათები. კახეთიც როს-
ტომ მეფეს უბოძა ყაენმა.

იმერეთს მივიდა ბატონი თეიმურაზ. ალექსანდრე მე-
25 ფემ²⁵⁸ უწინ გენათელი და საბატოს კაცისშვილნი მიაგებეს.
ყველგან ნუზლი მზას დაახვედრეს, და ჩხარს მიიყვანეს ბა-
ტონი თეიმურაზ და ხორაშან დედოფალი. იქითგან დარეჯან
დედოფალი და მეფე ალექსანდრე მოვიდნენ, დარბაისელნი
30 და დარბაისლის ცოლები ყველანი იქ შეიყარნეს და ბატონი-
შვილი დავით იქ გაიმჟღავნეს, შეიქნა დიდი ტირილი და
გლუჯა.

1647 ქორონიკონსა, ტ^ლე (335) შაჰ-აბაზ-ყაენმა²⁵⁹ ყანდაპარი
ინდოეთის კემწიფეს წაართვა და მეპრაბ-ხანს უბოძა და თვი-

2 არ C. 4 ხემწიფის C. 8 მეფემ ხუთასის თუმნის ფეშქაში მობრთვა და
ხუთასი ცხენი და ჯორი ათხოვა P. 17 კახთ C, B. 19 ხელითა C. ყანდაპარს
C, B. 20 შაჰთამას C. 22 ხმალი C. 30 დარბაისელის B, C. 34 ხემწიფეს C.

თან მაშათს მობძანდა. მეორეს ზაფხულ ინდოეთის კემწიფის
შვილი დიდის ლაშქრით შემოადგა და მრავალი ომი იქნა. და
მეჰრაბ-ხან ციხეში მამკვდარიყო, მაგრამ მაშინც ციხე ვერ
აიღეს, ცუდათ დაბრუნდეს. მეორეს წელიწადს ყანდაპარი
|| ოთარ-ხანს მისცეს.

.41

5

და ინდოეთის კემწიფის შვილი დარაშუქუ ყანდაპარს
შემოადგა და თავისი სარდარი როსტომ-ხან დექენი ყალა-ი
ბისტზედ გამოგზავნა. და შაჰ-აბაზ-ყაენმან სარდრობა მურთუ-
ზა ყული-ხანს მისცა და ერანის ლაშქარი თან გაატანა და გაუ-
ძახა. ვითა||ც ლაშქრის სიმრავლე ყანდაპარზედ დარჩომილ
იყო და აქ ლაშქარი ცოტა ეგონა, სხვა ლაშქარი აღარ მოი-
ც[ა]და, მიუხდა. გამარჯვება ინდოელთ დარჩა, მაგრამ ციხე
კი ვერ აიღეს, ცუდათ გაბრუნდნენ, აიშალნენ. მათაც შიგნით
თემი და მამა-შვილები აეშალნეს. ავრენგიზ ერქვა. იმას მამა
კემწიფეთ ჰყვანდა. დაიჭირა და დაატყვევა და ძმები დაჯოცა
და თვითან განემწიფდა და თემი აერია და საყანდაპროთ ვე-
ლარ მოიცალა.

.84

10

ბატონისშვილს ქორწილი უყვეს და გილანით ენდრონი-
კაშვილის ადამ-სულთნის ქალი თამარი მოჰვეარეს. მეორეს
წელს გაზაფხულისას მეფემ დედოფლიანათ კახეთის დავლა
|| მოინდომა. წიგნი მისწერეს ქართლის თავადთა. წავიდნენ,
და ლილოს მიბძანდა. და ჯერ იქ თოვლი იდვა, ცივი ქარიც
ქროდა. აქით სიმაგრეზედ მიბძანდა, სამგორი ინადირა და
სათისჰალაში დადგა. იქით აიყარა და საგარეჯო და საჩერქეზო
ჩაისეირნა და იქით ბეჟანბალი ინადირა, მალაროს მივიდა და
იქიდანვე ვარცლა და შირაქები ინადირა.

1142

20

და ბაშინჯალ ზევით ალაზნის პირს ჩამოხდა. სამს დღეს
იქ დადგა, მეოთხე დღეს ყარაღაჯის მინდორი ინადირა და
მრავალი ნადირი მოკვდა. და ორს დღეს იქ დადგა, მესამეს
დღეს წინა მინდორი ინადირა და იქიცი ბევრი მოკლეს და

25

30

1 მეორეთ B, C. ხელმწიფის C. 4 აიღეს A. 5 მისცაეს (მისცეს) C, B
6 ხემწიფის C. დარაბუქუ C. 7 სარდარი (გამორთოვებულა) C. როსტომ ხან,
დექენის ბატონი ინდოეთის ლაშქრის სარდარი P. 8 ბისტზედ C. 9,10 დაუძახა C.
13 გაბრუნდენ C. 14 ევრენგიზი P. 15 ხელმწიფეთ C. დახოცა C. 25 მაგაროს
B, C. 26 იქით შირაქებში ჩავიდნენ და ორივე შირაქები ინადირეს ქისიეს
მივიდნენ მალაროში დადგნენ... ვარცლები და აღრიტლები ინადირეს P.
28 მეოთხეს დღეს ყარაღაჯის მინდორი ინადირა და მრავალი ნადირი მოკვდა და
ორს დღეს იქ დადგა (გამორთოვებულა) B, C.

5 ორთავ სანადიროში ათას ხუთასის ნადირისა ზოგი ტანი თავი
ზედ-ბმული მოართვეს. იქით აბელის ფონზედ მივიდა და იქ
ჩალული სახლები დაედგმევიანა, იმაში დადგნეს. და იქით
ლორი და კოკობი მრავალი ინადირეს. იქილამე აიყარა, გალ-
მა მკარი შეიარა და გრემს მი||ბძანდა²⁶⁰ და იქითგან ალონს B
|| მიბძანდა, საყდრიონიც ნახა და აიყარა. ალავერდს მი||ბძან- A
და, ალავერდის საყდარი ბატონის თეიმურაზის დროში დაქ- C≡
ცეულიყო და ახლა მეფე აშენებინებდა. და იქილამ აიყარა
და შეაქმთას მობძანდა და იქითგან ჩამოიარეს და ქალაქს
10 მობძანდა.

15 | იმერელი ბატონისშვილის მამუკას ნიშანი მოვიდა: ლე-
ვან დადიანს ტყვედ ჰყოლოდა, თვალები დაეწვა და იმაზე
მამკვდარიყო. მეფემ ალექსანდრემ დაჰპატიჟა და წაიყვანა
ურდუბეგაშვილი პ[ა]ტრიარქი ქრისტეფორე მუხრანის[ს] ბა-
ტონისშვილი, მთავარეფისკოპოზი დომენტი თავთაქის-შვილი,
მროველი იესე და ზოგიერთნი კიდე ეფისკოპოზნი. ესე
აწირვინეს, ნიშანი და საწირავი მრავალი აჩუქეს და გამოის-
ტუმრეს. აგრევე ბატონმა თეიმურაზ და ხორაშან დედოფალ-
მან ესე აწირვინეს, მრავალი აჩუქეს და გამოისტუმრეს.

20 მეფემ როსტომ დებედაზედ || გატეხილი ხიდი ააშენა A
ქვიტიკირის კამრით, კარგი. და მგზავრთ სადგურათ ქარვანსრა
და საკმლის საშოვნელათ სოფელი აეგოთ, რომ მგზავრი არ
გაისარჯოს. იმაების გასასინჯავათ მიბძანდა იქ. ვაჟმა კაცებმან
25 ბატონისშვილს ლუარსაბს: „მეფე ხუთს-ექვსს დღეს აქეთ არ
აიყრებაო, კადგია გალმა გავიდეთ და ქალა ენადიროთო“.
ყმაწვილი კაცი იყო. იმასაც იამა და მეფესაც დასტური სთხო-
ვეს და გალმა გავიდენ, ქალას ნადირობა დაიწყევს. ლორნი
ვაჩნდნენ კარებზედ, თოფის და ისრის სროლა შეიქნა აღ-
გილ-უადგილოსა. და ბატონისშვილს ლუარსაბს ძუძუსთან
30 თოფი ჰკრეს და ზურგში გააგდებინეს. შეიქნა ტირილი და
კივილი, || და ნადირობა მოიშალა.

და მეფეს ჩაფარი გაუგზავნეს და ეს ანბავი აცნობეს. B

2 აბელის მონზედ მივიდნეს მიფისათვის ჩალური სახლები დაედგათ P.
3 სახლები (გამოტ.) C. B. დაადგინეს C. 4 ხოხობი C. 7,8 დაიქცა, ეულ იყო P.
9 ქარაქს A. ქარაქს (ქალაქს) B. 11 მოუვიდა C. 18 აგრეთვე C. 20 გატეხილს
ზეთ P. 24 ზურსაბს C. 31 კივილი (ყვილი?) C, B. 32 ამბავი C.

A 145

მეფემ ფიცხლავ ელისბარ ბოქაულთუხუცესი, ამავე ბატონის-
 შვილის დედის ძმა, ჩაფრათ გაისტუმრა და ჯარი თან გაატანა
 და თვითანც ცხენს შეჯდა და || წაბძანდა, ცოცხალს მიუსწ-
 რა. და მეფეც ცხენით გარდმოჲდა, შევიდა კარავეშია. ბატო-
 ნისშვილმა რა მეფე ნახა, წამო[ი]ზიდა თუ, ფეხს წამოუდ- 5
 გეს. ღონე აღარ შერჩომოდა, ველარ წამოატანა. მეფემ ქუდი
 გარდა[ა]გდო და თავსცემით, მტირალი გვერდს მოუჯდა და
 გამოჰკითხა თუ, „როგორ მოხდა, ან მკვლელი იცან თუ არაო?“
 ბატონისშვილმან მოახსენა: „თუ მოვრჩიო, ჩემს მკვლელს მე
 უიპოვნო და თუ არ მოვრჩიო, თქვენი თავი კარგათ იყო- 10
 სო, რომელიც გეპრიანებოდეს, თქვენ ისი ქენითო“.

IC 59

იმ მეორეს || ღამესაც შუალამემდის ცოცხალ იყო და მას
 უკან მიიცივალა. შეიქნა ყოველს კარავეში თავსცემა და ტირი-
 ლი. ვისაც უხაროდა, ის უფრო ტიროდა არშეტყო[ბ]ისთეი. 15
 დილა გათენდა. თათართ თავიანთ წესით დროშები გაშალეს,
 მოლათ მუსახვის კითხვით კმანი აღამალღეს. ავლაბრის გზით
 მისხვენეს. მერმე დედოფალმან იტირა, ზოგმეერთმა
 ქართველთაცა, და მერმე მკვდარი არდაველს გაისტუმრეს. ||
 სრულ ქალაქის ჯარი, დროშა-ალამით წინ მიეგებნენ და კარ- 20
 გის პატივით მიწას მიაბარეს.

A 146

და მეფემ ეს ანბავი ყაენს მისწერა. ვითაც ყანდაპარზედ
 ლაშქრობა იყო, აღარას გამოეკიდნეს ამის მეტსა, რომ ბა-
 რათაშვილს შიოშს ათქმევიანეს გზის დასაკარგავათ თუ, სით-
 კენაც თუმან[ი]ს-შვილი ბაინდური იყო, ბატონისშვილს თო-
 ფი იქითა ჰკრეს. ეს სამეფოთ გახადეს და ბაინდურ: „აშო- 25
 რო“, — თქვა. ქართველნი და ბატონი დედოფალი შიოშს
 მიუდგნენ და თათარნი და სომეხნი ბაინდურს მიუდგნენ და
 მოახსენეს: „ამრიგი სამართალი უკლმოთ არ იქნებო“, დაა-
 სკენეს, რომ ორთავე მოძღვარი დაიპირონ და ილოცონო, პაე-
 მანი დადვან და პაემანზედ ომს მოვიდნენ. უაეები ქნეს და 30
 ომს მოვიდნეს.

B 87

მეფის სასახლის პირდაპირ მტკეარს გაღმა საომარი გაა-
 ჩინეს, რომე ყველგნით ჯარი უმზერდეს. ბაინდურ და შიოშ

1 ელისბარ C. 2 ჯარა A, ჯარა (ჯარი) B, C. 3 თვითონაც C. 4 გარდმოხ-
 და C. 5 წამოიზიდა B, C. 7 გარდადო C. 11 რომელის C, B. 16 მოლაშ C. ხმა-
 ნი C. 19 ჯარი (გამოტოვებულა) C, B. 22 გაქვიდნეს C. 23 სიოშს P, 26 სი-
 ოშს P. 28 უხმლოთ C. 33 ყუელგნით C, B. სიოშ P.

ორნივე შეიკაზმნენ ჯაჭვითა და იარაღითა და შუბი და ფარი
 აიღეს || და ცხენს შესხდეს და გაღმა გავიდნეს. მეფემ ექვსი
 იასაული ომის ადგილს უჩინა და ბძანა: „ციხის კარები და-
 უგდეს, რომე კაცი არ წავიდეს, არ მოვიდესო“. მაგრა ორნივე
 მოშორებებით იდგნენ. გამოლმდიამ დაუძახეს: „კარგი დრო არი-
 სო“. უწინ შიომ მოუხდა ცხენჭენებითა და შუბი შემომატე-
 რია, ჯაჭვიც გაუტეხა და გვერდში გაავლო. და შუბის ნატეხი
 შიგ შერჩა. და აწ ბაინდურ აძგერა შუბი და ბარკალს შეამ-
 ტვრია და შიომ მოუხდა და ბაინდურს ლახტი სცა და გას-
 ცილდა. ბაინდურ მიეწია და შიომ თავს ლახტი დაჰკრა და ვი-
 ია: აც თავისავე სისხლით კელი გასვრილი აქონდა, კელით ლახ-
 ტი წაუვიდა. და ბაინდურის ცხენმან თავგაზიდულობა ქნა
 და შიომს წასცილდა. შიომ ლახტის ცემით უკან მისდევდა.
 ბაინდურ წაიკრა კმალს კელი და კელუჯულმა მოუქნია და
 საცხვირესა || ჰკრა და შიომ ცხენით გარდმოვარდა. თათართა
 და სომეხთაგან — ალაჰ, ალაჰის კმა ამ||აღლდა. || ბაინდურ
 მიუხდა შიომს მოსაკლავად, იასაულთ არ და[ა]ნებეს. შიომ
 შის ცხენი მოკლა. და ბატონმა ბძანა, შიომ ქალაქის ციხეში
 ტყვეთ მიაბარეს და ბაინდურ ამ დაკოდილობით ცხენით სად-
 გომს მივიდა. და დიდის სარჯლით შუბის ნატეხი ამოართვეს
 და ორს წელიწადს დაკოდილი არ გაუმთელდა. და შიომ
 ქართველთ იპატივეს და ბატონისშვილმა ცუდათ ჩაიარა.
 ბატონისშვილ[ი]ს ჯალაბი მეფის დისწულის ადამ-სულ-
 თნის ქალი იყო. მეფემ ბძანა: „ბატონისშვილს ლუარსაბისა
 კარგი ძმა არის ვახტანგ და იმას ზვილათ მოვაყვანინებო და
 თავის ძმის ცოლს მივსცემო და ისრევე იქნებაო“. ეს ბატონის
 ბძანება ზოგთ, დიად, იწყინეს და ვერა თქვეს რა. თურმან
 ყაენთან გაგზავნა და ბატონისშვილი ვახტანგ შვილად სთხოვა.
 ყაენი || მაზანდარანს ბძანდებოდა და ბატონისშვილი ვახტანგ
 ყაზმინს მოურავათ იყო. და თურმან აშრაფს მივიდა და მე-

A 16

A 14
B 83
C 60

4 მაგრამ C. 6 სიომ P. 7 ჯაჭვიც A, (ჯაჭვიც) B. 9 სიომ P. 10 სიომ
 წაეწია P. სიომ P. 14 ხელი C. ხელ C. 15 სიომ P. 16 ხმა C. 17 სიომის P.
 არ დაანებეს C. 23 დის წული C. 24 შვილს (გამოტ.) C. 25 როსტომ მირზაო (ვახ-
 ტანგის ნაცულად) A, B, C. ბატონისშვილს ლუარსაბსაო ძმა ჰყავს ვახტანგ
 საკელათ ურქვიანო, იმას ჩემად შვილად მოვაყვანინებო P; 27 ყაენთან თურმან
 B, C. 28 ბატონი შვილი C.

- A 149 ფის არზები ყაენს მიართვა. ყაენმა ბატონისშვილს რაყამი მოსწერა: „როსტომ მეფეს შვილად უთხოვნიხარო. თურმან გიახლებისო, შენი საქმე კარგათ მოივარგეო და მოდი აქ, ფეხს გვაკოცეო და აქიღამე წადიო“.
- რა ეს ანბავი ბატონისშვილს მოუვიდა, დედამისმან თქვა: 5
 „ერთი შვილი წამგვარეს და მამიკლესო. ახლა მე შენის მეტი აღარა გამაჩნიაო. მე შენ არ გაგიშვებ, რომ წახვიდეო. ან როსტომ მეფის სიციცხლეში ყაენმან საქართველოს ნაპირში ერთი საბატონო გიბოძოსო, რომ მისის კელის მზერავი არ იყო და ან როსტომ მეფეს უკან გაგისტუმროსო“.
- ბატონისშვილმა თავიაი დედა ყაენთან გაისტუმრა და თურმანს დასტური უბოძა: „ქართლში წადიო და როს წამოსასვლელი || შევიქნებიო; ჩათარს გამოგვზავნიო და წინ მამეგებეო“. || და არც პატივი დასდვა და არცარა აჩუქა. და გაჯავრებული თურმან მეფესთან მოვიდა და მრავალი საწყენი და გულის გასაჯავრები სიტყვები მოახსენა, ასე რომე, 15
 „თქვენ შვილად მოგყავსო და ის თავისის ძმის სიკედილს თქვენა გწამობსო და მესისხლეთა სჩანხარო“. გაჯავრდა მეფე და ასე ბძანა: „რათ მინდა შვილიო, თუ ღმერთს ნდომებოდა, მამკემდაო. რა ცოცხალი ვარ, მე ვიბატონებო და ჩემს უკან 20
 ვისცა უნდა, მისცენო“. და ბატონისშვილის დედისათვისაც ყაენს ასრე ებძანებინა: „შენს შვილს თუ წაავლა არ უნდა, ნულარ წავაო“.
- C 61 ყაენი ყაზმინს მივიდა, იქიღამ || ისპაჰანს მიბძანდა. მა- 25
 შინც კიდევ ითხოვა ბატონისშვილი ვახტანგ როსტომ მეფემ; 1655 მუხრანის ბატონი ბახუტა-ბეგ²⁶¹ ქორონიკონსა ტ²მგ (343) გაგზავნა, „ბატონისშვილს ვახტანგს წამოუძელო, მოიყვანეო“. მუხრანის ბატონი ჩაბძანდა ისპაჰანს; ყაენი კარგა დახვდა. ბატონისშვილი ვახტანგ ავად გამხდარიყო და მიცვალებულიყო. ეს ანბავი მეფეს მიუვიდა, ზოსია ბარათას-შვილი ჩაფრათ 30
 გაგზავნა და მუხრანის ბატონი ითხოვა. და ჭანიშინობის რაყამიც ებოძათ და მრავლის წყალობით ქართლს მობძანდა.
- A 151

3 საქმე კარგად გაირიგეთო P. 3, 4 მოდი და ფეხს B, C. 6 შვილ C. მე- შინის C. 7 აღარ C. 9 ხელის C. 12 წამოსვლელი B, C. 18 და გაჯავრდა C. 26 ბატონის A. 31, 32 რაყამი B, C.

მეფემ დიდი პატივი სცა. და ჯანიშინობდა. ზოგი სავანტანგო უბოძა. ზაალ ერისთვის შეიღს ზურაბს ქალი მისცა, ნოდარს თავისის შეიღს არჩილისათვის სთხოვა. დედოფალმან საფიცარი უბოძა და კარისკაცთ მეფის მალვით პატრონყმობაზედ შეეფიცათ ამისთვის, რომ მეფის როსტომისაგან უიმედონი იყვნენ: თავათ დიდის ხნისა და მერმე უშვილო და უნათესავო. მისთვის ყველანი მუხრანის ბატონს უღგნენ.

1656 ქორონიკონსა ტ^მდ (344)²⁶² გუმბათი დაიქცა სვეტის ცხოვლისა || და მეფემ როსტომ აღაშენა. B 99
A 15:

10 1657 ქორონიკონსა ტ^მე (345) მიიცივალა დადიანი ლევან. ამა-სობაში სეხნია თურქისტანიშვილი ჩაფრათ გაგზავნა, რომე ლევან დადიანი მოკვდაო, და მისი სალარო მეფემ აღუქსანდრემ დაიჭირაო, და ერთი შორ ნათესავი მის ადგილზედ გააბატონაო, და მისი ძმისწულები ჩვენთან არიანო, და ოდი-შართაც ესენი უნდაო, და ჩვენ შეძლება აღარა გვაქვსო. ერთი რაყაში მუხრანის ბატონს უბოძეთო, რომ ჩემს უკან ბატონობა მისი იყოსო, რომე ჯარს მისგან ეშინოდესო. მინდა დადიანის შეიღები გაეაბატონო თავის სამკვიდროზედაო“.

20 ამაზედ ჰადრბ[ე]უანის ვეზირს ჩაფარი გაეგზავნა. ტყვილი შეეთვალა: „როსტომ მეფე გორს მიცვლილაო და აღრბეუანის ელი დაფთხაო“. სხვაგნიდამ ეს ანბავი აღარ მისვლოდა, მაჰმუდ ჯილავდარი ქართლით ჩაფრად გამოეგზავნათ, რომ მეფის როსტომის ანბავი შეიტყოს და მოგვიტანოსო. ჯილავდარი ერთს თვეზე მოვიდა || და წავიდა. ეს ანბავი მოიტანა: A 15:
25 „არ მამკვდარაო, მაგრამ მწვეთ ავათ ყოფილაო და ახლაც ავათ არისო“. ერისთავს ჩაფარი გაეგზავნა. და არზა მიეწერა: „როსტომ მეფე, დიად, შეძნელდაო და ეგ არზები მეფის შეუტყობარი არისო“.

30 ყაენს ჩაფა||რი გამოეგზავნა და თურქისტანის-შვილი თან გამოეტანებინა. მუხრანის ბატონისა და ერისთავისათვის ხალათი გამოეგზავნა და ჩაფრისათვის დაებარებინა: „ერისთავს რაც მოუწერია, მართალია და ტყვილიო. აქამდისი მუხრანის ბატონისათვის კარგი იყოო და ახლა გაავებიარო, და C 62

11 თურქესტანიშვილი C. 13 შორ ადგილი C. B. 15 გვაქსო C. 19 ჰადრბეუანის C. B. 20 შეიცივლილაო B, C. 21 სხვაგნიდამ C. ანბავი C. 22 ჯილავდარი C. 25 არ მომკვდარაო C, მაგრამ B. 26 გაეგზავნა C. 30 ერისთავისთვის C. 32 აქამდის C.

ესეც შეიტყევე, თუ რის გზით არისო, და გუამაზარიც გააკეთონო, როლისტომ მეფეს უკან ბატონათ ვინ უნდათო“.

B 91

ხალათები მოიტანეს. მეფე როსტომ სიბერით უძლურად იყო და ლოგინში იწვა, და ლოგინში ჩაიკვა ხალათი. და როსტომ მეფესა დადიანი ლიპარიტ და მისი ძმა გაეგზავნა გასადა-
დიანებლად და ქართლის ლაშქარი ეთხოვებინა. და || კიდევ მუხრანის ბატონი და ერისთავი სომანეთს დაეყენებინათ. და ყაენის ხალათები მუხრანის ბატონს და ერისთავს სომანეთს მიუტანეს და იქ ჩაიკვეს.

5

A 154

ლიპარიტს დადიანს ქართლის ლაშქარი ახლდა და ქაი-
ხოსროვ გურიელი, ფაქრად-ფაშა და ურუმის ლაშქარი და-
დიანს მოეხმარნენ და ლაშქრათ მოჰყვენენ. ქორონიკონსა ტ^რმე
1658 (346)²⁶³ ბანძიას შე[ე]ბნენ იმერელ მეფეს ალექსანდრეს. მე-
ფე ალექსანდრეს გამარჯვა და უფროსიერთი ქართველნი და
მესხნი დაინარჩუნეს და დადიანი ლიპარიტ და მისი ძმა მოკ-
ლეს. გურიელი ლტოლვილი წავიდა.

10

15

ეს ანბავი სომანეთს მიუვიდათ მუხრანის ბატონს ბახუ-
ტა-ბეგს და ერისთავს ზაალს. მარიამ დედოფალი გორს ბძან-
დებოდა. ამ ამბავზე ზაალ ერისთავი დაბრუნდა და ქსნის
ერისთავი და კახნი სრულ თან გაიტანა და ქალაქს ჩავიდა,
30 პავლუბარში ჩამოხდა. და მუხრანის ბატონი ქალაქში მოვიდა.
და მეფე ავად იყო. ერისთავმან || ჯამალ-ხან მეფეს მოუგ-
ზაენა: „რა ცოცხალი ხარო, შენი ყმა ვარო, და შენს უკან მე
ყაენის მეტი ბატონი არ მინდაო“. მეფემ უპასუხა: „ჯერ ავად
ვარო, ჩემი საქმე მოიცადეო. თუ კარგათ შევიქნებიო, მე გა-
ვარიგებ მაგისასაო და თუ არა და, შენ იციო. კახნი შენ გაზ-
ღვანო და შენთვის იყავო“.

20

25

და მუხრანის ბატონი თვითან იახლა მეფესა, ავადმყოფს.
მწოლსა, და || მეფის ალექსანდრეს გამარჯვება დადიანის
შვილებზე ზაალ ერისთავს დააბრალა. ასრე მოახსენა: „თუ
ჩვენი ლაშქრით იმერეთში ჩავსულ ვიყვენითო, მეფე ჩვენ-
ზედ წამოვიდოდაო და ისინი ოდიშსშიგ გამაგრდებოდნო.
რამდენჯერ გარდასვლა მოვინდომეო, ერისთავმა არ მიყოო.
და ჩვენის ლაშქრის დამარცხების || ანბავი მოვიდაო, აიყარა

A 158

B 92

C 63

30

1 მუჰარმაზარი დაწერილი P. 6 ეთხოვებინა C. 10 ლიპარის (ლიპარიტს) B. 10, 11 ქაიხოსროვ (ქაიხ...) B. 17 ამბავი C. 20 გაატანა C. 21 პავლუბარში P. 30 ზაალ (გამოტოვებულა) C.

და კახნი და ქსნის ერისთავი თან წამოასხაო და ახლა მოსულაო ჰავლაბარში ჩამამხდარა“. იმასაც მეფემ ასრე || მოახსენა: „ჯერ ხედავ ჩემს ყოფასაო. თუ მოვიჯობინე, ორთავესას გაგირიგებო, თუ ვერ მოვრჩიო, რომელიც გინდათ იპი ჰქენითო“.

A 156

5 რა ბატონმან ესე[ე]ბი ბძანა, მუხრანის ბატონმან ვახტანგ მეფის მუსტაფი და თუმანიშვილის ბაინდურთან და ერისთავთან მიუგზავნა ასე, რომე: „თავდაპირველ შენ მოინდომე ჩემი ბატონობაო. ახლა რა შეგცოდნო, რომ გაავგულელებულხარ? შენის შვილისათვის ქალი მიმიცია და სხვაც რაც გინდა, მოგართმევო“. ბატონის ვახტანგის სიტყვები ერისთავს უანბეს. იმან ასრე თქვა, რომ „მაგისი ბატონობა გამოვარჩიეთო და ჩემს ზურაბს ქალი მოსცაო და ნოდარის ქალი თავის არჩილს უთხოვაო. ჩვენს შუა დამხდომიო დასტურ ნოდარ

10 ლარ ცოცხალაო. მაგრამ თურმან და თბილელი ცოცხალნი არიანო. ქართლის ბატონობა მაგისთვის გვითქვამო და კახეთისა — ჩემთვისა. თორედა ბევრჯელ მაგასთან დამიფიცავსო, || რომ როსტომ მეფეს უკან ქართველს ბატონს აღარა ვეყმობიო“.

A 157

20 ეს ანბავი ბატონს ვახტანგს მოუ||ტანეს, და კიდევ სხვა ზოციქულები გაუგზავნა და იმათაც ისივ ანბავი მოუტანეს. ერისთავმან²⁶⁴ ჩაფარი გაუგზავნა ქართველთ. რახანც ჭანიშინობა ჰქონდა და ყაენის რაყამიც კელთ ეჭირა, მუხრანის ბატონს ბახუტა-ბეგს ბატონისშვილი დაუძახეს, სახელი გამოუცვალეს, ვახტანგ დაუწყეს ძახილი. გუამაზარი დაბეჭდეს ვახტანგ ბატონისშვილის გასაბატონებლად, მისცეს ჩაფარსა. მეფემაც არზა მისწერა: „დაეუძღურდიო. თუ მოვიჯობინეო, აქაურს ანბავს ჩაფრის კელით გაახლებო“. და გერმანოზის-

B 93

30 ჯამალ-ხან უწინვე ქალაქის ციხეში იყო. ჩაფარი რომ ყაენს გამოეგზავნა, ჩავიდა და გერმანოზის-შვილი ჰაატა თან ჩაპყვა და აქაური ანბავიცა და მეფისაც მოეხსენებინა: „ავად || ყოფნას ძალი უქნია, მისი მორჩენა ძნელია“. ბძანება ქნა.

A 158

2 ჩამამხდარო B, ჩამამხდარაო C. 8 ასრე C. 9 როგ C. გაავგულელებულ-ხარო C, B. 13 მისცაო C. 14 ჩვენ C. 18 ბატონს (2 ჯერ) A, B. სხვას ქართ-ლის მეფეს ყმობა არ უყო P. 21 ამბავი C. 23 რაყამი B, რაყამი ხელთ C. 25 გაუმაზარი C. 28 ხელთ C.

ჩაფარი წავიდა. „ალაპვერდი-ხან ყარაბაღში მოვიდესო და სეფი-ყული-სულთან ქართლს მივიდესო. ზა[ა]ლ ერისთავს წამოუძღვეს, მოიყვანოსო“. და მუხრანის ბატონის მეფობისა ებძანა: „ვენახოთო, როსტომ მეფის საქმე როგორ იქნებისო?“

1659

C 64

ქორონიკონსა ტ^მზ (347) მეფე როსტომ მიიცივალა ტფილისს ქალაქსა. || ტირილი აღარც დედოფალს დასცალდა, აღარც ქართველთა. საშვებად ერთი-ორი დღე იტირეს. როსტომ მეფე თათრებმა ციხეში შეიტანეს, იქილამ ყუმს გაგზავნეს დასამარხავათ. ჭამალ-ხან უწინვე აქ მოსულიყო და დედოფალს ყაენის რაყამი შემოუგზავნა: „ქემწიფის ბძანება არისო“. ციხეში შეიყვანა და ყაენთან უნდოდათ წაეყვანათ. დედოფალმან თეთრი თმა გაგზავნა ყაენს, შეუთვალა: „მე ციხეში თქვენი ბძანება გავათავეო, შემოველო ჩემის მხლებლებითაო. || ერთი ბერი დედაკაცი ვარო, ჩემს ქმარსაო და ძმასაო მაგათ ოჯახზე ბევრი უმსახურებიაო. აქედამ ნუ დამძრავსო“. თმაცა და წიგნიც ციციშვილს პაპუნა სარდალს მისცეს, ჩაფრად გაისტუმრეს.

პაპუნა სარდალი ადრე ჩასულიყო. ყაენს სწყენოდა როსტომ მეფის სიკვდილი, დედოფლისა, დიად, ბევრი დედაკაცობა უანბო და თმა თეთრი უჩვენა. როსტომ მეფემ თავისი საბატონო ცოცხალმაც იმას მისცაო და ანდერძ[ი]თაც მუხრანის ბატონს უანდერძაო. მეფობაცა და დედოფალიც მუხრანის ბატონს ვახტანგს მისცა. და ქართლი და ან როსტომ მეფის საქონელი იყო და ან რაც ერანში როსტომ მეფეს ჰქონდა, ყველას წყალობა უყო, სახელად შაჰნავას-ხან დაარქვა.

მალე გამოისტუმრეს პაპუნა. სა[ა]ხალწლოდ მოვიდა სოლანლუხს. მეფე ჩავიდა და ყაენის ხალათი ჩაიცვა, რაყამი თავზე დაირჭვა, ისე || შემოვიდა ქალაქში. მეფე გაათათრეს. ორმოც დღეს იქით ქორწილი უყვეს შაჰნავაზ მეფესა და მარიამ დედოფალსა. შეიქნა სიხარული, მეფობა და დედოფლობა მიულოცეს.

ზაალ²⁶⁵ ერისთავი ყაენთან ჩასულიყო და დიდი პატივი დასდვა, ისპაჰანს ხილზე ჩირაღვანი აჩვენა და საზამთრო[დ]

1 მევიდესო C. 6 დედოფალს აღარც C, B. 8 ყუმს C. 9 მოსრულიყო C. B. 10 ხემწიფის C. 20 მეფე B. 27 საახალწლოდ C. 28 რაყამი (აღდგენილი) P. 29 დაიჭირვა C. 30 აქთ C. შაჰნავას C. 34 ჩირაღვანები P, ჩირაღვანი C. აჩვენა (გამოტოვებულა) C. საზამთროთ C, B.

მაზნდარას მიიყვანა და შეაქცია და ანადირა. და იმასა და ან ვინც ახლდა, ყველას მრავალი უბოძა, ჯამაგირებო გაუჩინა. ხუთასი თუმანი ზაალ ერისთავს ჯამაგირი გაუჩინა, კახეთის ნაპირის ქვეყანა მისცა. და განჯის ხანი რომ კახეთში ბატონობდა, იმას თაბუნათ მისცა და აშრაფით გაისტუმრა, ეს[ე]ები ერისთვისათვი შეშურდათ, თავისვე მოყვრები შეუდგნენ: „კა[ხ]ეთი შენს დროში თათრით აივსო. ასეთი რამ მოვახდინოთო, რომ საქრისტიანო არ მოითხაროსო“. ერისთავი ოვერ ჩამოიყოლიეს. მისი შვილი ზურაბ სიყმარწვილით დაატყუეს. და თუშნი შეყრილნი ალი-ყული-ხანი ქანგარლუს მოუხდუნეს და ის ბახ[ს]ტრიანის ციხეში გამაგრდა და რაც თათარი კახეთში დაესახლებინა, უფროსი დაჯოცეს და ტყვეთ წაასხეს.

ეს ანბავი ყაენს მოახსენეს და ყველამ ზაალ ერისთავს დააბრალებს. ყაენმან დასტური უბოძა: „ეცადე ერისთვის დაჰკირვასაო“. დაჰკირვა ძნელი იყო და ძმისწულები მოლაღატედ შეუყენეს ზაალ ერისთავს: მარტო მჯდომს, უიარალოს, სამთ წაუშინეს და მოკლეს²⁶⁶. და მისი შვილი ზურაბ და სიძე შალვა და ჩხეიძე გიორგი თიანეთს იყვნენ და ველარ მოეშველეს, მტკვარს გავიდენ და თრიალეთის გზით ახალციხეს მიდიოდეს. გზაზედ თათარი შემოეყარა, იცნა და ცხენჭენებით ცხირეთს მფეფს შეატყობინეს. ჯარი გაუძახეს, გიორგი ჩხეიძე მოკლეს და ზურაბ და მის[ი] ძმა ყაენს ო გაუგზავნეს. ზურაბ ყაენმა ჰირმანს გაგზავნა და იქ მამკვდარიყო. უმცროსი ძმა შიგნით ყულებში შეინახა. და ერისთავობა ოთარს უბოძეს და კახეთი განჯის ხანს ჰქონდა. ელისბარ ერისთავი და შალვა ერისთვის შვილი და ბიძინა სუფრაჯი განჯის ხანმან ყაენთან გაგზავნა. და ყაენი კარგს პატივს სდებდა. და დაუწყეს ბეზლობა, რომ კახეთში თათარი ამოსწყვიტესო, ამათი ქნილობა იყო: მისცეს თათართა კელთა. გაგზავნეს ჰადრბიჯანს, დაახოცინეს.

1657 ქორონიკონსა ტ²მე (345)²⁶⁷ დაჯდა ქართლს პატრიარქათ მუხრანის ბატონის ო ქაიხოსროს შვილი დომენტი. ამავე წე-

2 ვინ B, C. 6 ერისთავისათვი C. თავისივე C. 7 რამე C, B. 9 საყმარწვილით B, C. 10 ალიყული ხან ქანგარლუ თვითან ციხეში გამაგრდა P. ქანგარლუს C. 12 დახოცეს C. 14 ანბავი C. 15 ყაენმა C. 15, 16 დაჰკირვასაო C. 21 ცხირეთს C. 23 გაუგზავნეს C. ყაენმან C, B. 24 მამკვდარიყო C. უმცროსის C. 25 ერისთავობა C. 30 ხელთა C. ჰადრბიჯანს B.

A 163

ლიწადსა მეფე ალექსანდრე იმერეთს მიიცვალა. იტირეს და
 დამარხეს გელათს, და დარეჯან დედოფალი დაქვრივდა. და
 მეფეს ალექსანდრეს უწინდელ ცოლთან გურიელის ქალთან
 შვილი ჰყვანდა, ბაგრატ. და ბატონის თეიმურაზის შვილის-
 შვილნი — || პაპას ბიჭი, რომ ლუარსაბ ერქვა, და გიორგი — 5
 დახოცოდა, ერეკლე რუსეთს გაეგზავნა. და ერთი ქალი მა-
 მიდასთან იყო, ქეთევან, და ბაგრატ შერთეს და მეფეთ აკურ-
 თნეს. ცოტა²⁶⁸ ხანს უკან დარეჯან დედოფალმა თავისი გერი
 ბაგრატ²⁶⁹ შესართავათ მოინდომა. ბაგრატ არა ქნა. დედოფა- 10
 ლი ამაზედაც და სხვარიგათაც გა[ა]სინჯა, გაუფდა და ბაგ-
 რატ დააჭირვინა და თვალეზი დააწვევინა და მამას მეფობაჲ
 შე[ე]პატიეა.

C 66
A 164

ბატონმან თეიმურაზ უჯავრა, სკანდით ქუთაისსა არ ჩა-
 ვიდა. დედოფალმაც ჰუჭუნაშვილი, ბაგრატიონად იტყოდენ
 ვახტანგს, ქრმად შეერთო. იმერელთ, ვინც დედოფლის კერ- 15
 ძი არ იყო, აქეთ ქართველს დაჰპ[ა]ტიყეს და იქით დადიან-
 სსა. ორნივე შიგ ჩაუდგნენ. დედეოფალმან ქართველს მეფეს
 მიშველება სთხოვა, რომე „თუ მამეშველებიო, ჩემს ძმისწულს
 შენს შვილს მივსცემო და || იმერეთში გავაბატონებო“. და ამა- 20
 თაც მეთოფე მიაშველეს და პატრიარქი ციხეში შეგზავნეს.
 იქით დადიანმა დედოფლის ქმარი ვახტანგ გაიტყუა, თვალე-
 ზი დასწვა. გარედამენ მეფე და დადიანი ასრე შერიგდენ:
 არგვეთს აქეთ ერთი წყალი, ჩალაბური ჰქვიან, იმ წყალს
 აქეთ — მეფეს და წ[ყ]ალს იქით — დადიანს, და მას უკა- 25
 ნით დადიანმან თავისი ქალი არჩილს მოსცეს და იმერეთში
 გააბატონონ.

IB 97

ბატონი || თეიმურაზ სკანდის ციხეში იყო. მოახსენეს:
 „ვინც შენი ყმანი ყაენის კარს მივლენო, მეფობას იშოვნია-
 ნო. შენ მაინც თქვენს ქალს არ მიეშველენიო, ყაენთან წაბ- 30
 ძ[ა]ნდითო“. ოთარი სახლისუხუცეს შაჰნავას-ხანთან გამო-
 ეგზანაო: „ყანთან მინდა წავიდეო“. და ამათაც დიდათ იამა
 დაამილ[ა]ხორი გივი გაუგზავნეს, დიდის პატივით ქართლით

6 და ერეკლე C. B. გაგზავნა C. 7 ბაგრატს C. B. 10 ამაზედ C. როგადაც
 გარნჯა C. 13 უჯავრს C. ქუთაისს არ C. 14 ბაგრატიონად C. 15, 16 კერძო C.
 16, 17 დადიანს C. 18 მომეშველებიო C. 22 შერიგდენ C. 23 ქ წყალ
 C. წალს (წყალს) B. 25 მისცეს C. 29 მიეშველებითო C, მიეშველენითო A, B.
 31 წავიდეთ B. 32 ამილახორი C. ქართლით (გამოტოვებულა) C.

გარდმოიყვანეს ბატონი თეიმურაზ, დიდის პატივით ყაენთან გაგზავნეს. კარგის პატივით ჩავიდა ყაენთან. || ყაენმან კაი პატივი მიაპყრო, დაუძახა: „შენი შვილისშვილი ერეკლე მაშ-გვარეო და კახეთს მივცემო“. და გიორგი ჩერქეზი და ბებურის-შვილი აბას-ყული-ბეგ თუშეთს გაგზავნეს ბატონისშვილის ერეკლეს მოსაყვანათ და არ წამოსულა. ეს შაჰ-აბაზ-ყაენმა იწყინა და აშრათს მიმავალმა ბატონი თეიმურაზ ასტარაბათს გაგზავნა.

1663 ქორონიკონსა ტ^ნა (351)²⁷⁰ მეფე შაჰნავაზ იმერეთს ჩავიდა და შვილი მისი არჩილ მეფეთ დასვა და აკურთხებინა. ოდიშს წავიდა. ზუგდიდს რომ მივიდა, დადიანი ვამიყ და ერთი შვილი, სვანები შეუყენეს და მოაკვლევინეს. ელენე დედოფალი, ერთი ქალი და ვაჟი შაჰნავას მეფესთან მოიყვანეს. დარეჯან დედოფალი ჭაქვიჯის ციხილამ წამოიყვანეს, ქუთაის[ს] მოიყვანეს. ელენე დედოფალი — ვამიყ დადიანის ცოლი, მისი ქალ-ვაჟნი ტყვეთ ქართლით წამოიყვანა. შამანდავლუ || დადიანათ დასვა. ვამიყ დადიანის საქონელი, გელათი-დამ სამსკვალნი წიგნი, და ხატი, და ჯვარი, და საქონელი, თვალ-მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი და ტყვე მრავალი იშოვა მეფემან და ქართველთაჲცა ამთონი იშოვეს, ყველანი დამდიდრდენ.

და ურუმთაგანაც²⁷¹ ჩაფარი მოვიდა: „ქართველს ბატონსა ოდიში და იმერეთი დაურბევია და მეგვიდრე ბატონები გაუყრიაო, ოდიშშიც ცოლის ძმა გაუბატონებიაო და იმერეთში || — შვილიო. ეს გვინდა შევიტყოთო: თქვენის ბძანებით უქნია თუ არაო?“ აქედამე უპასუხეს: „დაუშავებიაო, ჩვენ გარდავახდევინებთო“.

1663 ამავე ქორონიკონსა ტ^ნა (351), თვესა იანვარსა, ბატონი თეიმურაზ ასტარაბათს მიიცივალა.

ამავე ქორონიკონსა ამირ ჰამზა-ხან თალიში ყაენს გამოეგზავნა შაჰნავას მეფესთან: „იმერეთი ნუ გინდა, დაეხსენო! შენი შვილი არჩილ გამამიგზავნე, კახეთს მივსცემო“.

2 ყაენმა C. 3 მიაპყრო (მიაპყრა?) B. და უბძანა (დაუძახას ნაცვლად) C, B. 3, 4 მომგვარეო C. 5 ყულ C. 5, 6 შვილს C. ეს (გამოტოვებულად) C. 7, 8 ასტარაბათს C. 10 მის C. 11 ზულდდს C, B. 12 მოაკვლევინეს B. 14 ჭაქვიჯის C. 22 უსუმთაგანაც C. 24 ცოლს C. 26 აქედამე. (2-ჯერ) A. 27 გარდავახდევინებთო A. 29 ასტარაბათს C. 32 გამომიგზავნე C.

იმერეთიდან || არჩილ მოიყვანეს და მაზანდარანს ყაენთან გაგზავნეს და გივი ამილახვარი თან გაატანეს.

ყაენი კარგა დახვდა ამასაც და გივის ამილახვე:რსაცა. და კახეთს ბატონობა მისცუა და შაჰნაზარ-ხან²⁷² დაარქვეს, და გამოისტუმრეს. და ქართლს მოვიდა კახი ბატონი არჩილ და შაჰნავეს მეფე უფრყუთას მიეგება. იქითგან ქალაქს შემოვიდნენ. და ქალაქითგან კახეთს წავიდა კახი ბატონი.

ცოტა ხანს უკან ბატონი თეიმურაზ მკვლარი მოიტანეს, ქალაქის პირს, კრწანისს მოასვენეს. ყაენს გამოეგზავნა, და კახნი მოვიდნენ და წაასვენეს, ალავერდს დამარხეს. კახნი ვინც ხლებოდენ ბატონს თეიმურაზს, ყაენმა საპრადებში გააბარა²⁷³.

რა ბატონის თეიმურაზის სიკვდილი გაიგონა, ბატონის-შვილმან ერეკლემ კახეთში მყოფს მეფეს შაჰნავეზს და მის შვილს არჩილს თუშის ლაშქრით ღამით თავს || დაეახა. და ბევრი კაცი მოუკლეს და ბევრი ნაენები ქნეს. გივი ამილახვარი და სხვა უფროსიერთი გაიქცნენ. მეფე თავისის ადგილით ვერ დასძრუა: აწყვერს იყო. გათენდა, ქანარა დააძახეს. დაფანტული ჯარი მოგროვდა; უკან მიეწივნეს და მრავალი თუში დახოცეს და შაჰნავეზ მეფეს გაემარჯვა და შვილიანათ ქალაქში შემოვიდნეს.

ქორონიკონსა ტ^{300?},²⁷⁴ მეორეს გზაფხულზედ, კიდევ კახეთში ჩამოუხდა და ზოგი ძალით და ზოგი ნებით ლაშქარი შეიყარა და შეყრილი მარტყოფამდისი მოვიდა. ქართველმან ბატონმან ლაშქარი შეიყარა, და უჯარმის ბოლოს შეიქნა ომი და კინკლაობა. და ქართლის ლაშქარი დაბალზედ იდგნენ და იმათ მალლა მთები გაიარეს და გარდვიდნენ. და მეფეც კახეთში გარდვიდა. თათრის ლაშქარიც მოეშველა.

ბატონისშვილი ერეკლე თუშეთ წავიდა, და || დედამამან თორღის ციხე გა[ა]მაგრა. და ზოგნი კახნი ცოლ-შვილით მასთან იყვნენ. და შვილს თვეს მეფე და ქართველნი და თა-

2 ამილახვართან C. 4 კახეთის C. შაჰნავეს ხან A. 6 ყრყუთა C, B. 9 ქალაქ პირს C. 10 მოვიდნენ და წაასვენეს ალავერდს დამარხეს კახნი (გამოტოვებულა) C, B. 17 გაიქცენ C, B. თავისს ადგილთ C. 18 ქარანები P. 19 მოეწივნეს C. 27, 28 გარდავიდნენ C. 31 გაამაგრა C. 32 ზვილს A, ზვილს (შვილს) B.

თარნი ლაშქრით იმ ციხეზედ იდგნენ და ვერ აიღეს. და შიგ
მდგომიც შეწუხდა || და გარ მდგომიცა.

C 6=

ერთს ლამეს ბატონისშვილის ერეკლეს დედამა კახურის
კაცის ჩოჯა-პაჭიჭი ჩაიკო და ქუდი დაიხურა. და პანკელი²⁷⁵,
5 პეტრიაშვილი, ბაცასშვილი, მელანაშვილი, მარტყოფელი —
ესენი იახლენ. არჩიეს და ბაცაშვილს ეთქვა: „მე ჩავალო,
რაც ყარაული წევსო, აქა-იქი ფექს დაეცემო, ჯარი აიშლება,
მე გამამიდგებაო. თქვენ არეულს ჯარში გამოდითო, თუშეთს
10 წადითო“. ბაცაშვილი ჩავიდა და ფეცი დასცა. აქა-იქი ჯარი
აიარა იმას გამოეკიდნენ, და იმათ თავიანთ გზას მიმართეს
და თუშეთს ქვეითათ წავიდა. ვინც შემოეყრებოდა, ანბავს
31 კითხევდათ: || „ციხილამ ერთი კაცი გაპარულაო და იმაზედ
ირევიანო. მე ჩემს სადგომს მივალო“. ამ ხერხით ჯარი გაია-
რეს და წავიდა.

A 17:

ბაცაშვილი დაიჭირეს, შა[კ]ნავაზ მეფე¹¹ეს მოგვარეს და
მეფემ ჰკითხა: „დედოფალი რა იქნაო?“ იმან მოახსენა: „სა-
მი დღე არის, წავიდაო“. ჯათა უყვეს და ათქმევიინეს: „წუხე-
ლის წავიდაო“. ქაიხოსროვ ციცის-შვილი, თათარიც ბევრი
გაატანეს და ქართველიცა, ბაცაშვილიც თან გა[ა]ტანეს მხარ-
20 შეკრული. სხვას გზაზედ წაუძღვა ბაცაშვილი. ერთს უბრა-
ლოს კლდის თავს მივიდნენ და დასხდენ. ბაცაშვილი შეეხ-
ვეწა: „საბელმა ძალი მიყო, ცოტა მამიშვითო“. მოუშვეს
პურს ჰამა დაუწყეს და იმასაც აჰამეს. მოიკეცა საბელ, ერ-
თი აქათ რომ კაცი უჯდა, იმას თვალებში უკუჰკრა, ერთი —
25 მეორესა, ეს კაცები გულაღმა დაეცნენ. თვითან იმ კლდეში
ჩავარდა და წავიდა. ესენი ველარ ჩავიდნენ, დაბრუნდენ. ეს
ჯარისკაცი ბაცაშვილი || იმავე დღეს დედოფალს შე[ე]ყარა.

B 103

A 17:

დაიწყეს სიარული. იმ დღეს პანკისის თავს დადგა. პეტ-
რიაშვილი ჩამოვიდა თავის სახლში, პური და ღვინო, სასმელ-
30 საკმელი წაიღო. იმავე ღამესვე მივიდა. მეორეს დღეს თუშეთს
თავის შვილს ერეკლე ბატონისშვილთან მივიდა. მეორეს დღეს

3 ბატონის შვილს C. 4 ჩოხა C. პანკოლი C. 6 ესენი (2-ჯერ) A. 7 საცა ყა-
რაული C. აქა-იქა ფეხს C. 8 გამომიდგებო C. არეულ C. 9 ფეხი C. აქა-იქა
C. 10 აარა C. 15 შანავაზ(შაპანავაზ) B. მოგვარეს C. 17, 18 წუხელს C. 19 ქართ-
ველიც C. გაატანეს C. 20 წაუძღვა A. 22 მამიშვითო C. 23 პურის C,
B. მოკეცა C. 27 და ჯარისკაცი C, B. შეეყარა C. 31 ერეკლე (გამოტოვებუ-
ლი) C.

ციხით საფიცარი სთხოვეს უვნებლობისა, რომ ციხეა მოვ-
ცემთო. საფიცარი წაიღე.

ციხეში მყოფნი რომ ჩამოდიოდენ, მეფემ დედოფლისა
იკითხა: „სად არისო?“ მოახსენეს, „სამი დღე არის, წასულაო“. 5
ტყვილი ეგონა. აქეთ-იქით კაცები დააფრინეს, ეგების დაი-
ჭირონ. თუშეთი[თ] კახი კაცი ჩამოვიდა: „ბატონისშვი-
ლის დედაო გუშინ თუშეთს მოვიდაო“. ქართველნი დაბრუნ-
დეს, ქალაქში ჩამოვიდენ და კახთაგან გაახეიბრეს.

1173
1101
:: 69
10
ბატონისშვილი ერეკლე ამ ზამთარს თუშეთს დაჰყო და
რა გზა გაიხსნა, დე||დიანათ იქივ რუსეთს || მივიდა. და რა
შაჰნაზარ-ხან იმერეთი[თ] გარდმოეყვანათ, ისრევ ბრმა ბაგ-
რატ გაემატო||ნებინათ და მუხრანის ბატონისშვილის პატარას
ქალს დაჰპირებოდენ, რომ შერთონ.

ამასობაში დადიანი და მეფე შეიბნენ. და დადიანი[ს]
იმერელთ დაირჩინეს. იმასაც მუხრანის ბატონის კონსტანტ- 15
ლეს ქალი ედგა, ეს წაართვეს, ბაგრატს შერთეს და ბაგრატ
მეფის და, გოშაძის ნაცოლარი თინათინ დადიანს შერთეს,
დააფიცეს ის, დადიანათ გაგზავნეს.

და ბაგრატ მეფედ იყო. და დარეჯან დედოფალი ახალ- 20
ციხეს იყო და მისი ძმისწული ქეთევან გვერდსა ჰყვანდა. და
იქით დადიანი სთხოვდა და აქეთ არჩილ-ხან, კახი ბატონი.
და დარეჯან დედოფალს იმერეთში ბევრი ერთგული, თავისი
გაზდილი თავადისშვილნი ჰყვანდენ და თვითონც მრავალი
თვალ-მარგალიტი ჰქონდა. ფაშა მოიმადრიალა, ხონთქარის 25
არზე კარგი ფეშქაში || გაგზავნა. იმერეთი ბაგრატს წაარ-
თვეს და ამას მოსცეს, ურუმის ლაშქარი გამოატანეს და
უომრათ ქუთათის გააბატონეს, და ბაგრატ ლეჩხუმს გარდახ-
ვეწეს.

და ანბავი მოსდიოდა, ბაგრატს კელშეკრულს მოგ[გ]ვ- 30
რითო. თავის კერძს საბატოოს კაცისშვილებს დასტური მის-
ცა: „ყველანი თავისას წადითო! როს გიხმო, მაშინ მოდითო“. 30
სეხნია ჩხეიძემ და დედოფალმან ქუთათის ციხე ხონთქარს
მისცეს და იენგიჩრები დააყენეს. ეს უფრო იწყინეს იმერელ-

3 დედოფალსა C. 4 ჰკითხა C. რად არისო C. 7 მივიდაო C. 10 გაიხსნა
C. 12 შვილს C. 15, 16 კონსტანტილეს C. 16 ბაგრატს შერთეს (გამოტოვებულა)
C. 17 გოშომის C. 21 სთხოვა C. 23 თეთანც B, თეთანაც C. 26 მისცეს C.
რაშქარი A. 29 ხელშეკრულს C. 31 როს (2-ჯერ) A, B, C.

5 თა, ამაზე იმერელთა თქვეს: „ჩვენ ჭუჭუნას-შვილს ყმობას და დედოფლის ყმობას რა გვრჯისო? მემკვიდრე ბატონის-შვილ გვყო“. და სეხნია ჩხეიძე და ახვლედიანმა ხოსიამ პირობა შეკრეს. ეს დედოფალმან შეიტყო და მოიხმო. და ესენიც ჯარით მივიდნეს. ხოსია ახვლედიანმა ჯერ ძუძუზე დაადგა დედოფალსა და მერმე ერთი წიგნი და||სწერა, მაჯაში || ჩაიდვა, რომ „არც ვიყო შენი ერთგულიო და კიდეც რაც ხელიდამ გამამივიდეს, ისე გიმტერო“. დედოფალმა რომ ფიცი მოუდვა, ახვლედიანმა მოახსენა: „როგორც შეგჯერდებოდეთ, ისე წიგნი დასწერეთ და ისრე შემოგფიცაო“. დედოფალმა წიგნი დაწერა, მისცა. ადგა და ხატი რომ ხელში ჩაუსვენეს, დედოფლის წიგნი ახვლედიანმა მუხლს ქვეშ ამოიდვა, თვითან რომ წიგნი დაეწერა, ის ამოიღო და კელთ დაიჭირა და შეჰფიცა: „რაგვარაც ამ წიგნში ეწეროსო, ისეც ერთგულ ვყო და კიდეც ისე გავათავო“. ამ ფიცის ვერ მიხვდენ.

10 დედოფალი || ქუთაის[ს] გარ იდგა. მეორეს დღეს ხოსია ახვლედიანი, სეხნია ჩხეიძე შუადღეს უკან შევიდნენ. სოფრონ გენათელი და დედოფალი ამათი მიმდევი ვეზირობდენ. შეუხდენ, ჯერ სოფრონ გენათელსა ჰკრეს შუბი და გაიყვანეს და დასჭრეს ლეკურითა, დედოფალს გულს თოფი ჰკრეს.

20 და ორმა იმისმა მხლებელთ || მოიტაცეს, ციხისაკე წაიყვანეს კინკლით. მადამდი ფაშა და ციხის თათრები მოდგომილ ჰყვანდათ ახვლედიანს და სეხნია ჩხეიძეს. მხლებელი და საქონელი ციხეში იყო დედოფლისა. ციხის კართან რომ მივიდა, იმ დროს შუბი შესცეს და მოკლეს დედოფალი, ჭუჭუნა-შვილს ვახტანგს თავი გააგდებინეს, საქონელი და მხლებელი აიფორაქეს, რომელი თვითან დაიჭირეს, რომელი ფაშას მისცეს.

25 დედოფალი ქუთათის ყოვლადწმინდის დეკანოზმა ყოვლადწმინდის კარისბჭეში დამარხა და ჭუჭუნაშვილი. მერმე დედოფალი წელიწადზედ ამოიღეს, გელათს დამარხეს. ბაგრატ — თავიანთის მემკვიდრე ბატონისშვილი გააბატონეს ცოტას ხანს უკან.

B 12
A 11:

C 7.

A 1

1 ჭუჭუნაშვილის C. 2 ბატონის შვილი B, ბატონიშვილი C 6 და მაჯაში C. 10 დაწერეთ B, C. 11 დასწერა B, C. 13 ხელთ C. 16 ქუთათის C. ხორა A, ხორა (ხოსია?). 17 ახვლედიანმა C. 20 დედოფალს A, B. 21 ციხისაკენ C. 22 კინკლით C. მამამდი C. მოდგომილი C. 25 მისცეს C. 27 რომელი თვითან (2-ჯერ) A.

- 103 || ქორონიკონსა ტ^რუზ (?)²⁷⁶ შეიტყუა შოშიტა რაჭის
ერისთავმან საფიცრით სეხნია ჩხეიძე და დალატით მოკლა.
- 176 რა დარეჯან დედოფალს იმერ[ეთი] მისცეს, || თავისი ძმის-
წული ბატონი თეიმურაზის შვილისშვილი ფაშას მზეველად
ახალციხეს მისცეს. იქ დარჩა. 5
- 1667 ქორონიკონსა ტ^რნე (355) შაჰ-აბაზ-ყაენი მოკვდა²⁷⁷. მი-
სი შვილი შაჰ-სულეიმან დაჯდა. ახალი ჯელმწიფობა იყო და
ალარაინ რას იკითხევდა. კახს ბატონს, მეფეს არჩილს კახნი
და ალავერდელი გრიგოლ შეადგა და ბატონის თეიმურაზის
შვილისშვილი ქეთევან შეერთო, და[ა]ჭერეს. არჩილ მამას, 10
მეფე შეჰნაევას დაუქინა: „სხვა ცოლი არ მინდა მის მე-
ტიო“. შაჰნაევამ მეფემ ფაშას თექსმეტი ქესა გაუგზავნა.
- 1668 ქორონიკონსა ტ^რნე, (356) აღდგომა[ს], მარტსა კ^ბ (22),
ახალციხილამ მოიყვანა, და შეერთო და ქორწილი ქნა კახმა
ბატონმა არჩილ ბატონის თეიმურაზის შვილისშვილს ქეთე- 15
ვანზე, ტბილისს ქალაქს. კახთ შეექნა დიდი გახარება. და სა-
ცა კახნი ტყვეთ იყვნენ და ან დაფანტულნი, სრულ მოასხმე-
ვინეს და თავიანთ მამული მისცეს. იყვნენ ლხინსა და ნადი-
რობასა.
- 177 || მოსვენებამ შეაზარა და ისრეე აშლა მოინდომეს. ასრე 20
მოახსენეს: „კახეთის ბატონს გეძ[ა]ხიანო და სრულ ერის-
თავს უჭირა||ვისო. შენ რისალა ბატონი ხარო“?. ესეები შაჰნა-
ზარ-ხან მამას მოახსენა და მამამ ასრე უპასუხა: „ჩვენგან
არა აქვს მიცემულიო და არც წაირთმევენო“. იმან მოახსენა:
104 „ყაენს კახეთი ჩემთვის მოუციაო. მე ჩემსას არას დაევანებე- 25
ბო. ერისთავი თქვენი ყმა არისო, თქვენ უბოძეთო. და ამა-
ზედ მამა-შვილი კიდევ მოვედითო“.
- 1671 მოსვლა ბატონისშვილის ერეკლესი — კახეთში რომ ყა-
ენტან წამოვიდა, || ქორონიკონსა ტ^რნთ (359)²⁷⁸. ანბავი მისის
მოსვლისა რუსეთით, ყაენტან წიგნა მოეწერა: „თქვენ კარზედ 30
მოსლვა მინდაო, და ერთი უვნებლობის რაყამი გვიბოძეთო“.

2 საფიცარი, საფიცარით C. 5 ახალციხეს A. 7 დაჯა C. ხელმწიფობა C.
8 ალარაინ C. იკითხევდა A. 10 დააჭერეს C. 11 შაჰნაევ C. თექსმეტი C.
16 ტფილისს C. 22 ესეები C. 24 წამართმევენო C. 28 შვილის (გამორთვებუ-
ლა) C. B. 29 ამბავი C. 30 მოწერა C. კარზე C. 31 მოსვლა C.

ფიცხლავ მოსანდო რაყამი მისწერეს და ჟულფელის ხოჯა გრიქორას კელით გაუგზავნეს.

რა რაყამი მოუვიდა, რუსეთით წამოვიდა და თუშეთის გზით კახეთში გარდმოვიდა. შაჰნაზარ-ხან || კახეთში ბატონობდა, და ბატონისშვილის ერეკლეს და, ქეთევან დედოფალი თან ჰყვანდა. და ოცი წელიწადი იყო, და-ძმათ ერთმანერთი არ ენახათ. რა ნახეს, დიდი სიხარული შეექნათ მათ და მათს ქვეყანას. მრავალი საჩუქვარი მიართვეს, სიძემ ცალკე და დამ ცალკე. და ყაენისაგან კმალი და ზალათი მოუვიდა კახეთით. სიძე და ძმანი დიდის ტირილით გაიყარნენ და ვითაც მემკვიდრის ბატონისშვილი იყო, კახთ თავადნი და აზნაურნი თან გაჰყვანენ.

რა შირვანს მოვიდა, ყაენის ბძანება მოვიდა შირვანის ხანზედა: „ათას თუმანი მიართვით ბატონისშვილსაო. თუ დასაკლისი საქმე ჰქონდესო, გაირიგოსო და წამობძანდესო“. ხალაფ-სულთან-ნაზირის ძმისწული მეჰმანდრათ მიაგებეს და დიდის პატივით ყაზმინს მოვიდა. ყაენმა ბძანება ქნა: „ბოქაულთუხუცესი გააგებოს, და ვინცა-ვინ ბედნიერს ყაენს ერანის ბატონისშვილები || ახლდენ, ყაზმინს ჯარით მიეგებონ და ქალაქში შემოიყვანონ“. რა მობძანდა, მეხუთეს დღეს კიდევ ათასის თუმნისა გაუგზავნა.

და მეშვიდეს დღესა ყაზმინის ჩ[ი]ლ-სუთუნში მეჭლისი იქნა. ბატონისშვილი ერეკლე კარგათ მორთული თვითან და ჯარმოკაზმული მობძანდა კარამდისინ. ზეინალ-ხან ბოქაულთუხუცესი მიაგებეს და მეჭლისში რომ შემოვიდა, ამის ტანად სრულობას და სახით სიტუფეს გაჰკვირდნენ. და წაყენეს, კემწიფის ფეჯს აკოცინენს და კემწიფეს მარჯვენა მხარეს ყველას ზევით დასვეს. და კემწიფემ სამჯერ ანბავი ჰკითხა — უწინ რუსეთის კემწიფისა და მერმე || თავისი თუ, „რუსეთს როგორ შეექცეოდით“, მერმე, „გზაზედ გაიჩებოდით“. უწინვე ნახვაზედ კემწიფემ შეიყვარა თავად დიდგვა-

1 და (გამოტოვებულია) C. ჟულფელს C. 2 ხელით C. 8 საჩუქარი C. 9 ხმლით C. 11 და თავადნი C. 13 ყაენის ბძანება მოვიდა (გამოტოვებულია) C. 14, 15 საკლისი C. 18 გააგებეს C. 20 შემოიყვანონ C. 21 თუმანის C. 22 ჩლ. რუთუნში C, ჩილ სუთუნში P. 24 მობძანდა C. კარამდისინ C. ბოქაული უხუცესი C. 25 იმის C. 27 ხელმწიფის C. ფეჯს C. ხემწიფეს C. 28 ხელმწიფემ C. 29 ხემწიფის C. 30 შექცეოდით C. 31 ხემწიფემ C. დიდ გვარშვილობისათვის B.

რიშვილობისათვის და მერმე ნამეტნავად კარგტანადობისა, სახეშეენიერობისათვის, || წელიწადში ორი ათას ხუთასი თუმანი თეთრი და დღეში თორმეტი ჰიქა შირაზის ღვინო ულუფათ გაუჩინა, სხვას პატივსა და მირთმევას გარდაისათ²⁷⁹.

ყაენი ყაზმინით მაზანდარანს წაბძანდა თეპრანის გზითა, ვითაც ჭალაბობით მივიდოდა. 5

ბატონისშვილის ულუბეგ თალიშის ბატონისშვილი მეჰმანდრათ უჩინეს და გილანის გზით დიდის პატივეცემით მაზანდარანს მიიყვანეს და ნადირობითა და ლხინით და ღვინის სმითა და დიდის პატივეცემით შეაქციეს და იქით ისპაჰანს მობძანდეს. კახელის ჯანიშინობა კახაბერს გორჯასპის უბოძეს და რუსეთით კემშიფის ელჩი, რომ ბატონისშვილს დედას თან მოჰყოლოდენ კახეთის მიცემის შუამავლობისათვის, ისინი გაისტუმრეს და რუსეთს კემშიფეს მისწერეს, ამხელათ კახეთის ჯანიშინობა ბატონისშვილის ერეკლეს ყმა-სა და ნათესავობით ბაგრატოვანს კახაბერს გორჯასპის მივეცი- 15
თო და ბატონისშვილი || ერეკლე დიდის პატივით კარზედ შევიანახეთო, რომ ჩვენი ზნე და საქციელი ისწავლოსო და მას უკან კახეთის ბატონობას უბოძებთო.

გორჯასპი რა კახეთს მივიდა, კახთ თავიანთ დაუდერაგობა || არ დაიშალეს: ზოგნი მოუდგნენ და ზოგთ ურჩობა დაეწყით. აგათოს შვილის კელით ხუთასი თუმანი თეთრი და ოცი ტყვე ყაენისათვის გამოეგზავნა და კარისკაციც ტყვეით მოეკითხა და აფხაზ გიორგის კელით სამოცი ლეკის თავი და თორმეტი შავარდენი ყაენისათვის გამოეგზავნა. ასე ადვილათ გორჯასპისაგან კახეთის დაჭირვა და ზავთის ქნა სარდარ-სა და განჯის ხანსა და ნაპირის ბატონებს ეჭავრა და ასე თქვეს: „ჩვენ რალა პატივი დაგვედებისო?“ 25

და შეიყარნეს ჩერქეზიშვილი მამუკა და გორჯასპის თოფი ჰკრეს და არ მოკვდა. ზოგ-ზოგმა კახმან საბატოს კაცის- 30
შვილებმან, რომ გორჯასპის ლალატშიც ერივნენ და უწინაც

2 ორი ათას თუმანი თეთრი P. 5 წაბრძანდა C. ფირისქუს გზით მაზანდარანს P. 7 ულუბეგ A, C. 10 სმით C. იმით ისპაჰანს C, B. 11 კახელის (კახეთის) C, B. 12 რუსეთის ხელმწიფის C. 13 შუამავლობისთვის C. 14 ხემშიფეს C. 15 ამხელას B, C. ბატონის შვილს B, ბატონის შვილს C. 21 მიუღგნენ C. 22 ხელთ C. 24 ხელთ C. 29 ჩერქეზიშვილ C. 30 კახმა B, კახმა C. 31 ლალატშიც C.

განჯის ხანისათვის || პირობა მიეცათ — „შენ ბატონათ გით- A 12.
ხოვთო“. სარდართან არზა მოსწერეს და ჯანდიერის-შვილი
ოხია ყორჩის კელით გამოუგზავნეს და აბაზ-ყული-ხან გან-
ჯის ხანი კახეთის ბატონათ ითხოვეს.

5 და სარდარმან კახთ მონაწერი წიგნი ბედნიერს ყაენს
გაუგზავნა და კახეთი || აბაზ-ყული-ხანს მისცეს და გორჯა- C 73
პის ხალათი და ქისიყის მოურაობა უბოძეს. მაგრა განჯის
ხანმან არ მისცა და სხვაროგათ გაასინჯვინა. და შეიღს წე-
10 ლიწადს სარდარი ყარაბაღში დადგა და ვერვინ რა გაიგო, თუ
რასთვის დგას.

ამასობაში იმერეთის მეფის ბაგრატის შვილს უფროსი-
ერთი თავადნი — რაჭის ერისთავი მისის მოყვრითა და ლორ-
თქიფანიძე თავის მოყვრითა და ჯიჯავაძე თავისის მოყვრითა
და უფროსიერთი ოდიშარნი გურიელს შეეყარნეს და მეფის
15 მოკვლა და გურიელის გამეფება მოინდომეს. აბაშიძენი და
წერეთელნი და ჩხეიძენი და || არგვეთის საბატოს კაცის- B 10
შვილნი ერთგულათ მეფეს მოუდგნენ, მაგრა ესენი || ცოტა- A 18
ნი და გურიელს ჯარი მრავალი ახლდა, შეუპოვრად მეფეს
მოუხდა. ესენიც თავდაუზოგავათ დახედენ. ვითაც გურიელი
20 მტყუანი და ფიცის გამტეხი იყო და არას საქმით კაცს არ
დაინდობდა და ღმერთი არა სწამდა, სიდედრი ცოლად შეირ-
თო და ნაქორწილევი ყმაწვილი, თავისი უგუნური და დაუ-
ნ[ა]შ[ა]ვებელი სიძე მოკლა იესოს ნაბძანები აქ მიეცა და მე-
25 ფემ გურიელი და რაჭის ერისთავი და მათნი კერძნი თავადნი
და აზნაურნი შეიპყრეს და ციხეებში ტყვეთ გაგზავნეს დარაც
სხვათათვის ექნა, ღ[მერთ]მან მათაც გარდაახდევინა. ხიდი
'არის გადებული ზღვათა შიგა, რომ სამადლოთ საქმელი ჩაპ-
ყარო. ღ[მერთ]თი ერისთავის ათას ზომას კმელზედ მოგვეცემს.
ყოვლი ზელოსანი თავის კელის მიზდს ღირსა.

30 1678 ქორონიკონსა ტ'ჯე (366) მოსვლა რუსეთით ელენე დე-
ლოფლისა, ზღვით შირვანს გამოსვლა.

1 ხანისთვის C. 1, 2 გითხოვთო B. 3 ხელთ C. გაუგზავნეს C. 7 მოუ-
რობა B, C. 9 ვერავინ C. 10 რასათვის A. 12 მოყვასითა C. 14 ოდი
სარნი A. 16 არაგვეთის C, B. 18 მრავალი შეუპოვრად ახდა C. 19 გუ-
რელ C. 22 ნაქორწილევი C. უგუნური C. 23 ნაბძანები C. 24 გურიელ C.
25 ციხეებში C. 28 ერისთვის C. ხმელზედ C. მოგვეცემ B, 29 ხელს C.

ანბავი მათის მოსვლისა შირვანის ბატონს სულეიმან-ყენისათვის მოეწერა. ბძანება იქნა კემშიფისა: || უსუფ-ბეგ მეჰმანდარ-ბაში ჩაფრათ გაგზავნეს და ბატონი დედოფალი დიდის პატივითა ისპაჰანს მოაბძანეს და დღეში ასი მარჩილი ულუფა გაუჩინეს და თავის შვილს ერეკლესთან დააყენეს და დიდი პატივი მიაპყრეს და ყოვლს კარგს დღეში შიგნით დაჰპატიებდნენ, დიდს პატივსა სცემდნენ და მრავალს მოართმევდნენ და თათრობას შეეპატიებოდნენ და დედოფალი უარს იტყოდა. არ იქნებოდა, აღარ გა[ა]თათრეს. და ქართლში გიორგი მეფობდა და კახეთში განჯის ხანი აბაზ-ყული-ხან ბა-
10
15
20
25
30

11 184

38 108

10 74

11 185

მაგრა ყაენი გურგი-ხანს || უწყრებოდა. ქართლის თავადები თავს არ უღებდნენ და ურჩობდნენ და არაგვის ერისთავი, თქვეს, წამლით მოაკვდინესო. და ამავ საწამლავის შიშითა იასონ, ძმა მისი, უკუუდგა, საერისთო უკუიჭრა და ქვეშ-ქვეშ განჯის ხანის საქმით ყაენს ბირება და ლაპარაკი დაუწყო.

და სომხითის || მელიქი ყაენმან კარზედ ითხოვა. ეს ანბავი ლუარსაბ თავის ძმას გიორგი მეფეს მისწერა და გაუკითხ[ა]ვით კარავში მჯდომს თოფი აკვრევიან და ქამარ-ბეგ-მელიქი მოაკვდინეს. ეს ანბავი ყაენს, დიად, ეწყინა. და იმერეთის მეფეს აღექსანდრეს²⁸⁰ პულაზაშვილის კელით ყაენთან არზა მოეწერა: „მამა-პაპა ჩვენი კემშიფის მოსამსახურენი ყოფილანო. ერთი რაყამი გვიბოძოსო, ჩვენი ფეშქაში ყაენის კარზე მოუშონო“. ერთი რაყამი ქართლის მეფესა და ერთი ერეენის ზანს მისწერეს: „როსაც იმერელ მეფის ფეშქაში წამოვიდესო, მეჰმანდარი გამოატანეთ, კარზედ მოიყვანონ“.

იმერელ მეფის კაცი ახალციხის ფაშამ მოაკვდინა. ესეც გურგინ-ხანს დაჰბრალდა. კაცი და წიგნი გურგი-ხანს რუსეთს თავის ძმასთან არჩილ-ხანთან გაეგზავნა. ისიები შამხალს დაეჭირა და ყაენისათვის მოეწერა, ესეც იწყინა. და გურგინ-ხან თავის შვილს ბაგრატს ჩერქეზის ქალი შერთო და

2 ხემშიფისა C. 4 ას მარჩილი C. 12 მშველი (მშველელი) B. C. 14 უღებდნენ C. B. 18 მელიქი C. 19 ლუარსაბ (2-ჯერ) A. 19. 20 გაუკითხავით C. 22 პულაზაშვილს ხელთ C. 23 ხემშიფის C. 25 მეფისა C. 27 გამოატანთ C, B. 31 გაგზავნა C. 32 ყაენისთვის C.

თვითან მიქელაძის ქალი შეირთო. || ესეც ყაენმან უწყინა და A 1E
ძმა და შვილი სთხოვა.

და ყაფლანის-შვილი, გურგინ-ხანის ბიძა, ბარათიანთ B 1C
სარდარი თამაზ-ბეგ, რომ გიორგი მეფისაგან მრავალი სი||ე-
თე და სიმდიდრე სჭირდა, დისწულს წამოუვიდა, თავრიზს
5 სარდართან მოვიდა და ყაენს არზა მოსწერა: „განჯის ხანის
თავსდასხმა და ნაპირის ხანების ამოწყვეტა და ყარაბაღის
დარბევა მოინდომაო და ჩვენ ამისთვი წამოუვედით და კემ-
წიფის ორგულობაში არ გავერივებითო და ღონე გაუწყდაო
10 და ძმა და შვილი გამოგზავნაო“ .ამ ამბავზედ ლევანს და ბავ-
რატს არცარა პატივი დასდევს და არც ინახეინეს.

ამაზედ ეს ანბავი მოვიდა, იასონ ერისთავი თავის სახლის-
კაცს მოაკვლევინესო და გიორგი მეფე საერისთოში შეუხ-
დაო და გამოაქციესო. ეს კიდევ უფრო უწყინეს და ბატონის-
15 შვილს ერეკლეს²⁸¹ ქართლის მეფობა მისცეს და ნაზარ ალი-
ხან დაარქვეს და მისივე მოხმარებით არაგვის ერისთვობა
გიორგის, ოთარის შვილს მისცეს || და აჰმედ-ბეგ მიქრის A 18
უზბაშის ხელით გურგი-ხანს მისწერეს: „ქართლის მეფობა
თეიმურაზ || მეფის შვილის, დავითის შვილს ერეკლესათვის C 75
20 მიგვიციაო და შენ კარზედ წამოდო“.

და კოჯორზედ ეს ამრიგი რაყამი მიუვიდა, წაიკითხეს და
ყაენს არზა მისწერეს: „ბძანება კემწიფისა გათავდესო“.
მეჰმანდარი სთხოვეს და თვითან ჯალაბობრივ მანგლის[ს]
25 მივიდნენ და ყაენისაგან მეჰმანდარი გამოუგზავნეს. მეჰმანდ-
რის მოსვლამდისინ გურგი-ხან აიყარა და აჩაბეთის ხევში
მივიდა. ამასობაში ნაზარ ალი-ხან თბილის ქალაქში მოვიდა
და გიორგი მეფე ჯალაბობრივ რაქის ერისთავს შეეხიზნა.
ქართველნი სრულ მოუვიდნენ პატრიარქის მეტი. და ეს ან-
30 ბავი ყაენს მოუვიდა, და ზოგი რამე იარაღი მურასა გიორგი
მეფისაგან დანარჩომი კემწიფისთვის გამოეგზავნა. B 11

და კემწიფეს გიორგი მეფის რაქას გარდასლვა და პატ-
რიარქის არმოსლვა ,ღიან, ეწ[ყ]ინა და ძმები და შვილი
დაუჭირვინა. ლევან და ბაგრატ ჰერათს გაგზავნეს || და ლუარ-

1 და თვითან (2-ურ) A. 8, 9 ხემწიფის C. 13 მოაკვლევინეს C. 16 დაპრ-
ქვეს C. 17 მირაზ C. 18 ხელთ C. 19 ფეის A. ფეის (მეფის) B. ფემს (მეფის)
C. შვილს C. 21 წაუკოტხეს C. 22 ხემწიფისა C. 25 აჩაბოთის C. 26 თბილს C.
30 კემწიფისათვის B,C. 31 ხემწიფეს C. გარდასლვა C. 32 არ მოსვლა C. 33 და
(გამოტ.) C.

საბ ქირმანს გაგზავნეს და კათალიკოზობა დიასამიძეს რუს-
თველს იოვანეს უბოძეს და რაც გიორგი მეფისაგან დანარ-
ჩომი, ან კარზედ გამოეგზავნა და ან ქართლში დარჩომოდა,
საძრავი და უძრავი, და ჯოგი, და ცხოვარი, და ძროხა და
სხვა მორთულობა, კემწიფემ სრულ ნაზარ ალი-ხანს უბო- 5
და და ამ წყალობის რაყმები მეფის ერეკლესათვის ებოძე-
ბინათ. და მეფის დედა, ელენე დედოფალი და მეფის სახლი
და ბატონისშვილები ყაენს ებძანებინა, დიდის პატივით
ქართლს წავიდნენო.

გასტუმრებაში ანბავი მოვიდა: „არჩილ მეფე რუსეთით 10
დვალეთს მოვიდაო“. ამ ამბავზე, ვითაც არჩილი დედოფლის
სიძე იყო, ამათი გაშვება მოიშალა. კიდევ სხვა ანბავი მოვი-
და, რომ არჩილი და გიორგი რაქას შეიყარნენო და იმერეთს
ეჭიდებინათ. ყაენის ბძანება იქნა, რომ ქართლისა და კახეთის
ლაშქარი იმერეთს მეფეს მიაშველეთო და თუ გაქირდეს, 15
პადრბიჯანის ლაშქარი მიეშველოსო.

1676 ქორონიკონსა ტად (364) მეფე შაჰნავაზ ისპაჰანს წაბ-
ძანდა, თიბათვეს კ ე (25).

ამავე ქორონიკონსა თვესა ენკენისთვესა მეფე შაჰნავაზ 20
მიიცვალა ხოშკაროს²⁸².

|| ამავე ქორონიკონსა, ამავე თვესა, ენკენისთვესა კ ბ
(22) მიიცვალა მუხრანის ბატონიშვილი პატრიარქი დომენ-
ტი²⁸³.

1678 || ქორონიკონსა ტავ (366) მეფე შაჰნავაზის ძის ლევანის 25
მეუღლე, გურიელის ქაიხოსროს ასული თუთა მიიცვალა
თ[ვესა] ოკდომბერსა ია (11) ტფილის ქალაქს.

ამავე ქორონიკონსა მიიცვალა ასული ყაფლან ბარათა-
შვილისა, მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ლევანის
დედა, მეუღლე მეფის შაჰნავაზისა, როდამ თვესა თიბ[ა]-
თვესა იზ (17) ტფილის ქალაქს. 30

1682 ქორონიკონსა ტუ (370?)²⁸⁴ მიიცვალა დედოფალი მა-
რიამ თ[ვესა]ა [...] ტფილის ქალაქს.

1683 ქორონიკონსა ტუა (371?)²⁸⁵ დედოფალი თამარ, მეუღლე

4 ცხვარი C. 5 ხელმწიფემ C. 8 ბატონი შვილები C. 11 არჩილ C. 14 ქართ-
ლსა C. 16 პადრბიჯანის C. 19 თვეს B, C. 26 ოკტომბერსა C. ტფილის C.
ქალაქს (გამოტოვებულია) C. 28 დაჲ ქალაქს, და მეფის გიორგისა დაჲ C.
32 თა (გამოტოვებულია) C. 33 ტუა (რუა?) B.

გიორგი მეფისა წითელით ავით გახდა: მიიცვალა ქრისტიშობისთვის ო (4) ტფილის ო ქალაქს.

A 190

5 გიორგი მეფე²⁸⁶ ერწოს ნოდოკრასა და ჩეკურში დადგა ქართლის ლაშქრით. ერეკლე მეფემ შეიტყო; დაიწყო სიარული. მარტყოფს მივიდა. ხატი მღთებას რაც შერჩომოდა, კახნი და ქართველნი, იმითი კაცი გაგზავნა. კახნი დაიბარა. იქილამ აიყარა და ვაგრანეთს იქით, თილთუბანს დადგა. მეორეს დღეს კახნი შემოეყარნენ, ერთი კვირა დადგნენ. მოციქული გიორგი მეფემ გაუგზავნა: „შენ შენს ადგილს დასჯი-
10 დიო, მე ჩემი დამანებე, შევრიგდეთო“. ერეკლე მეფემ არა ქნა; მოციქული გალახა, თავსდასხმა მოინდომა. ერეკლე მეფემ, ავი გზა იყო და ველარ მივიდა. აიყარა ერეკლე მეფე, იორის პირი აიარა, ქალეთს დადგა. იქილამ უნდოდა გორანაზე გარდასულიყო, თავს დასხმოდა. კაცი მიუვიდა. გიორგი მეფე აიყარა. იქილამ ძაგნაკორას ჩაიარეს. ო რასაც მოხვდენ,
15 კიდე დაარბივეს. არაგვს გავიდნენ. არაგვის პირს დადგნენ.

A 191

იმავ ღამეს ერეკლე მეფეს ო კაცი მუუვიდა: „გიორგი მეფე წავიდაო“. შვალამის დროს ერეკლე მეფეც გამოუდგა; ერწო გარდაიარა, ძაგნაკორას მივიდა და იქ დადგა. ნალარე-
20 ბი დააყვირეს. ერეკლე მეფე გაღმა იდგა, გიორგი მეფე — გამოღმა. ჟინვანს მივიდნენ. არაგვს გაღმართი და ჟინვანი ერეკლე მეფემ დაიქირა. მერმე გიორგი მეფემ კაცები შეაპარა. ჟინვანიც აიღეს, კაცებიც დახოცეს. აიყარა ერეკლე მეფე.

B 112

C 77

1 გიორგის C. წითელით B. 1, 2 ქრისტეშობის C. 3 ნოდოკრასა C. 13 უალეთს (თისჯალეთს) C. უალეთს (vel ქალეთს) B. 14 მოუვიდა C. 15 მალნაკორას C. 16 კიდე (გამოტოვებულია) B, C. 17 მოუვიდა C, მუუვიდა (მიუ) B. 18 გამოუდგა B, C.

შენიშვნები

1. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი ცნობაში მოხსენიებულ გიორგი მეფესთან დაკავშირებით. საურმაგ კაკაბაძის აზრით, რომელიც წარმოდგენილია „ძეგლი ერისთავთას“ რუსული თარგმანის შესავალში ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, 1373 წელს მოკლული გიორგი მეფე შიდა ქართლის ვასალური მეფეა. „ძეგლი ერისთავთადან“ ცნობა მოხვდა, როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში და თითქმის ემთხვევა მას; „ამისა შ“დ გარდაჰკედეს წელნი რაოდენნიმე... აღძრა თურქნი ქრისტეანთა ზედა: შეიკრიბა ერი ჟურიცხვი, და მოვიდა ქართლს წინაძღომითა ბაედარის ძისა ხოსიასითა: ეწყვნენ ქართველნი და თურქნი, მოკლეს მეფე გი და მისთანა ქვენაფნეველი იოანე, ყ-ნი მთაეარნი დიდებულნი ქართლისანი, და ლაშქარნი ს“დ დავოცნეს, საქართველო მოარბიეს და წარტყვენეს, თთვესა აგვისტოსა ჴ: ქ“კს, ჟა“. „პარიზის ქრონიკის“ ცნობა ზუსტად კიდევ ერთ ქრონიკაში მეორდება. თ. ჟორდანიაც შენიშნავს, რომ „ეს ცნობა... მეტად უცხობა“... „პარიზის ქრონიკის“ პირველ გამოცემაში აღნიშნული მეფის გიორგი ბრწყინვალესთან გაიგივება იმავე მ. ბროსემ მოგვიანებით უარყო და გამოთქვა არც თუ საფუძველს მოკლებული ვარაუდი: „ამ პერიოდში საქართველოში არ ჩანს არავითარი გიორგი მეფე. მაგრამ თვით ცნობა უახლოვდება 1407 წელს ვახუშტის ქრონიკონებში მოხსენიებულ ამბავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე ერთსა და იმავე მოვლენას ეხება და აქ შეცდომით არის მოთავსებული“ ვახუშტისთან ვკითხულობთ: „1407 — დიდი ომი იყო. მ“ფე გიორგი მოკლეს თურქთა, სრულიად ლაშქარნი მოსწყვიტნეს და ძმა მისი კოსტანტინე მ“ფდ დაჰდა“...

შესაძლებელია, 1373 წლის ცნობა საქართველოს მეფე გიორგი VII-ს ეხება, რომელიც იმავე ვახუშტის ჩვენებით, „ძლეურსა ბრძოლასა მოიკლა... თურქთაგან ქსა ჩუზ, ქართულსა ეე და მოსრნეს სრულიად სპანი მისნი. შემოვიდნენ და მოაოკრეს ქართლი მარბიელობით და წარვიდნენ“.

(С. С. Какабадзе, Хроника ксанских эриставов начала XV в. «Письменные памятники Востока», 1968, с. 108. Памятник эриставов, перевод, исследов. и примеч. С. С. Какабадзе, Тб., 1979, с. 16. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906, გვ. 854—855; თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტფ. 1897, II, გვ. 189; Chronique géorgienne, traduite par M. Brosset, Paris 1831, გვ. 2; Matériaux pour servir à l'histoire de la Géorgie depuis l'an 1201 jusqu'en 1755 par M. Brosset, Chronique géorgienne, Extrait des mém. de l'Acad. Imp. des sc. VI. sér sc. pol etc. T. V. St.-Petersbourg, 1841, გვ. 56; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამ. თბ., 1973, გვ. 276, 896).

1. 2. თემურმა თბილისი 1386 წელს აიღო, რაც მ. ბროსესაც აქვს შენიშნული (დაწვრილებით თხ. კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, 1974, გვ. 61).

8. იმერეთის მეფე გიორგი I (1389—1392). ცნობას სხვა ქრონიკებიც ადასტურებს (თ. ჟორდანია, ქრონიკები II, გვ. 192; ვახუშტი, გვ. 895).

4. არსებობს განსხვავებული ჩვენებებიც. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია 1393 წელი. (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 411; კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97, 98).

5. „პარიზის ქრონიკა“ მცდარად ათარიღებს აღნიშნულ მოვლენას. ასევე ცდება ზოგიერთი სხვა ქრონიკაც (თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 206). როგორც დადგენილია, კონსტანტინეს სიკვდილი 1412 წლის დასასრულით თარიღდება (ს. კაკაბაძე, დიდის ალექსანდრეს გამეფების თარიღი, ტფ., 1913; რ. კიკნაძე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 382; ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.) თბ. 1978, გვ. 135).

აქვე შევნიშნავთ შეუსაბამობას, რომელსაც ვახუშტი კონსტანტინეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით უშვებს, ავტორი ორჯერ იხსენიებს ამ ფაქტს 1401 და 1414 წლებში და ცნობებში მოხსენიებულ კონსტანტინეს სხვადასხვა მეფეებად მიიჩნევს: „1396 — თემურ და გიორგი მწფე შეიბნენ, თემურს გამარჯვა, და მოკუდა დადიანი ვამიყ, და დაჯდა ძე მისი მამია კად. გიორგი მწფის ძმა კოსტანტინე იმერეთს გამეფდა. 1401 — მწფე კოსტანტინე მოკლეს ჩალაღანს ანუ ჩალიანში. 1407 — ეწე — დიდი ომი იყო, მწფე გიორგი მოკლეს თურქთა, სრულიად ლაშქარნი მოსწყვიტნენა და ძმა მისი კოსტანტინე მწფდ დაჯდა. 1414 — მწფე კოსტანტინე მოკლეს თურქთა, და დაჯდა მწფედ ალექსანდრე ძე გიორგი მეფისა“ (ქ. ცხ. II, გვ. 896).

6. ამ წლიდან ქრონიკაში იწყება „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ცნობები.

სხვა წყაროების მონაცემების მიხედვით, თითქოს ეს ორი ცნობა არ უნდა იყოს ერთ თარიღში გაერთიანებული. ი. ჭავჭავიძე იხსენიებს ალექსანდრე I-ის მიერ ივანე ათაბაგის დატყვევების ვახუშტისეულ თარიღს — 1415 წელს და უფრო მისაღებად მიიჩნევს ქრონიკების 1414 წელს. ქ. შარაშიძე 1415 წელს ტოვებს. მაგრამ ყარა-იუსუფის თავდასხმას თომა მეწოფელი და სომხურ ხელნაწერთა ანდერძები ათარიღებენ 1416 წლით, რაც გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) თბ., 1961, გვ. 147; ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 28, 29; ა. აბდლაძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.) გვ. 34, 138-139).

7. ცნობას საფუძვლად უდევს ალექსანდრე I-ის (1412 — 1442) 1440 წლის სიგელი.

8. მკვლევრები ვახუშტის 1432 წელთან შედარებით უპირატესობას აძლევენ 1431 წელს (ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 427; ა. აბდლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145-147; ვახუშტი, ქ. ცხ. II, გვ. 896).

9. როდესაც პირველ გამოცემაში მ. ბროსე „პარიზის ქრონიკის“ ერთ-ერთ ნაკლად ქრონოლოგიურ უზუსტობას მიიჩნევდა, მოჰყავდა ერთადერთი მაგალითი — კონსტანტინოპოლის ალების თარიღი — 1444 წ., ნაცვლად 1453 წლისა. უ. სენ-მარტენის აზრით, აღნიშნულ ცნობაში შეცდომა დაშვებული უნდა იყოს თარიღის გადაყვანის დროს,

ვინაიდან ეს თარიღი, ჩვეულებრივ, დასაბამიდან წელთაღრიცხვით იყო ხოლმე მოცემული (J. Saint-Martin, ცხოვრება საქართველო-მსა, Tskhovreba Sakarthveloisa, Journal des Savants, Paris, 1831, გვ. 91, 92). „პარიზის ქრონიკა“ და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება იმეორებენ ქართული ქრონიკების 9 წლიან შეცდომას (იხ. ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, თბ., 1968, 98; თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 255). ასევეა ერისთავთა დაუჯდომელის ქრონიკაში“ (Е. Такайшаили, Хроника эристовского акафиста, СМОМПК, ХХІХ, 1901, გვ. § 13, 14).

10. შავბატნიან თურქმანთა გამგებლის ჯაჰან-შაჰის საქართველოში შემოჭრის ორი თარიღია მითითებული წყაროებში — 1440 წ. და 1444 წ. 1440 წელს უჩვენებენ ჰასან რუმლუ, თომა მეწოფეცი. ჰასან რუმლუს ცნობაში მხოლოდ თბილისია დასახელებული, თომა მეწოფეცის თანახმად კი ჯაჰან-შაჰმა სამშვილდეც აიღო და მოსახლეობას ხარაჯის გადახდა დააქისრა. احسن التواريخ تاليف حسن روملو. 4 اهتمام دكتور عبد الحسين نواعي، تهران، 1349، გვ. 242. Ф. Мещопский, История Тимур-Ланка, Баку, 1957, с. 83; ვ. გაბაშვილი, თურქმანები, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 227). ქართული და სომხური ქრონიკები იხსენიებენ 1444 წელს სამცხეში ლაშქრობას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ 1440 და 1444 წლებში შავბატნიანი თურქმანები საქართველოს ორჯერ შემოესივნენ. (ა. აბდლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70, 165).

11. ცნობა ეხება ვახტანგ IV-ს (1443—1446). პირველი გამოცემისას მ. ბროსემ იგი იმერეთის მეფე ვახტანგ I-ად მიიჩნია. მეორე თარგმანის შენიშვნის თანახმად კი, ის ქართლის ვახტანგია. ვახუშტი ვახტანგის გარდაცვალებას 1445 წლით ათარიღებს (ქ. ცხ. IV, გვ. 896). წყაროებში თანაბრად გვხვდება 1446 წ. და 1447 წ. თ. ჟორდანიას აზრით, ვახტანგი უნდა გარდაცვლილიყო ან 1446 წლის დამლევეს, ან 1447 წლის დამდევეს (თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 258). 1447 წლის 31 იანვარსა და 11 ივნისს შორის გამეფებულად მიაჩნია გიორგი VIII ს. კაკაბაძეს (ს. კაკაბაძე, ვახტანგ, უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი, თბ., 1912, გვ. 15). ი. ჯავახიშვილის დასკვნით, ორივე ფაქტი 1446 წლით უნდა დათარიღდეს (ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 43-44).

12. თეთრბატნიან თურქმანთა სახელმწიფოს ფუძემდებელი

(1453 — 1478). იგივე ცნობა „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გავრცელების გარდა არის ვრისთავთა დაუჯდომელის ქრონიკაში (გვ. 12, § 13. იხ. აგრეთვე თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 271). როგორც ჩანს, უზუნ-პასანის მბრძანებლობის პირველსავე წლებიდან იწყება მისი ლაშქრობები საქართველოში. თუმცა ასეთი ადრეული თარიღი უცხოურ წყაროებში არ გვხვდება. ამავე დროს, როგორც აღნიშნულია, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გავრცელებაში 1456 წლის შემოსევის გადმოცემა ემთხვევა ვახუშტისა და „სწავლულ კაცთა“ მიერ აღწერილ უკანასკნელ ლაშქრობას (იხ. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს-ის მეორე ნახევარში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1964, გვ. 117, 118; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამ. თბ., 1959, გვ. 342, 478).

13. ქრონიკათა ნაწილი 1461 წელს მიუთითებს, სხვები 1463 წ. „პარიზის ქრონიკა“ უფრო მეტად ქრონიკათა ცნობებს უახლოვდება, ვიდრე „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გავრცელება, რომლის თანახმადაც „შეიბნენ მეფე ბაგრატ იმერეთსა და ათაბაგს ყუარყუარეს გაემარჯვა“. წყაროები არ ეთანხმებიან ერთმანეთს ამ ამბის გადმოცემაში. ვახუშტის ცნობით, ჩიხორს მეფე გიორგი და ბაგრატ შეიბნენ და ბაგრატს გაემარჯვა და განდგა ათაბაგიც“. ჩანს, გიორგი VIII-სა და იმერეთის მეფე ბაგრატს შორის ბრძოლა და ყვარყვარე II-ის განდგომა და მის დასახმარებლად უზუნ-პასანის შემოჭრა საქართველოში ორი დამოუკიდებელი ფაქტია. „რაკი ყველა წყაროს მოწმობით, ბრძოლა ჩიხორში მომხადარა, ამიტომ უფრო საფიქრებელია იმერეთში მდებარე ჩიხორში ყოფილიყოს ომი. მაშასადამე, თვით ბრძოლაც მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის უნდა მომხდარიყო...“ (ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 83; თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 281; ა. აბდლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 168—170; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 27, 37, 98; ვახუშტი ქ. ცხ. IV; გვ. 897).

14. პირველ თარგმანში მ. ბროსემ „გილაქმა“ უცნობ ზმნად მიიჩნია და ვერ თარგმნა, ხოლო შემდეგ ვახუშტის გავლენით ცნობა თარგმნა შემდეგნაირად: „გილაქ თავრიზელი და თემური (თავს დაესხნენ) ქართლის მეფეს და დაარბიეს“—(Gilak de Tauris et Thémour (attaquent) le roi de Karthli et ravagent...) (მეორე თარგმანი, გვ. 58). შენიშვნაში აღნიშნულია — „ფრაზა დაუმთავრებელია“. ვახუშტის „თავრიე“, „გილაქ“ და „თემურ“ გაგებული აქვს სარდლუ-

ბის სახელებად: „თავრიჲ გილაქმან და თემურ მოაოხრეს ქართლი და საგანძურნი მეფისანი“ (ქ. ცხ. IV, გვ. 286; იხ. აგრეთვე Вахушти Багратиони, История царства грузинского, перевел, снабдил предисловием, словарями и указателем Н. Т. Накашидзе, Тб. 1976, გვ. 229, 295). „პარიზის ქრონიკის“ ცნობა ორნაირად შეიძლება გავიგოთ: ერთ-ერთი თავდასხმის დროს თემურმა დალაშქრა თავრიზი, გილანი და საქართველო, ან, პირიქით, ქართველმა მეფემ დაარბია გილანი და თავრიზი. თემურსა და თემურიანებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში რამდენიმეჯერ შეიქმნა ვითარება, როდესაც დასაშვები იყო ერთიც და მეორეც. (ვ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ... გვ. 61, 88, 94—98, 101, 102; რ. კიკნაძე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, გვ. 379; Д. Ибрагимов, Феодалные государства на территории Азербайджана XV века, Баку, 1962, გვ. 24). როგორც აღინიშნა, გიორგი VIII-ს დალაშქრობა 1463 წელს მძიმე შინაური ვითარების პირობებში გამოირიცხული ჩანს (ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, 99, 100). იქნებ ქართული წყაროების ამ „ძნელად ასახსნელი ანაქრონიზმის“ გასაღები კასტილიელი ელჩის რუი გონზალეს კლავიხოს შემდეგი ჩანაწერი იყოს. ავტორის გადმოცემით, რაც ეკუთვნის პერიოდს 1405 წლის თებერვლიდან 22 აგვისტომდე, საქართველოს მეფე „შეიქრა ყარსისა და არზრუმის მიწაზე, რომლებიც დიდ სომხეთში არიან, მივიდა თავრიზამდე, გაძარცვა და გადაწვა მრავალი ქალაქი და სოფელი, რითაც დიდი შიში გამოიწვია“... ამ ხანის საქართველოში საშინაო ვითარებისა და თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ შექმნილი ვითარების ანალიზის საფუძველზე ე. მამისთვალიშვილი სავსებით დასაშვებად მიიჩნევს საქართველოს მეფის აღნიშნულ დალაშქრობას, რომელიც, მისი აზრით, თავდაპირველად სამცხის განდგომილ ათაბაგ ივანეს წინააღმდეგ უნდა დაწყებულიყო (ე. მამისთვალიშვილი, რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, 1971. „მნათობი“ № 8, გვ. 122, 123). კლავიხოს ცნობას თითქოს მხარს უჭერს ირანელი ავტორი მირზონდიც (ვ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, გვ. 216—217).

15. ივულისხმება სრულიად საქართველოს მეფის გიორგი VIII-ს შეპყრობა ყვარყვარე II-ის (1451—1498) მიერ. მ. ბროსეს თაგმანი — „მეფემ შეიპყრო ყვარყვარე“ — ზუსტი არ იყო. მეორე თარგმანში მან შეასწორა ეს უზუსტობა. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში შეცდომით იხსენიება „მეფე

ბაგრატ იმერეთისა“ (იხ. თ. ყორღანია, ქრონიკები, II, 284; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 87; ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები გვ. 100).

10. ქრონიკის მეორე თარგმანში მ. ბროსეს შენიშვნით, ეს გულქანი არც ერთ ქრონიკაში არ იხსენიება, ხოლო სხვაგან გამოთქმული მისივე ვარაუდის თანახმად, ეს დედოფალი ალექსანდრე დიდის უმცროსი ვაჟის დიმიტრის მეუღლე გულანშარია (მეორე თარგმანი, გვ. 58; მისივე Histoire de la Géorgie, I, SPb., 1849, გვ. 684, შენ. 5; ქ. ცხ. II, გვ. 476; თ. ყორღანია, ქრონიკები, II, გვ. 289—290; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 37, 100).

17. როგორც დადგენილია, ყვარყვარე II-ის მესამე ვაჟი ბაადური დაიბადა 1453 წელს, გარდაიცვალა 1474 წლის 10 ოქტომბერს (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 134—136; მისივე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.) „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954, გვ. 200). თ. ყორღანია სარგებლობს „პარიზის ქრონიკის“ ზ. ჰიჰინაძის გამოცემით, სადაც შეცდომით მითითებულია 1478 წ. და შენიშნავს: „ზემო ქრონიკებში ბაადურის სიკვდილი აღნიშნულია 1475 წ. და რომელი წელი უფრო ჰქმნა რიტია, ეს კიდევ საძიებელია“ (თ. ყორღანია, ქრონიკები, II, გვ. 297-298). „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაშია — ექუსიათას ცხრაას ოთხმოცდაროი (1474 წ.), ხოლო ქორონიკონი მცდარია 1475 წ.). ასევეა, როგორც ჩანს, „პარიზის ქრონიკაშიც“, თუმცა მ. ბროსესა და ზ. ჰიჰინაძის გამოცემებში მითითებულია ექუსიათას ცხრაას 1476 (6992), რაც არ უნდა იყოს სწორი. ქრონიკის გადამწერი 1-ს და 3-ს ერთნაირად წერს, ამიტომ ხშირად მათი გარჩევა მხოლოდ ძირითადი წყაროს მონაცემების საფუძველზე ხერხდება.

18. კონსტანტინე II, დიმიტრის ძე (1479 — 1505). თუმცა არსებობს განსხვავებული თარიღებიც — 1461 წ., 1469 წ., უპირატესობა ეძლევა 1478 წელს. (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 124—7).

19. ზუსტად ემთხვევა ერისთავთა დაუჯდომელის ქრონიკის ცნობას (გვ. 13, § 15). არადეთის ბრძოლა საგანგებოდ შეისწავლა ს. ხოსიტაშვილმა (სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ისტორიიდან (XV-XVI სს.) „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, თბ., 1972, გვ. 163 — 171; ცნობები არადეთის ბრძოლის შესახებ იხ. თ. ყორღანია, ქრონიკები, II, გვ. 302; ი. ჯავახიშვი-

ლი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 136 — 140; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 101, 37).

20. ეს და მომდევნო 1486 წლის ცნობა ერთსა და იმავე ლაშქრობას ეხება. თეთრბატნიანთა გამგებლის იაყუბ-ყაენის პირველი თავდასხმის სხვადასხვა თარიღებია წყაროებში. „პარიზის ქრონიკის“ შემდგენელი ამ შემთხვევაში ქრონიკებს ეყრდნობა. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ცნობა დეტალიზებულია და დათარიღებულია 1485, 1486 წლებით. ვახუშტი 1486 წლის შემოსევაზე მოგვითხრობს. ი. ჭავჭავიძე ტოვებს ამ თარიღს. რ. კიკნაძის დასაბუთებით უფრო მეტი საფუძველი აქვს ირანელ ავტორთა აღრეულ თარიღებს — ჰასან რუმლუს 888 (1483) წ. და განსაკუთრებით აჰმედ ბ. მოჰამედ ალ-ყაფარი ალ-ყაზვინის 887 (1482 წლის ოქტომბერ-ნოემბერი), რასაც მხარს უჭერს იბნ რუზბეჰანის დაუთარიღებელი ცნობაც. (ვახუშტი, ქ. ცხ. IV, გვ. 898; თ. ჟორდანი, ქრონიკები II, გვ. 304; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 27, 33, 37, 45, 47, 102; ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 142—4; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოზე შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 50; რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს-ის მეორე ნახევარში, გვ. 126-127).

21. ცნობა გარკვეული სხვაობებით არის ვახუშტისთან, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში და ქრონიკებში (ქ. ცხ. II, გვ. 486; ვახუშტი, ქ. ცხ. IV, 1488 — გვ. 387; თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 307). თურქმანთა შემოსევების შესახებ ამ პერიოდში ცნობებს გვაწვდის ჰასან რუმლუ. (ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 18), დაწვრილებით ცნობა გაანალიზებული აქვს ი. ჭავჭავიძელს (ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 140 — 142).

22. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში მითითებული სექტემბერი შეცდომა უნდა იყოს. ყველა დანარჩენი წყაროს თანახმად, დედისიმედი დეკემბერში გარდაცვლილა. „პარიზის ქრონიკა“ უთითებს მცდარ წელს და რიცხვს. იწ (15)-ს ნაცვლად უნდა ყოფილიყო იწჟ. (18). ათაბაგთა ქრონიკის მონაცემებით, ყვარყვარე II-ის პირველი მეუღლე გარდაცვლილა 1489 წ. 18 დეკემბერს, პარასკევს (ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს. გვ. 200). ზოგიერთი ქრონიკა 1490 წ. უთითებს (ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 55, 102).

23. იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის (ტ. II, თბ., 1977. 130) მიხედვით, მისი გამგებლობის წლებია 1510—1565. თ. ბერაძის გამოუქვეყნებელი ნაშრომის მიხედვით, 1510—1548 (Хронология и генеалогия имеретинских царей). ზ. ჭიჭინაძის გამოცემაში თარიღი მცდარია—რ¹ჟგ, რამაც გამოიწვია თ. ჟორდანიას შენიშვნა: ეს ცნობა 10 წლით სტყუის. უნდა იყოს ქ¹კს რ¹პგ. (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 324—325).

24. „ქ. ცხ“. გადაკეთებული გაგრძელების მსგავსად, ქრონიკაშიც უნდა ყოფილიყო ჩანს მ — რ¹პმ. ასეთსავე მცდარ თარიღს უთითებს ვახუშტი (გვ. 898). ქრონიკებში ვვაქეს 1498 წ. და 1496 წ. (ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 26, 33, 37, 39, 55, 102). ქ. შარაშიძის დასკვნით, ყვარყვარე II 1498 წლის 1 ივლისს, კვირას გარდაცვლილა. (ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 200).

25. ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალების ზუსტი თარიღია 1500 წლის 6 მაისი, ოთხშაბათი (ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 200; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 318). ვახუშტისთან 1502 წელია (ქ. ცხ. IV, გვ. 898; იხ. აგრეთვე ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, სადაც გვხვდება 1500, 1502 და 1499 წლები, გვ. 39, 47, 55, 102, 103).

საინტერესოა თ. ჟორდანიას შენიშვნა ამ ცნობასთან დაკავშირებით: „ცხადია, რომ ამ უკანასკნელს ქრონიკას (იგულისხმება „პარიზის ქრონიკა“—გ. ა.) შეცდომაში შეუყვანია ვახტანგ-ვახუშტიცა“... ე. ი. მკვლევრის აზრით, „პარიზის ქრონიკა“ უსწრებს ვახუშტისა და ვახტანგის (ე. ი. „სწავლულ კაცთა“) ნაშრომებს და არის მათი ერთ-ერთი წყარო.

26. ასევე ათარიღებს კონსტანტინე II-ის გარდაცვალებას „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება (ქ. ცხ. II, გვ. 486) და ერისთავთა დაუჯდომელის ქრონიკა (გვ. 13, § 16). გვხვდება 1504 და 1505 წლებიც. ქართულ ისტორიოგრაფიაში უპირატესობა ეძლევა ვახუშტის თარიღს — 1505 წ. (ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 205); თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 320; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 37, 103; ვ. გუჩუა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973; გვ. 93).

27. ცნობა გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ

ვაგრძელებაში (ქ. ცხ. II, გვ. 487). თუ მისი წყარო გელათური ქორონიკონია, მოსალოდნელი იყო, რომ ვახუშტისთანაც ყოფილიყო, მაგრამ არ არის.

28. იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის მიერ გორის აღება და ოსმალთა შემოჭრა ასახულია სხვა წყაროებშიც, განსხვავებული თარიღებით. ქართული და ოსმალური მასალის საფუძველზე მ. სვანიძე უპირატესობას აძლევს 1510 წელს (მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII თბ., 1971, გვ. 44; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 209; თ. ჟორდანიას, ქრონიკები II, გვ. 326-327; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 37, 44, 56, 68, 74, 103).

29. „პარიზის ქრონიკის“ თარიღი მცდარია რაჟე, რაჟე-ს ნაცვლად, რაც მ. ბროსესაც აქვს შენიშნული (მეორე თარგმანი, გვ. 59, შენ. 4).

30. იგულისხმება იმერეთის მეფე ალექსანდრე. ამ ხანაში დასავლეთ საქართველოს მეფეებიც თავის თავს მეფეთ-მეფეებად იხსენიებენ (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 208).

31. ბაგრატ III (1510—1565), იმერეთის მეფე, თ. ბერაძის აზრით, 1510—1548 წლებში (Хронология и генеалогия имеретинских царей).

32. მზეჭაბუკი — სამცხის ათაბაგი 1500—1515:

33. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ ვაგრძელებაში ეს ცნობა გადმოცემულია ვრცლად (ქ. ცხ. II, გვ. 487—489).

34. როგორც ცნობილია, ავ-გიორგი შეიპყრო ქართლის მეფის დავითის უმცროსმა ძმამ ბაგრატმა (ქ. ცხ. II, გვ. 351, 489; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 331-332; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 95-96).

35. თარიღში დაშვებულია ერთწლიანი შეცდომა. ასევეა ვახუშტისთანაც და ზოგიერთ ქრონიკაში. მზეჭაბუკის გარდაცვალების ზუსტი თარიღია 1515 წ. 5 ივნისი, სამშაბათი (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები... გვ. 137, მისივე, საქართველოს ისტორიის მასალები... გვ. 198; იხ. ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 104; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 334).

36. ამ თავდასხმის შესახებ ცნობებს გვაწვდის ჰასან რუმლუ (გვ. 54-55). აღნიშნულ ლაშქრობაში შაჰის პირადად მონაწილეობას სპარსული წყაროები უარყოფენ. მათ მონაცემებზე დაყრდნობით, დ. კაციტაძე განმარტავს: „XVI ს-ის პირველ მეოთხედში საქარ-

თველოს თვით შაჰ-ისმაილი არ შემოსევია. იგი მხოლოდ ნახჭევანამდე მოვიდა და შემდგომ დიე-სულთანი გამოგზავნა, რომელმაც რამდენიმე ციხე-ქალაქი აიღო“ (დ. კაციაძე, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (შაჰ-ისმაილ I საქართველოში ლაშქრობის საკითხისათვის), თსუ შრომები, 108, თბ., 1964, გვ. 394).

37. ცნობა რამდენიმე ქრონიკაში გვხვდება (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 335). არის აგრეთვე ცნობები 1519 წ. გელათში ეპისკოპოსად მელქისადეკ საყვარელიძის ხელდასმის შესახებ (ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 104, 68; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, II, თბ., 1913, გვ. 45).

38. იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატ III.

39. დავით X-ის გარდაცვალების ასეთსავე თარიღს უთითებენ სხვა წყაროებიც (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 357; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 104; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, წიგნში: XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 85-86).

40. მ. ბროსეს განმარტებით, ვახტანგი მუხრანის უფლისწულის ბაგრატის შვილია.

41. მ. ბროსეს შენიშვნით, „ფრაზა დაუმთავრებელია“ — მთარგმნელი აქ ფრჩხილებში უმატებს სიტყვას „მიცემად“ (conferer — „ბოძება“) (მე-2 თარგმანი, გვ. 61). ერთ-ერთი ცნობაა, რომლის წყაროდ ივარაუდება „გელათური ქორონიკონი“. ცნობა ზუსტად ასეთივე სახით მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში გვხვდება. (ქ. ცხ. II, გვ. 493).

42. მოლარეთუხუცესი სარგისი თავის ცოლთან ერთად გამოსახულნი არიან გელათის სოხასტრის ღვთისმშობლის ხატზე წარწერით. ეს პირი იხსენიება გელათის სოხასტრის მეორე ხატის წარწერაშიც. (იხ. მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის მუზეუმის მასალებიდან, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971; გვ. 154—156).

თ. ჟორდანიას მითითებით, მისი გარდაცვალების თარიღია 1529 წ. 11 ივლისი (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 354).

43. „პარიზის ქრონიკის“ თარიღი უფრო ზუსტია, ვიდრე ვახუშტის 1532 წელი (ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 55, 105). როგორც თ. ჟორდანიამაც შენიშნა, 1533 წ. 31 იანვარი მართლაც პარასკევი იყო (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 379).

44. მ. ბროსეს გაგებული აქვს სახელად — ცანცია ინალ Thandia Inal (მე-2 თარგმანი, გვ. 61). თ. ჟორდანიას სვამს ფრჩხილებში

შეკითხვას (ინალიფა?). ჩვენ უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია „პარიზის ქრონიკისა“ და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული ვაგრძელების „ინალდაფითა“, „ინალდიფითას“ დაკავშირება თურქულ სიტყვასთან inan — რწმენა, ნლობა, გარანტია, inal — ადამიანი, რომელიც იმსახურებს ნლობას.

45. განდობა — „გადაბირება, მიმხრობა“ (იხ. ს. ყაუხჩიშვილის ლექსიკონი, ქ. ცხ. II, გვ. 551). ე. ი. მთელი გამოთქმა დაახლოებით ასე შეიძლება ვივარაუდოთ: ნლობით გადაბირა.

46. იგულისხმება კახთა მეფე ლევანი (1518 — 1574). მკვლევართა აზრით, ეს თარიღი უფრო სანდოა, ვიდრე ვახუშტის 1527 წელი (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 227; ვახუშტი, გვ. 899).

47. ყვარყვარე III (1515 — 1535 წ.) და ბაგრატ III, იმერთა მეფე. თუმცა ქრონიკები 1536, 1537 წლებსაც უთითებენ, „პარიზის ქრონიკა“ ამ შემთხვევაში უფრო სანდოა. როგორც თ. ჟორდანიამ შენიშნა, „რადგან 12 აგვისტოს ხუთშაბათი მართლა 1535 წელს მოდიოდა, ამის გამო დასაჯერებელი არ არის სხუათა... ქრონიკათა მოწმობა, ვითომ ეს ამბავი მომხდარ იყოს 1536 წ., ანუ 1537 წ.“ (თ. ჟორდანი, ქრონიკები..., II, გვ. 381-382; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 105; მურჯანთის ბრძოლას მიმოიხილავს ს. ხოსიტაშვილი, XV-XVI სს. სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 171 — 176).

ამ წლის ცნობასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს თ. ჟორდანიას შენიშვნა: ერთ-ერთი ქრონიკის ცნობის მოტანისას (წმინდა გიორგის გულანის) მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას: „ეს ქრონიკა, როგორც სხვებიც ამ წყაროდან ამოღებულები, სიტყვა-სიტყვით თითქმის სრულად შეუცვლელად შეტანილია Chron. Géorg. გვ 3, 7; აქედან ჩანს, რომ უკანასკნელი შედგენილია სხვადასხვა ქრონიკებისაგან, როგორც ჩვენ ამას ცხადად ვამტკიცებთ...“ (თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 381).

48. ოსმალთა აღნიშნულ შემოსევაზე სამცხეში მოგვითხრობს ჰასან რუმლუ (ჰასან რუმლუს ცნობები... გვ. 23) 949 1542/3 წელს. ქართულ წყაროებში მითითებულია 1541 და 1542 წლებიც. (თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 387; ვახუშტი, ქართლის ცხ. IV, გვ. 899; ქ. შარაშიძე 1541 წელს უთითებს — ეყრდნობა ვახუშტის ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები.

გვ. 150; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან., გვ. 58).

49. ქაიხოსრო II (1545 — 1573) — სამცხის ათაბაგი.

50. მ. ბროსეს განმარტება („ორი ფაშა“ — იმერეთის, მეორე თარგმანი, გვ. 62) გაუგებარია.

51. ქართული წყაროების წინააღმდეგობრივი ცნობები სათანადოდ კომენტირებულია მკვლევართა მიერ. ვახუშტის მიხედვით, ქართველთა მხარეზე იმერეთის მეფე ბაგრატსა და ქართლის მეფე ლუარსაბს გარდა იბრძოდა ათაბაგი ქაიხოსროც. ბუნდოვანია „პარიზის ქრონიკისა“ და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ჩვენებაც, რაშიც სინათლე შექმდეგი ქრონიკის ცნობას შეაქვს: „ქქსა სღგ: ლუარსაბ და ბაგრატ მეფენი ბასიანს სოხოისტაზედ ორს ფაშას და ქაიხოსრო ათაბაგს შეებნენ. ქართველთ დაუმარცხდა, ქაიხოსრომ სამცხე დაიჭირა“ (თ. უორდანი, ქრონიკები, II, გვ. 387; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 58; გ. ტივაძე, საქმე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში, „მნათობი“, 1947, № 10, გვ. 132). ქარაღაქისა და სოხოისტას ბრძოლებს 1543—1545 წლებში შეეხო ს. ხოსიტაშვილი (დასახ. ნაშრომი, გვ. 176 — 186). ჰასან რუმლუს მიხედვით, ოსმალთა ეს ლაშქრობაც წინა ამბის გაგრძელებაა: წ. 950 (1543/4) — როცა მუსა-ფაშას დამარცხების „ამბავმა სულთან სულეიმანამდე მოაღწია, მან მოთამარიდ ალი-ფაშა გაგზავნა საქართველოზე მრავალრიცხოვანი ჯარით... ქართველები დამარცხდნენ და გაიქცნენ“... (გვ. 24-25).

სოხოისტას ბრძოლაზე ვახუშტი მოგვითხრობს: „ქაიხოსრო და ოთარი ლტოლვილნი წარვიდნენ კუალად სტამბოლს. ამისი მსმენელი სულტანი განრისხნა მოწყუედისათჳს სპათა თჳსთა და წარმოავლინა აზრუმისა და დიარბექირის ფაშანი სპითა სუაზს აქათითა და ქაიხოსრო და ოთარი მათთანავე“.—ცნობაში სუაზს (სუზას—ვარიანტი) ნაცვლად უნდა იყოს, როგორც ჩანს, სივასს, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობის ანალოგიით (იხ. დ. კაციტაძე, ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიის“ რამდენიმე გეოგრაფიული სახელის დადგენისათვის „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1963, გვ. 81—87, გვ. 85: ვახუშტი, ქ. ცხ. IV, გვ. 713).

52. 1548 წელს სულთან სულეიმანმა ახალი ლაშქრობა დაიწყო ირანის წინააღმდეგ; ამ ომის დროს საქართველო საკმაოდ ხშირად ხდებოდა ხან ირანის, ხან ოსმალეთის აგრესიის მსხვერპლი.

1549 წლის გაზაფხულზე სულთანმა არზრუმის მირმირანი მეჰმედ-ფაშა გამოგზავნა სამცხის დასარბევად. 1549 წლის 25 აგვისტოს ზამეორდა ოსმალთა თავდასხმა აჰმედ-ფაშას ზელმძღვანელობით. ეს ლაშქრობა 1551 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე სამცხეში შაჰ-თამაზი არ შემოიჭრა ქაიხოსრო ათაბაგის თხოვნით. ამ ამბავს 1551 წლის თარიღით უფრო დეტალურად და მეტი სიზუსტით გადმოგვცემენ ჰასან რუმლუ და ისქანდერ მუნში (ჰასან რუმლუს ცნობები, 26-29, 31; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969 გვ. 17-19; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 68-70).

სპარსული წყაროების მიხედვით, მოქმედი პირნი არიან ვახუშტი ქართველი და შერმაზან ოღლი (ჰასან რუმლუს ცნობები, 29), ლუარსაბ, ვახუშტი და შერმაზან ქართველი (ისქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 18). ქართულ წყაროებში მათი სახელები დამახინჯებულია. ფ. გორგიჯანიძესთან არის „შერმაზან და ავალი“, რაც რ. კიკნაძის აზრით, შერმაზან ოღლია (ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 60). ვახუშტისთან ერთგან იჭუ, შერმაზან და ვახუშტი ღიასამიძე, ან იჭუ, შერმაზან, ვახუშტი და ამოვან (ქ. ცხ. IV, გვ. 900, 404, 716), „სწავლულ კაცთა“ ნაშრომში ომან, შერმაზან, იეჯუზ (ქ. ცხ. IV, გვ. 364). „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში—ვახუშტი ღიასამიძე და ამოან, ან ომან, შერმაზან და იეჯუშ (ქ. ცხ. II, გვ. 500, 506). რ. კიკნაძის აზრით, იეჯუზ — იეჯუშ — იჭუ — ვახუშტია (ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 60) მ. ბროსეს აღნიშვნით, „ქ. ცხ-ის“ ომან არის იგივე ვახუშტისა და „პარიზის ქრონიკის“ ამოან“ (Histoire de la Géorgie, II, 1, 346, შენ. 3, St.-Petersbourg, 1856).

ამჟამად ძნელია შერყვნილი ხელნაწერების საფუძველზე ზუსტი სურათის აღდგენა. იქნებ ერთ-ერთი მონაწილე მართლაც ომანი იყო. არ გამოვრიცხავთ მეორე შესაძლებლობასაც, რომ ქართულ წყაროებში მოხსენიებული ამოან, ომან, ამოვან იგივე შერყვნილი შერმაზანია, და ბრძოლის შედეგად შაჰის მიერ დასჯილი პირები არიან ლუარსაბი, ვახუშტი ღიასამიძე და შერმაზანი.

53. ცნობა საეჭვოა. მსგავსი რამ არ გვხვდება არც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში. როგორც ცნობილია, დაუდ-ხანი „წაუვიდა“ არა მამას, არამედ ძმას, სიმონს. ჰასან რუმლუ ამ ფაქტს ზუსტად ათარიღებს — 969 (1561/2) წლით. „ამ წელს რაბი ოს-სანის თვის ჩვიდმეტს (ე. ი. 1561 წ. 25 დეკემ-

ბერს — გ. ა.) დავით-ბეგი, ლუარსაბის შვილი რამდენიმე აზნაურით საქართველოდან ყაზვინს მივიდა [და] მუსლიმი გახდა. რჯულის საფარველმა შაჰმა თბილისის გამგებლობა მას უწყალობა. (ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 37);

54. ცნობის მიხედვით, თითქოს 1553 წელს დაუდ-ხანის თხოვნით შაჰმა ქართლი დაარბია, თუმცა გაუგებარია რატომ მიიჩნევა ავტორი ამ ფაქტს შაჰ-თამაზის პირველ ლაშქრობად. ირანელთა ამ ლაშქრობას არც ერთი წყარო არ ადასტურებს.

55. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ეს ამბავი გადმოცემულია ვრცლად, მცდარი თარიღით — ს^მდ (1556) (ქ. ცხ. II, გვ. 505). ცნობები შაჰის ლაშქრობის შესახებ არც ჰასან რუმლუსა და ისქანდერ მუნშისთან 961 (1553/4) წლის მოვლენებში (ისქანდერ მუნშის ცნობები, 19—21; ჰასან რუმლუს ცნობები, 32—34; იხ. აგრეთვე თ. ყორდანი, ქრონიკები, II, 399; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., IV, გვ. 249—251; მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70—78).

56. ქართული ქრონიკები უთითებენ 1556, 1557, 1558 წლებს. 963 (1555/6) წლით ათარიღებენ ამ ფაქტს ჰასან რუმლუ (ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 34) და ისქანდერ მუნში (ისქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 22). ისტორიოგრაფიაში უპირატესობა ეძლევა 1556 წელს (თ. ყორდანი, ქრონიკები II, გვ. 400; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 252—256; ერისთავთა დაუჯდომელის ქრონიკა, გვ. 15; ვ. გუჩუა, საქართველო XVI ს. 50—70-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 114), „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ცნობა დაწვრილებით არის გადმოცემული 1558 წლით (გვ. 508—510), ბრძოლის ადგილად დასახელებულია გარის ვარხუნა, ისევე როგორც ფარსადან გორგიჯანიძესთან (ს. კაკაბაძის გამ. გვ. 216). ჰასან რუმლუს ცნობით, ლუარსაბ ქართველი გორიდან გამოვიდა და ქუმეშის ციხის მიდამოებში მივიდა (كوش), ისქანდერ მუნშისთან — لو هيس.

57. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში თარიღია ს^მმ (ქ. ცხ. II, გვ. 510). ასევე უნდა იყოს „პარიზის ქრონიკაში“ და ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც აღდგება (წ. 1560) (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 117).

58. იგულისხმება ყარაბაღის გამგებლის შაჰვერდი-სულთან ზიად-ოღლის თავდასხმა, რის შესახებაც მოგვითხრობენ ჰასან რუმლუ (ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 36) და ისქანდერ მუნში (ის-

ქანდერ მუნშის ცნობები. გვ. 23). „პარიზის ქრონიკის“ ცნობა ზუსტად ემთხვევა ერისთავთა დაუქდომელის ქრონიკას (გვ. 15, § 26). დეტალურად გადმოგვცემს ამ ამბავს „ქ. ცხ-ის“ გადაკეთებული გაგრძელება (ქ. ცხ. II, გვ. 510—512; იხ. აგრეთვე თ. უორდანი, ქრონიკები, II, 402; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 257 — 258).

59. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ეს ამბავი გადმოცემულია ვრცლად (ქ. ცხ. II, გვ. 513). ცნობა არის ჰასან რუმლუსთანაც (ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 38) 975 (1567/8) წლით (თ. უორდანი, ქრონიკები, II, გვ. 468).

60. ი. ჯავახიშვილი ცნობათა ანალიზით მიდის დასკვნამდე, რომ ეს ბრძოლაც იმავე 1567 წელს უნდა ყოფილიყო. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ეს ამბავი ოდნავ ვრცლად არის (ქ. ცხ. II გვ. 513).

61. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ეს ამბავი გადმოცემულია დეტალურად (ქ. ცხ. II, გვ. 513, 514). ცნობები არის ჰასან რუმლუსა (ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 38) და ისქანდერ მუნშისთან 976 (1568/9) წლით (ისქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 23).

62. უპირატესობა უნდა მიეცეს სპარსულ წყაროებს, რომელთა თანახმად 1562 წელს დავითი თბილისის გამგებლად დანიშნულა. რ. კიკნაძის აზრით, დავითი თბილისში 1562 წლის 30 აგვისტომდე დაბრუნებულა (ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 64). ხოლო სიმონ I-ის დატყვევების შემდეგ 1569 — 1578 წლებში დაუდ-ხანი უკვე მთელი ქართლის გამგებლად ითვლებოდა.

63. აქედან „პარიზის ქრონიკაში“ იწყება „მესხური მატიანის“ ცნობები. სწორედ ეს ცნობა ძირითად წყაროში მოცემულია განსხვავებული თანმიმდევრობით. „პარიზის ქრონიკა“ ზუსტად იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებას. (ქ. ცხ. II, გვ. 514).

64. ძირითადი წყაროს „ფებერვალი“ გადმოტანილია როგორც „თებერვალი“.

65. „მესხურ მატიანეში“ არ არის სიტყვები „მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი“. ამას „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება (ქ. ცხ. II, გვ. 514) და „პარიზის ქრონიკა“ უმატებენ.

66. ცნობა არ არის „მესხურ მატიანეში“. „ქართლის ცხოვ-

რების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში არის უფრო ვრცლად (ქ. ცხ. II, გვ. 515). ბრძოლის ადგილად „ქ. ცხ“-ის გადაკეთებული გაგრძელება თორღას ასახელებს. ასეთივე თარიღი და ცნობაა ერისთავთა დაუჯდომელის ქრონიკაში (გვ. 15), ბრძოლის ადგილად დასახელებულია ჭაური. ალექსანდრე II სიგელებიდან გამომდინარე მისი გამეფების თარიღია 1574 წელი. ასევეა ვახუშტის მიხედვითაც (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 262; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 122; ვახუშტი, ქ. ცხ. IV, გვ. 901).

67. თამაზ I (1524—1576)— ირანის შაჰი სეფიანთა დინასტიიდან.

68. ალიხანი—ი. ჰამერის ცნობით, ქართველი დიდებული (E. Такайшвили, Три хроники, СМОМПК, XXVIII, с. 191, прим. 3; ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები... 42; ე. მამისტვალისვილი, სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები (1576—1578 წწ.) „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1977, № 4, გვ. 110).

69. ჯარგაზმა, ჩანს, დამახინჯებული „ჩერქეზმა“ უნდა იყოს. უფლისწულ ისმაილის მომხრეთა შორის ერთ-ერთი მთავარი იყო შაჰხალ-სულთან, ჩერქეზთა ბელადი (ე. მამისტვალისვილი, სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები, გვ. 110).

70. უსთაჯლუ, ავშარი — ყიზილბაშური ტომები (ყიზილბაშურ ტომებზე იხ. И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—нач. XIX вв. Л., 1949, с. 90—92).

71. თიმახი — оутак (თურქ.) ტომია.

72. ჰაიდარ მირზა — შაჰ-თამაზის მეხუთე ვაჟი.

73. კაჰკაჰა — ციხე-სიმაგრე, სეფიანთა დროის სახელმწიფო დამნაშავეთა საპყრობილე, სადაც დაცული იყო აგრეთვე სახელმწიფო ხაზინაც.

74. „პარიზის ქრონიკაში“ მცდარი რიცხვია. უფრო სწორია 38.

75. ნაწყვეტი „და დასვეს... და ლაშქარი სთხოვა“ არ არის „მესხური მატრიანეს“ მიხედვით. ცნობა სიტყვა-სიტყვით მეორდება „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში (ქ. ცხ. II, გვ. 517, 518).

76. შაჰ-ისმაილ II (1576 — 1578) — ირანის შაჰი.
77. სიმონ I (1556—1569; 1578 — 1600) — ქართლის მეფე.
78. ყვარყვარე II — სამცხის ათაბაგი 1574 — 1581 წლებში.
79. მგელციხე იხსენიება „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარ-ში“ (ს. ჭიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ, 1958, გვ. 426, შემდგომში ს. ჭიქია, III).
80. „სამწუბთ ლელეში დავდეგით“ — ასევე პირველ პირშია „მესხურ მატიანეშიც“.
81. ქ. შარაშიძე დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ამ ადვილას ოლადის ქვაბი უნდა იყოს და არა ოლთის (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 119, ოლადის ქვაბის შესახებ იხ. ს. ჭიქია, III, გვ. 414).
82. „ვარაზაშვილის კოკოლასა“ მ. ბროსე თარგმნის, როგორც ვარაზა კოკოლას ვაჟი“ (Waraza fils de Cocola).
83. ცნობილი იყო ზემო და ქვემო ბორგი (ს. ჭიქია, III, გვ. 535).
84. მ. ბროსეს თარგმანშია „იარა და აცნობა ყანდურალის, უგუბო დოლენჯის ვაჟს (Il partit et fit dire à Quandour-Ali, fils d'Ougoubou Dolendji). შესაძლებელია, მ. ბროსეს თარგმანის გავლენითაც, ე. თაყაიშვილის „მესხური მატიანის“ რუსულ თარგმანში უგუბო გაგებულია დოლენჯიშვილის სახელად (Е. Такайшвили, Три хроники, 193), რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ქ. შარაშიძის შენიშვნა (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 43). მკვლევრის აზრით, სამცხის მატიანის „უგუბო“ — იგივე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ „გუგუბაა“. ს. ჭიქიას აღნიშვნით, „გუგუბა — Гюгюба ყველა დიდ რუჟაზეა აღნიშნული. იგი არტანუდან 28 ვერსზეა..., ქართული სახელი გუგუბა უნდა ყოფილიყო“ (იხ. ს. ჭიქია, III, გვ. 532, 533).
85. ივნისს ლ (30) — მ. ბროსეს შენიშვნით, ეს თარიღი არ ეთანხმება ქრონიკის მომდევნო თარიღებს (მ. ბროსე, მეორე თარგმანი. გვ. 66). ჩვენი გამოთვლით, 1576 წლის 30 ივნისი, მართლაც შაბათი იყო.
86. მანუჩარი — დაიბადა 1550 წ., გარდაიცვალა 1616 წ., სამცხის ათაბაგად იყო 1581 წლიდან სიკვდილამდე.
87. ზედა-თმოგვი „12 ვერსის მანძილზეა ხერთვისიდან“ (იხ. ს. ჭიქია, III, გვ. 361).
88. დედისიმედი — ქაიხოსრო II-ის ცოლი.

89. ვანის-ქუაბი, იგივე ვაჰანის-ქვაბი — დაახლოებით 2 კმ. მანძილზე თოგვეიდან და 16 კმ. მანძილზე ხერთვისიდან (ს. ჭიქია, III, გვ. 365-366).

90. ცნობილი იყო დიდი კარწახი და პატარა კარწახი (ს. ჭიქია, III, გვ. 412, 413).

91. მ. ბროსეს თარგმანშია Phosos-Sakhli.

92. „ალამია“ აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაშიც. (ქ. ცხ. II, გვ. 519), რაც, როგორც ჩანს, გადამწერის შეცდომაა. „მესხურ მატიანეში“ ამ ადგილას „ალაფია“ (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. გვ. 44).

93. პალაკაციო — ჩრდილის ტბა.

94. თეთრ-ციხე—იგივე აღჯა-ყალა ჩრდილას ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე, თითქმის ურთის პირდაპირ (ს. ჭიქია, III, გვ. 392).

95. ალბუტი და კამროანი იხსენიება „გურჯისტანის ვალაიეთის დიდ დავთარში“ (ს. ჭიქია, III, გვ. 401, 385).

96. „პარიზის ქრონიკა“ არაზუსტად უჩვენებს თარიღს — ევ. უნდა იყოს კმ. ასეა როგორც „სამცხის მატიანეში“, ასევე „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 44; ქ. ცხ. II, გვ. 519).

97. ამ ადგილას „სამცხის მატიანეშია“ ოთის ციხე“ (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 44. ციხე იხსენიება „დავთარში“, ს. ჭიქია, III, გვ. 201).

98. ე. თაყაიშვილის რუსულ თარგმანშია: татары (турки) явились посредниками между нами (Е. Такайшвили, Три хроники, გვ. 195).

99. როგორც „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში, ასევე „სამცხის მატიანეში“ არის „ვარნეთის“, (ქ. ცხ. II, გვ. 512; ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 45). „პარიზის ქრონიკის“ გადამწერა აქ, ჩანს, შეცდომას უშვებს — „ვარნელის“. არსებობდა ვარნეთი დიდი, პატარა, ზემო და ქვემო (ს. ჭიქია, III, გვ. 195, 245). შეცდომა შენიშნული აქვს მ. ბროსესაც და განმარტავს „ვარნეთა ან ვარნეთი“ (მეორე თარგმანი, გვ. 68).

100. დემოთიაზე იხ. ს. ჭიქია, III, 148.

101. ახჩიაზე იხ. ს. ჭიქია, III, გვ. 402, 405.

102. ქაჯის ციხეზე იხ. ს. ჭიქია III, გვ. 402—405.

103. ე. თაყაიშვილი თუმცა იცნობს „პარიზის ქრონიკის“

ხელნაწერს, შესადარებლად იყენებს მ. ბროსეს გამოცემას, სადაც ტექსტის ზოგიერთი ადგილი გამოტოვებულია. ასე მაგალითად, ნაწყვეტი „ნახევარ... ბ“. ამან გამოიწვია მკვლევრის შენიშვნა (ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტვ., 1890 გვ. 93). „პარიზის ქრონიკის“ ხელნაწერში ტექსტი სრული სახით არის.

104. ურთის ციხის შესახებ იხ. ს. ჭიქია, III, გვ. 381.

105. მ. ბროსესა და შესაბამისად ზ. ჭიქინაძის გამოცემებში გამოტოვებულია ერთი სტრიქონი: „მგელციხეს... მანუჩარ“.

106. ეს ერთი აბზაცი არ არის „მესხურ მატიანეში“. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ცნობა ოდნავ ვრცლად არის, თუმცა ის შეიძლებოდა გამხდარიყო „პარიზის ქრონიკის“ წყარო (ქ. ცხ. II, გვ. 520): „ქორონიკონსა ს'გვ: გამონჩნდა კუდიანი ვარსკულავი, ოდეს მისებრი არავის უხილავს. ესე შაჰ-ისმაილ იყო კაცი უწყალო და მსმელი სისხლისა, ამითუს არა ინებებს ყიზილბაშთა უფლება მისი, და ეწამებოდეს სჯულითა სუნობისა. და თუესა მეექუსესა მოწამლვით მოკლეს ყიზილბაშთა შაჰ-ისმაილ-ყანი, გიორგობისთს კ'გ და მისივე ძმა შაჰ-ხუდაბანდ გააყელმწიფეს. ესე შაჰ-ხუდაბანდა იყო კაცი ულონო და თუალით ბრმა. და ვერა კეთილად წარმართა საქმე თუაი წესისამებრ“.

107. მუჰამედ ხუდაბენდე (1578 — 1587) — ირანის შაჰი.

108. იანვარს ე-ს შემდეგ „მესხურ მატიანეში“ დაზუსტებულია — „კუირას დღესა“ (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 46).

109. „პარიზის ქრონიკა“ კვლავ მ-ს (8) ნაცვლად ე-ს (5) უთითებს. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებასა და „მესხურ მატიანეშია“ მ (ქ. ცხ. II გვ. 520; ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 46).

110. უფრო მოსალოდნელია, რომ აქ გადაწერის მიერ დაშვებული შეცდომა იყოს. „მესხურ მატიანეშია“ ძვილ (ქ. შარაშიძე, გვ. 46) „ქ. ცხ-ის“ გადაკეთებულ გაგრძელებაშია „ძლივ“ (ქ. ცხ. II, გვ. 521).

111. მ. ბროსეს თარგმანში „ზახირა“ (სურსათ-სანოვავე) გამოტოვებულია, ხოლო შენიშვნაში განმარტებულია, რომ სიტყვა ქართული არ არის და უცნობია (მეორე თარგმანი, გვ. 70).

112. ზღუდერთან დაკავშირებით ს. ჭიქია შენიშნავს: „ცხადია, რომ „დავთრის“ სოფ. ზღუდერი, რომელიც ახალციხის სანჯაყსა და აწყურის ს-ში არის ნაჩვენები, „მესხური დავითნის ქრონიკა“

ში“ ახალციხის (და აწყურის) სანახებში მდებარედ ნახსენები ზღუდრ სოფელია“ (ს. ჭიქია, III, გვ. 134).

113. ოთმანიანი — ოსმალნი.

114. ილათი—ხერხი, საშუალება. „გაუდრკა საილათოდ“ ე. თაყაიშვილს თარგმნილი აქვს, როგორც «подался назад, чтобы изыскать средства» (Е. Такайшвили, Три хроники, с. 200):

115. ზარიშატი, ზერნიშატი, ზარნიშატი — ს. ჭიქიას აღნიშვნით, მდებარეობს ჩილდირის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყარსის გზაზე“ (ს. ჭიქია, III, გვ. 414).

116. სიტყვა „ნესტან-დარეჯან“ დამატებულია „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებასა და „პარიზის ქრონიკაში“, „მესხურ მატიანეში“ არ არის.

117. ეს ერთი აბზაცი არ არის „მესხურ მატიანეში“. ზუსტად ემთხვევა „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებას (ქ. ცხ. II, გვ. 521).

118. „პარიზის ქრონიკაში“ შეცდომითაა ე (5). უნდა იყოს, როგორც ჩანს, მ (8). ასეა „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებასა და „მესხურ მატიანეში“. აღსანიშნავია, რომ მ. ბროსეც ასწორებს თარგმანში ე-ს მ-დ (მეორე თარგმანი, გვ. 71).

119. ძურძნა და წინწალი — სოფლები, იხსენიება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (ს. ჭიქია, III, გვ. 381).

120. „იმ წამს გამოჰგუარეს“ შემდეგ „მესხურ მატიანეში“ მოდის სიტყვები „ციხეები გამოართულს“ (ქ. შარაშიძე, გვ. 49).

121. „და დაუთხან ხონქართან წავიდა... გორს სანჯახი“ — „მესხურ მატიანეში“ ეს ცნობა არ არის. ზუსტად ემთხვევა „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებას. ანალოგიური ცნობა აქვს ვახუშტის: „ეზრახა ლალა ფაშას და მისცნა ყოველნი ციხენი ქართლისანი და თვთ წარვიდა წინაშე ხონქარისა სტამბოლს (შემდგომად ჟამთა რაოდენთამე მოკულდა დაუთხან მუნ“ (ვახუშტი. ქ. ცხ. IV, გვ. 411) ქართული წყაროების ეს ცნობა არ უნდა იყოს მთლად სწორი. ოსმალური წყაროები ამ ფაქტის ზუსტ თარიღს უთითებენ: 992 წლის შავალის თვე — 1584 წლის 6. X, — 3. XI. დაუდ-ხანი არა ლალა-ფაშას, არამედ ოსმალთა სარდალ ფერჰად-ფაშას ეახლა. (გ. ფუთურიძე, მუსტათა ზელიანიკი საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, № 92, თბ., 1960, გვ. 208; გ. ალასანი, აბდულ აზიზ ყარა-ჩელები-ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ, საისტორიო კრებული, VI, თბ., 1976, გვ. 114). ასევე განიხილავს ამ

საკითხს მ. სვანიძე (მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 160-161).

122. ხოსროვ-მირზა — მომავალი ქართლის მეფე როსტომი (1633-1658).

123. აქ „მესხურ მატიანეშიც“ გამორჩენილია სიტყვა „ჭაქვს“. ქ. შარაშიძის შენიშვნის მიხედვით, „ამ ადგილას, უეჭველია, გაქორჩინილია სიტყვა ჭაქუს, ქვემო ტექსტში ვკითხულობთ: „ვერც ჭაქუი და ვერც მუზარადი ვერ გაეკუშთა“ — თუმცა ზემოთ მხოლოდ მუზარადია ნახსენები“ (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 49).

124. ამ შემთხვევაში უფრო სწორი უნდა იყოს „მესხური მატიანისა“ და „ქ. ცხ-ის“ გადაკეთებული გაგრძელების ჩვენება — ენკენისთვის დ (4) (ქ. ცხ. II, გვ. 523; ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50), ვინაიდან, როგორც დაანგარიშებით ირკვევა, 1578 წლის ენკენისთვის 4-ში, მართლაც ხუთშაბათი ყოფილა.

125. ალექსანდრე ლევანის ძე — კახეთის მეფე (1574—1605).

126. „მესხურ მატიანეშია“ მარიამობისთუმს ოცდაექუს (ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50). „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაშია კვ (ქ. ცხ. II, გვ. 523). „პარიზის ქრონიკის“ გადამწერი კვლავ შეცდომას უშვებს.

127. „გორი გაამაგრას“ შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება რთავს რალაც სხვა წყაროს ცნობას: „და მიესმა საქმე ესე შახუდაბანდას. მაშინ დედამან შახუდაბანდასამან, აწულმან ოთარ შალიკაშვილისამან, მოიყვანა მეფე სვიმონ და, ვითარცა წესი არს ქართველთა დედათა, ეგრეთვე ყო ამან, წარმოუგზავნა ლეჩაქი... ხოლო მისცეს საბოძვარი ურიცხვ, და ესრეთ წარმოემართა მეფე სვიმონ“... (ქ. ცხ. II, გვ. 523-24).

128. „მესხურ მატიანეში“ არ არის სიტყვები „მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი“. ამას „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება და „პარიზის ქრონიკა“ უმატებენ. (ქ. ცხ. II, 521).

129. ამ ადგილას „მესხური მატიანის“ ქ. შარაშიძის გამოცემაშია „ლუინობისთუმს“ (ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50). ასევეა „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში. „მესხური მატიანის“ ე. თაყაიშვილის გამოცემაშია (გვ. 103) „ღვინობისთუმს“. მკვლევარი შენიშვნას აკეთებს: „შეად. ქ-ცხ. ღვინობისთვის ნახევარ პ. ხრ. ღვინობისთვის იე“. მაშინ, როდესაც „პარიზის

ქრონიკაში“ ამ ადგილას არის „ივანობისთვის ი““, რაც, როგორც ჩანს, უფრო სწორია, ვინაიდან შემდგომი ამბავი ხდება ლეონობის-თვის ა (1).

130. 1578 წლის ლეონობისთვის (ოქტომბრის) პირველი ოთხ-შაბათი იყო. თ. ჟორდანიას შენიშნული ჰქონდა, რომ 1578 წლის ლეონობისთვის პირველი რიცხვი პარასკევს დღეს არ მოდიოდა (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 50).

131. სიტყვიდან „მეფემ“ არ არის „მესხურ მატთანეში“. სიტყვა-სიტყვით გამოვრებულია „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ცნობა, რაც შენიშნული აქვს ს. ყაუხჩიშვილს. (ქ. ცხ. II, გვ. 524).

132. აქ მთავრდება ჩანართი ცნობა.

133. „ბატონის“ * ჩათვლით ამ უკანასკნელი ექვსი სიტყვის ნაცვლად „მესხურ მატთანეშია“ „პატრონის დედაბიძგის ძმა, პატრონი ვახტანგ“ (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 51).

134. ამ პუნქტთან დაკავშირებით ს. ჯიქია შენიშნავს, „არ არის გამორიცხული, რომ ციხე, რომელიც ამ „ქრონიკაში“ იხსენიება, „დავთრის“ კეხის? ციხე იყოს (ს. ჯიქია, III, გვ. 377).

135. „მესხურ მატთანეში“ და „ქ. ცხ-ის“ გადაკეთებულ გაგრძელებაშია „ოსმან-ფაშა“ (ქ. შარაშიძე, გვ. 51; ქ. ცხ. II, გვ. 595).

136. „ქლმით“-ს ნაცვლად „მესხურ მატთანეშია“ „ხელთა“ (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 51). ასევეა „ქ. ცხ-ის“ გადაკეთებულ გაგრძელებაში (ქ. ცხ. II, 525).

137. ეს აბზაცი არ არის „მესხური მატთანის“ მიხედვით. ზუსტად ასეთივე სახით ცნობა არის „ქ. ცხ-ის“ გადაკეთებულ გაგრძელებაში (ქ. ცხ. II. 525).

138. 1579 წლის 31 მაისი კვირა უნდა ყოფილიყო. ამდენად, სამივე წყარო — „მესხური მატთანე“, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება და „პარიზის ქრონიკა“ შეცდომას უშვებენ. ჩანს, უნდა იყოს „მაისისა ლ“ (30).

139. „მესხურ მატთანეშია“ მივიდა.

140. 1579 წლის მარიამობისთვის (აგვისტო) 26 უნდა ყოფილიყო ოთხშაბათი.

141. „პარიზის ქრონიკის“ გადამწერი, ჩანს, შეცდომას უშვებს. „მესხურ მატთანესა“ და „ქ. ცხ“-ის გადაკეთებულ გაგრძელებაშია არა „კვირაში“ არამედ „კარავში“. (ქ. შარაშიძე, სპ-

ზრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 52; ქ. ცხ. II, გვ. 525).

142. „მესხური მატიანის“ ე. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით, „ბატონი ბასილი მიიცვალა, იე წლისა და ოცდაორის დღისა და წამოვიდა პატრონი დედის-იმედი მოაბითა, ღამით ეამსა ბ ზღუდერს ჩამოვიდა...“ (ე. თაყაიშვილი, სამი ხრონიკა, 108). ქ. შარაშიძის გამოცემის მიხედვით, „ბატონი ბასილი მიიცვალა, იე წლისა და ოცდაორის დღისა (ღამით ეამსა გ); წამოვიდა პატრონი დედის-იმედი მოაბითა, ზღუდერს ჩამოვიდა“. გამომცემლის შენიშვნით, ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ჩამატებულია ბასილის წლოვანების აღნიშვნის შემდეგ, სტრიქონის ზემოთ. (ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52). „პარიზის ქრონიკა“ ემთხვევა „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ტნობას (ქ. ცხ. II, გვ. 525-6).

143. ეს თარიღი „პარიზის ქრონიკის“ გადამწერს არაზუსტად აქვს გადმოტანილი. უნდა იყოს ს¹წ იანვარს მ; როგორც „მესხურ მატიანესა“ და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაშია (ქ. შარაშიძე, გვ. 53, ქ. ცხ. II, გვ. 526).

144. ქ. შარაშიძის სავარაუდო აღდგენა „მისის საბაბტონოს წყალობაჲ ექნა“ ხონთქარს (ქ. შარაშიძე, გვ. 53).

145. „პარიზის ქრონიკაში“ კვლავ მცდარი თარიღია. უნდა იყოს ს¹წმ. ასეა „მესხურ მატიანესა“ და „ქ. ცხ-ის“ გადაკეთებულ გაგრძელებაში (ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, 53; ქ. ცხ. II, გვ. 526). ამასვე უჭერს მხარს თვით ქრონიკის ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც.

146. კვლავ ჩამატებულია სიტყვები, რომლებიც არ არის „მესხურ მატიანეში“ — „მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი მუხრანის ბატონი“. „ბატონია“ ძირითადი წყაროს „პატრონი“ ნაცვლად. ასევეა „ქ. ცხ-ის“ გადაკეთებულ გაგრძელებაშიც (ქ. ცხ. II, გვ. 526).

147. „მესხური მატიანის“ „ღმერთი გარისხდა“-ს ნაცვლად ყველგან არის „მიიცვალა“.

148. „მესხურ მატიანეშია“ დაჰმანი.

149. როგორც ჩანს, „პარიზის ქრონიკის“ გადამწერი შეცდომას უშვებს. „მესხურ მატიანესა“ და „ქ. ცხ-ის“ გადაკეთებული გაგრძელების მიხედვით, აქ უნდა იყოს ლუინობისთუმს (ქ. შარაშიძე, გვ. 54; ქ. ცხ. II, გვ. 526).

